

განსჯაღოგა

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2023, №2

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2023, №2

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2023, №2

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2023, №2

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიეპელი

სამოქალაქო განსჯადობა

საჯარო სამართლის იურიდიული პირის შრომით საქმიანობასთან დაკავშირებით დავის განსჯადობა	4
მენარმის რეგისტრაციასთან დაკავშირებით დავის განსჯადობა ...	17
უძრავი ქონების დათმობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით დავის განსჯადობა	25
უსაფუძვლო გამდიდრების გამო	
თანხის ანაზღაურების თაობაზე დავის განსჯადობა	37

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე დავის განსჯადობა

განსჯადობა სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით ..	48
განსჯადობა სამართალდარღვევის	
საგარეუდო ჩადენის ადგილის მიხედვით	54
განსჯადობა სამართალდამრღვევის	
საცხოვრებელი ადგილის მიხედვით	59; 66
განსჯადობა სადავო აქტში მითითებული	
გასაჩივრების წესის მიხედვით	75

საგადასახადო დავების შესახებ დავის განსჯადობა

გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარებასთან დაკავშირებით დავის განსჯადობა	82
განსჯადობა სადავო აქტში მითითებული	
გასაჩივრების წესის მიხედვით	89

საგნობრივი და ტერიტორიული განსჯადობა

განსჯადობა უძრავი ქონების და ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით	97; 106; 141
განსჯადობა ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით	115
განსჯადობა სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით	123
განსჯადობა მოსარჩელის არჩევით	150; 157
განსჯადობა ინდივიდუალური	
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის	
გამომცემი ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით	163
განსჯადობა ძირითადი აქტის გამომცემი	
ადგილობრივი ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით	168
განსჯადობა ხელშეკრულების შესრულების მიხედვით	180

სამოქალაქო განსჯადობა

საჯარო სამართლის იურიდიული პირის შრომით საქმიანობასთან დაკავშირებით ღაზის განსჯადობა

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-289(გ-21)

19 ოქტომბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: ბ. სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
გ. აბუსერიძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირ-ველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა ლ. ა-ის საარჩელთან დაკავშირებით დაფა განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატასა და სამოქალაქო საქმეთა პალატას შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

2020 წლის 9 მარტს ლ. ა-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – სსიპ იუსტიციის სახლის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა „ლ. ა-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდების შესახებ“ სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის 2019 წლის 23 დეკემბრის №1094/ს ბრძანების, „ლ. ა-ის გათავისუფლების შესახებ“ სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 7 თებერვლის №87/კ ბრძანების ბათილად ცნობა და სსიპ იუსტიციის სახლის ფილიალის ქუთაისის ...ის ...ის ...ის პოზიციაზე აღდგენა ან მოპასუხისათვის კომპენსაციის სახით 100 000 ლარის ანაზღაურების დაკისრება. მოსარჩელემ, ასევე მოითხოვა მოპასუხე სსიპ იუსტიციის სახლს ლ. ა-ის სასარგებლოდ დაკისრებოდა ყოველთვიურად 2500 ლარის ოდენობით (დაუბეგრავი) იძულებითი განაცდურის ანაზღაურება გათავისუფლებიდან – 2020 წლის 10 თებერვლიდან სამსახურში აღდგენამდე (სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე).

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ლ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 7 თებერვლის №87/კ ბრძანება „ლ. ა-ის გათავისუფლების შესახებ“. ლ. ა-ე აღდგენილ იქნა სსიპ იუსტიციის სახლის ფილიალის ქუთაისის ...ის ...ის ...ის თანამდებობაზე. სსიპ იუსტიციის სახლს მოსარჩელე ლ. ა-ის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2020 წლის 10 თებერვლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე თვეში 2500 ლარის (დაუბეგრავი) ოდენობით. ლ. ა-ის მოთხოვნა, 2019 წლის 23 დეკემბრის №1094/ს ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ, არ დაკმაყოფილდა; სსიპ იუსტიციის სახლს ლ. ა-ის სასარგებლოდ, მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ, დაეკისრა 100 ლარის გადახდა. სსიპ იუსტიციის სახლს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 605.60 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ იუსტიციის სახლმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 12 თებერვლის განჩინებით სსიპ იუსტიციის სახლის სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობით განსახილველად გადაეცა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლზე და განმარტა, რომ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლოს მიერ უნდა შეფასდეს დავის არსი, სადავო ურთიერთობის ხასიათი, ქმედების შინაარსი და სხვა. ამდენად, პირველ რიგში. სასამართლომ სამართლებრივად უნდა შეაფასოს სასარჩელო მოთხოვნები და ისე იმსჯელოს განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით.

კონკრეტულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნებია: 1. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის 2019 წლის 23 ნოემბრის №1094/ს ბრძანება „ლ. ა-ისთვის სასტიკი საყვედურის გამოცხადების შესახებ“; 2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექ-

ტორის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 7 თებერვლის №87/კ ბრძანება „ლ. ა-ის გათავისუფლების შესახებ“; 3. ლ. ა-ე აღდგენილ იქნეს სსიპ იუსტიციის სახლის ფილიალის ქუთაისის ...ის ...ის ...ის თანამდებობაზე; 3. სსიპ იუსტიციის სახლს დაეკისროს თვეში 2500 ლარის ოდენობით იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2020 წლის 10 თებერვლიდან მის სამსახურში აღდგენამდე.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო სამსახურად განიხილება სახელმწიფო სამსახურში საქმიანობა (გარდა ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირების მიერ განხორციელებული საქმიანობისა), მუნიციპალიტეტის ორგანოებში (დანესეხულებებში) საქმიანობა, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობა (გარდა კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით, სასპორტო და რელიგიურ, წევრობაზე დაფუძნებულ და ამ კანონითა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კატეგორიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობისა). საჯარო სამსახურად ითვლება აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანოების აპარატებში, საქართველოს ეროვნული ბანკის აპარატში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში, საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საარჩევნო კომისიების აპარატებში, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში საქმიანობა.

სამოქალაქო პალატის განმარტებით, საჯარო სამსახურის კანონმდებლობის რეფორმირების შედეგად, 1997 წლის 31 ოქტომბერს მიღებული კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადდა და 2017 წლის 1 ივლისიდან ძალაში შევიდა ახალი კანონი იმავე სახელწოდებით, თუმცა არსებითად და პრინციპების დონეზე განსხვავებული ცნებებითა და ინსტიტუტებით, რომლითაც აგრეთვე შეიცვალა სახელმწიფოს ხედვა საჯარო სამსახურის ცნებასთან მიმართებით, გაფართოვდა მისი შინაარსი და განსხვავებით მანამდე მოქმედი კანონისა, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიულ პირში მუშაობას არ განიხილავდა საჯარო სამსახურად, კანონმდებელმა ერთმნიშვნელოვნად მიუთითა, რომ ამიერიდან, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობა განიხილება საჯარო სამსახურად, გარდა კანონით დაშვებული გა-

მონაკლისებისა. ასეთ გამონაკლისებს კი წარმოადგენს კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით, სასპორტო, რელიგიურ და წევრობაზე დაფუძნებული სსიპ-ებში ან „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კატეგორიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 მარტის №227 დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი იუსტიციის სახლი, ამავე დადგენილების მესამე პუნქტის თანახმად, ახლად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი იუსტიციის სახლი განისაზღვრა საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 2 აგვისტოს №661 ბრძანებულებით შექმნილი სსიპ იუსტიციის სახლის სამართალმემკვიდრედ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 25 ივლისის №85 ბრძანების მე-5 მუხლით განისაზღვრა იუსტიციის სახლის სტრუქტურა, რომლის თანახმადაც, იუსტიციის სახლი მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას უზრუნველყოფს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების (ფილიალებისა და საზოგადოებრივი ცენტრების) მეშვეობით. ამრიგად, ამავე ბრძანებით ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრა, რომ ფილიალი წარმოადგენს იუსტიციის სახლის ტერიტორიულ ორგანოს. ამავე ბრძანების მე-5 მუხლის მესამე პუნქტის „ს“ ქვეპუნქტით კი განისაზღვრა, რომ ქუთაისის იუსტიციის სახლი წარმოადგენს იუსტიციის სახლის ფილიალს, ე.ი. ტერიტორიულ ორგანოს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 25 ივლისის №85 ბრძანების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ფილიალს ხელმძღვანელობს მენეჯერი, რომელსაც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, მინისტრთან შეთანხმებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აღმასრულებელი დირექტორი. ამრიგად, იუსტიციის სახლის ფილიალის, ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი არის ფილიალის მენეჯერი.

სააპელაციო პალატის განმარტებით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ“ საქართველოს კანონის 103-ე მუხლის პირველ პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის (გარდა კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევითი, სასპორტო ან რელიგიური საქმიანობის განმახორციელებელი საჯარო სამარ-

თლის იურიდიული პირისა) ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელსა და მის მოადგილეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით თანამდებობებზე ნიშნავს შესაბამისი უფლებამოსილი პირი. ამავე კანონის 103-ე მუხლის მესამე პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი/მისი მოადგილე თავისუფლდება თანამდებობიდან, თუ ჯეროვნად ვერ ახორციელებდა მისთვის კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის წესდებით (დებულებით) ან შინაგანანგისით განსაზღვრულ უფლებამოსილებას, ან თუ ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა, რომლისთვისაც თანამდებობიდან გათავისუფლებაა გათვალისწინებული. ციტირებული მუხლის მეოთხე პუნქტი კი ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს, რომ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საჯარო სამართლის იურიდიული პირის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელს/მის მოადგილეს თანამდებობიდან ათავისუფლებს შესაბამისი უფლებამოსილი თანამდებობის პირი დასაბუთებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ეს აქტი შეიძლება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გასაჩივრდეს სასამართლოში.

აღნიშნულიდან გამომდინარე სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის (რომელიც, თავის მხრივ, კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევითი, სასპორტო ან რელიგიური საქმიანობის განმახორციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი არ არის) ფილიალი მისი ტერიტორიული ორგანოა, რომელსაც ხელმძღვანელობს მენეჯერი. თავის მხრივ, ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის (მოცემულ შემთხვევაში, ფილიალის მენეჯერის) თანამდებობაზე დანიშვნა-განათავისუფლების შესახებ უფლებამოსილი პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია, რომლის კანონიერებაც, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზით განსახილველ საკითხს წარმოადგენს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის განმარტებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 17 დეკემბრის №ბს-4-4(გ-15) განჩინებით დადგენილი პრაქტიკა ვერ იქონიებს გავლენას წინამდებარე დავაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა არ დაეთანხმა სამოქალაქო საქმეთა პალატას დავის

ადმინისტრაციული წესით განხილვის თაობაზე და 2021 წლის 25 მარტის განჩინებით სსიპ იუსტიციის სახლის სააპელაციო საჩივარი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოუგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს „ლ. ა-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდების შესახებ“ სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის 2019 წლის 23 დეკემბრის №1094/ს ბრძანების ბათილად ცნობა, „ლ. ა-ის გათავისუფლების შესახებ“ სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 7 თებერვლის №87/კ ბრძანების ბათილად ცნობა; ლ. ა-ის სსიპ იუსტიციის სახლის ფილიალის ქუთაისის ...ის ...ის ...ის პოზიციაზე აღდგენა ან 100 000 ლარის ოდენობით (გადასახადების ჩათვლით) კომპენსაციის გადახდის მოპასუხისათვის დაკისრება. ასევე სადავოა მოპასუხე სსიპ იუსტიციის სახლისათვის ლ. ა-ის სასარგებლოდ ყოველთვიურად 2500 ლარის (დაუბეგრავი) ოდენობით იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრება (გათავისუფლებიდან – 2020 წლის 10 თებერვლიდან სამსახურში აღდგენამდე (სასამართლო გადანაცვეტილების აღსრულებამდე).

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განმარტებით, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 12 თებერვლის განჩინების საფუძვლად მითითებულ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე, სამოქალაქო საქმეთა პალატის შესაბამის განმარტებაზე. კერძოდ, სამოქალაქო საქმეთა პალატა მიუთითებს, რომ „საჯარო სამსახურის კანონმდებლობის რეფორმირების შედეგად, 1997 წლის 31 ოქტომბერს მიღებული კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადდა და 2017 წლის 1 ივლისიდან ძალაში შევიდა ახალი კანონი იმავე სახელწოდებით, თუმცა არსებითად და პრინციპების დონეზე განსხვავებული ცნებებითა და ინსტიტუტებით, რომლითაც აგრეთვე შეიცვალა სახელმწიფოს ხედვა საჯარო სამსახურის ცნებასთან მიმართებით, გაფართოვდა მისი შინაარსი და განსხვავებით მანამდე მოქმედი კანონისა, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიულ პირში

მუშაობას არ განიხილავდა საჯარო სამსახურად, კანონმდებელმა ერთმნიშვნელოვნად მიუთითა, რომ ამიერიდან, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობა განიხილება საჯარო სამსახურად, გარდა კანონით დაშვებული გამონაკლისებისა. ასეთ გამონაკლისებს კი წარმოადგენს კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით, სასპორტო, რელიგიურ და წევრობაზე დაფუძნებული სსიპ-ებში ან „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კატეგორიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობა“.

აღნიშნულთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ, მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126¹ მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, გარდამავალ პერიოდად ჩაითვალა 2017 წლის 1 ივლისიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, გარდამავალ პერიოდში საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე (გარდა კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევითი, სასპორტო, რელიგიური და წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა) არ ვრცელდება ამ კანონის (გარდა ამ კანონის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტისა, 35-ე, 36-ე და 39-ე-43-ე მუხლებისა) მოქმედება. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ამჟამად მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ის ნორმები, რომლებიც მითითებულია ადმინისტრაციული წესით საქმის განხილვის დასადასტურებლად, ამ ეტაპზე ვერ იქნება ადმინისტრაციული სასამართლოსათვის საქმის დაქვემდებარების სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან მითითებული ნორმების მოქმედება კონკრეტულ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სსიპ იუსტიციის სახლის მიმართ 2021 წლის 31 დეკემბრამდე გადავადებულია. იმავე გარემოების გათვალისწინებით, პალატა არ იზიარებს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებას საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 17 დეკემბრის №ბს-4-4(გ-15) განჩინების წინამდებარე დავის მიმართ გათვალისწინების დაუშვებლობის თაობაზე.

სააპელაციო პალატამ ასევე მიიჩნია, რომ სამოქალაქო საქმეთა პალატის მითითება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის 103-ე მუხლის მესამე პუნქტზე, არ ქმნის აგრეთვე წინამდებარე დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის სამართლებრივ საფუძველს. მითითებული ნორმა ადგენს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელს თანამდებობიდან ათავისუფლებს შესაბამისი უფლებამოსილი თანამდებობის პირი

დასაბუთებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი). განსახილველ შემთხვევაში დასტურდება, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126¹ მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად და ამ ნორმების გათვალისწინებით სსიპ იუსტიციის სახლის ხელმძღვანელი 2022 წლის პირველ იანვრამდე ვერ იხელმძღვანელებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ რიგი ნორმებით და ვერ გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ამგვარი შეფასების მართებულობას ადასტურებს სადავო აქტიც. კერძოდ, სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 7 თებერვლის №87/კ ბრძანება „ლ. ა-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ მიღებულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე. ბრძანების მიღების სამართლებრივი საფუძველია აგრეთვე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 25.07.15წ. №85 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ იუსტიციის სახლის დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „მ“ ქვეპუნქტები, 26-ე მუხლის პირველი პუნქტი, სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის მ/შ 29.12.2017წ. №875/ს ბრძანებით დამტკიცებული შინაგანანგის 32-ე მუხლის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტები, 41-ე მუხლის „ა“, „ბ“, „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტები, 42-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი და 55-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველი დავა წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ შრომის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავას, რაც დასტურდება დამატებით, აგრეთვე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატების განჩინებე-

ბის კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ სსიპ იუსტიციის სახლის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას უნდა დაექვემდებაროს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.). კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ, არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯად სამოქალაქო დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

განსახილველ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ორ სხვადასხვა პალატას შორის დავა საგნობრივ განსჯადობასთან დაკავშირებით არის წარმოშობილი. ამდენად, დასადგენია, მოცემული საქმე წარმოადგენს ადმინისტრაციული თუ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული წესით სასამართლოთა განსჯად საქმეებს, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაი-

მე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

კონკრეტულ შემთხვევაში საგნობრივ განსჯადობასთან დაკავშირებით დავის დაწყება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ 1997 წლის 31 ოქტომბერს მიღებული კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადდა და 2017 წლის 1 ივლისიდან ძალაში შევიდა ახალი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი არსებითად და პრინციპების დონეზე განსხვავებული ცნებებითა და ინსტიტუტებით, რომლითაც გაფართოვდა მისი შინაარსი და განსხვავებით მანამდე მოქმედი კანონისა, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიულ პირში მუშაობას არ განიხილავდა საჯარო სამსახურად, კანონმდებელმა ერთმნიშვნელოვნად მიუთითა, რომ კანონის ამოქმედებიდან, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობა განიხილება საჯარო სამსახურად, გარდა კანონით დაშვებული გამონაკლისებისა. ასეთ გამონაკლისებს კი წარმოადგენს კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით, სასპორტო, რელიგიურ და წევრობაზე დაფუძნებული სსიპ-ებში ან „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კატეგორიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობა. იმავდროულად, ახალი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის გარდამავალი დებულებების თავში, კერძოდ, 126¹ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ იქნა, რომ გარდამავალ პერიოდად ჩაითვალოს 2017 წლის 1 ივლისიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი, ხოლო საჯარო დაწესებულებაში შრომითი გასამრჯელოს დადგენისა და წახალისების მიზნებისთვის – 2017 წლის 1 ივლისიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი, გარდა ამ მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, გარდამავალ პერიოდში საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე (გარდა კულტურული, საგანმანათ-

ლებლო, სამეცნიერო, კვლევითი, სასპორტო, რელიგიური და წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა) არ ვრცელდება ამ კანონის (გარდა ამ კანონის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტისა, 35-ე, 36-ე და 39-ე-43-ე მუხლებისა) მოქმედება. ამ პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები (გარდა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საკითხებისა) წესრიგდება საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნული მუხლების ანალიზიდან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ის ნორმები, რომლითაც საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობა მიიჩნევა საჯარო სამსახურად, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს განსჯადობის წესის შეცვლა, არ ამოქმედებულა. მისი მოქმედება გადავადებულია 2021 წლის 31 დეკემბრამდე.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სადავო აქტები გამოცემულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 126¹ მუხლის ამოქმედებამდე, კერძოდ, 2021 წლის 31 დეკემბრამდე, შესაბამისად, დავის განმხილველმა სასამართლომ სარჩელის საფუძვლიანობის შეფასებისას უნდა იხელმძღვანელოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 126¹ მუხლის ამოქმედებამდე არსებული ნორმატიული აქტების რედაქციით. ამდენად, სადავო სამართალურთიერთობების წარმოშობის პერიოდში მოქმედი საკანონმდებლო სივრცის საფუძველზე უნდა გადანყდეს დავის სასამართლო განსჯადობის საკითხიც.

განსახილველ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს „ლ. ა-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდების შესახებ“ სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის 2019 წლის 23 დეკემბრის №1094/ს ბრძანების ბათილად ცნობა, „ლ. ა-ის გათავისუფლების შესახებ“ სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 7 თებერვლის №87/კ ბრძანების ბათილად ცნობა; ლ. ა-ის სსიპ იუსტიციის სახლის ფილიალის ქუთაისის ...ის ...ის ...ის პოზიციაზე აღდგენა ან 100 000 ლარის ოდენობით (გადასახადების ჩათვლით) კომპენსაციის გადახდის მოპასუხისათვის დაკისრება. ასევე სადავოა მოპასუხე სსიპ იუსტიციის სახლისათვის ლ. ა-ის სასარგებლოდ ყოველთვიურად 2500 ლარის (დაუბეგრავი) ოდენობით იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრება (გათავისუფლებიდან – 2020 წლის 10 თებერვლიდან სამსახურში აღდგენამდე (სასამართლო გადანყვეტილების აღსრულებამდე).

საკასაციო სასამართლო განსჯადობის წესის გადანყვეტისას

ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ იუსტიციის სახლის ფილიალის, ქუთაისის ...ის ...ის ...ი ლ. ა-ე სამსახურიდან გათავისუფლდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტების, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 26 ივლისის №85 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ იუსტიციის სახლის დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „მ“ ქვეპუნქტების, 26-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის მ/შ 2017 წლის 29 დეკემბრის №875/ს ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესის 32-ე მუხლის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტების, 41-ე მუხლის „ა“, „ბ“, „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, 42-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 55-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო ბრძანების გამოცემის დროს მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სსიპ-ში დასაქმებული პირი არ მიიჩნეოდა საჯარო მოხელედ. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის თანახმად, საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში (1.1 მუხ.), სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება არის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება (2.1 მუხ.). „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს თავის საქმიანობას. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 მარტის №227 დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი იუსტიციის სახლი, ამავდროულად დადგენილების მესამე პუნქტის თანახმად, ახლად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი იუსტიციის სახლი განისაზღვრა საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 2 აგვისტოს №661 ბრძანებულებით შექმნილი სსიპ იუსტიციის სახლის სამართალმემკვიდრედ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 25 ივლისის №85 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის დებულების დამტკიცების შესახებ“ დებულების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, იუსტიციის სახლს აქვს დამოუკიდებელი

ბალანსი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული სახელმწიფო დაწესებულებების ჩამონათვალი, რომლებშიც საქმიანობა საჯარო სამსახურად ჩაითვლება, არ შეიცავს მითითებას საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე. ლ. ა-ე არ წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს და შესაბამისად, მასზე ვერ გავრცელდებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი. ამასთან, ლ. ა-ის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის იუსტიციის სახლის ფილიალის, ქუთაისის ...ის ...ის ...ის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველად მითითებულია საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები, რაც დამატებით ადასტურებს ლ. ა-ესთან კერძო-სამართლებრივი შრომითი ურთიერთობის არსებობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ვერ იქნება მიჩნეული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, რადგან იგი მოიცავს კერძო-სამართლებრივი კანონმდებლობის საფუძველზე. მხოლოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური რეკვიზიტების ქონა და დასახელება, სათანადო შინაარსობრივი დატვირთვის გარეშე, დოკუმენტს ვერ აქცევს ადმინისტრაციულ აქტად. დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ ბრძანების ფორმით გამოცემული ყველა გადაწყვეტილება ავტომატურად არ უნდა გაუთანაბრდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, მსგავს შემთხვევებში ყურადღება უნდა მიექცეს გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველს, მის შინაარსს (იხ. სუსგ 21.09.2017წ. №ბს-893-885(გ-16)). განსახილველ საქმეში სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 7 თებერვლის №87/კ ბრძანებაში ასახულია ორგანოს ნება კერძო-სამართლებრივი შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ, რაც გადაწყვეტილებას, მხოლოდ ბრძანების ფორმით გამოცემის გამო, ვერ აქცევს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად. აღნიშნულიდან გამომდინარე ლ. ა-ის გათავისუფლების კანონიერება უნდა შემოწმდეს სამოქალაქო სასამართლო წარმოების ფარგლებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო სამართალურითიერება არ გამოდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან. შესაბამისად, საკასაციო პალატა იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრებას, რომ დავა განსჯადობით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ქვემდებარეა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკაცაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით,

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ იუსტიციის სახლის სააპელაციო საჩივარი მოწინააღმდეგე მხარის ლ. ა-ის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მენარმის რეგისტრაციასთან დაკავშირებით დავის განსჯადობა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-1184(გ-21)

9 თებერვალი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემაღვენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. აბუსერიძე,
ქ. ცინცაძე**

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა სს „ს-ის“ და სს „გ-ს“ წარმომადგენელმა მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს: ა) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 23 დეკემბრის №... გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ; ბ) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 23 იანვრის №... გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ; გ) ბათი-

ლად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 24 თებერვლის №... გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ; დ) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 26 მარტის №... გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ; ე) დაევალოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, რომლითაც არ დაკმაყოფილდება მ. ვ-ის 2019 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება; ვ) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 30 მარტის №... გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; ზ) დაევალოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, მიიღოს ახალი გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებისა და მ. ვ-ის განცხადების რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

სარჩელში აღნიშნულია, რომ სს „კ.“, რომლის აქციათა 63.34%-ის მფლობელ აქციონერებს წარმოადგენენ მოსარჩელები, არის 1998 წლის 10 აპრილს რეგისტრირებული კომპანია და მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულება არის ფასიანი ქაღალდების მფლობელთა რეესტრების წარმოება. სს „კ-ს“ სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი წევრები იყვნენ: ვ. ს-ე, მ. მ-ი და გ. ლ-ე, ხოლო კომპანიის დირექტორი იყო მ. ვ-ი. აღნიშნული პირები დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდნენ 2015 წლის 14 ივლისს. სს „კ-ს“ მაჟორიტარი აქციონერებისათვის კომპანიის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი ახალი პირების დანიშვნაში ხელის შეშლის მიზნით, ზემოთ დასახელებულმა პირებმა წარმოადგინეს სს „კ-ს“ აქციონერთა 2012 წლის 3 აგვისტოს კრების ოქმი, რომელზე დაყრდნობითაც განაცხადეს, რომ ცვლილებას ესაჭიროებოდა ხმათა 75%. თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს სამოქალაქო დავა, რომლის საგანიც არის 2012 წლის 3 აგვისტოს კრების ოქმის ბათილად ცნობა. საქმეზე გამოყენებულ იქნა უზრუნველყოფის ღონისძიება შემდეგი ფორმულირებით: „სს „ს-ის“ და სს „გ-ს“ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით შეჩერდეს სს „კ-ს“ (საიდენტიფიკაციო კოდი – №...) 2012 წლის 03 აგვისტოს აქციონერთა კრების №1 ოქმის მოქმედება იმ ნაწილში, რომელიც ეხება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევის და გამოწვევისთვის საჭირო ხმათა რაოდენობას; აეკრძალოს სს „კ-ს“ (საიდენტიფიკაციო კოდი – №...) და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს სს „კ-ს“ (საიდენტიფიკაციო კოდი – №...) 2012 წლის 13 აგვისტოს აქციონერთა კრების №1 ოქმის საფუძველზე ნებისმიერი სარეგისტრაციო ან სხვა სახის მოქმედების განხორციელება.“

მიუხედავად გამოყენებული უზრუნველყოფისა, მ. ვ-იმა 2019

წლის 20 დეკემბერს განცხადება წარადგინა საჯარო რეესტრში და მოითხოვა 2012 წლის 3 აგვისტოს კრების ოქმის საფუძველზე კომპანიის დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ცვლილების რეგისტრაცია. საჯარო რეესტრმა სამჯერ შეაჩერა საქმის წარმოება, თუმცა 2020 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით განცხადება დააკმაყოფილა;

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 31 აგვისტოს განჩინებით სს „ს-ისა“ და სს „გ-ს“ სარჩელი განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ 2019 წლის 23 დეკემბრის №..., 2020 წლის 23 იანვრის №..., 2020 წლის 24 თებერვლის №..., რეგისტრაციის შესახებ 2020 წლის 26 მარტის №..., 2020 წლის 30 მარტის №... გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა, ასევე მოპასუხისთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, მ. ვ-ის 2019 წლის 20 დეკემბრის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

დადგენილია, რომ 2019 წლის 20 დეკემბერს მ. ვ-მა განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა სს „კ-ს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი – ...) რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია, კერძოდ, ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობისა და წესდების ცვლილებების რეგისტრაციის აღდგენა.

დადგენილია, რომ მოსარჩელე მხარის მიერ სადავოდ ქცეული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 23 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით მ. ვ-ის განცხადებაზე სარეგისტრაციო წარმოების ვადად განისაზღვრა 1 თვე, ხოლო 2020 წლის 23 იანვრის №... გადაწყვეტილებითა და 2020 წლის 24 თებერვლის №... გადაწყვეტილებით აღნიშნული ვადა დამატებით გაგრძელდა 1 თვით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 26 მარტის №... გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მ. ვ-ის №... მოთხოვნა სს „კ-ს“ რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციასთან დაკავშირებით. სადავო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 30 მარტის №... გადაწყვეტილებით კი უარი ეთქვა სს „კ-ს“ აქციონერების სს „გ-ს“, სს „ს-ის“ წარმომადგენელს – გ. ო-ეს 2019 წლის 27 დეკემბრის №... ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე, რომლითაც მხარე ითხოვდა 2019 წლის 23 დე-

კემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და №... სარეგისტრაციო განცხადებასთან დაკავშირებით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დავალებას.

სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელე მხარის მოთხოვნა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებები მატერიალური თვალსაზრისით შემონმებას ექვემდებარება კერძო-სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობის კუთხით. კერძოდ კი, სააქციო საზოგადოების, ისევე როგორც კერძო სამართლის სხვა იურიდიული პირების დაფუძნება-რეგისტრაციის, პარტნიორთა უფლება-მოვალეობების, საზოგადოების მართვის საკითხები, ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის რეგისტრაციის, სანარმოს რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების რეგისტრაციის საკითხები სამართლებრივად წარმოადგენს კორპორაციულ ურთიერთობებს, რომლებიც კერძოსამართლებრივი კანონმდებლობის საფუძველზე რეგულირდება („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი). ამდენად, სადავო სამართლებრივი ურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული, საჯარო სამართლის კანონმდებლობიდან; გასაჩივრებული აქტები არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება განხილული იქნეს როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დეფინირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას;

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით სამოქალაქო საქმე (სს „ს-ისა“ და სს „გ-ს“ სარჩელი) განსჯადობის საკითხის გასარკვევად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელების ინტერესი არის არა დამატებით კიდევ ერთი კერძოსამართლებრივი დავის გადანყვება კერძო სამართლის სუბიექტებს შორის, არამედ მოსარჩელების ინტერესია, რომ პასუხი გაეცეს მათ ადმინისტრაციულ სარჩელს იმ თვალსაზრისით, რომ საჯარო რეესტრმა თავისი უკანონო ქმედებებით ხელოვნურად შეუშალა ხელი მოსარჩელებს სამოქალაქო დავის ფარგლებში მიღწეული უფლების რეალიზებაში. განსახილველი დავის გადაწყვეტისას, მოსარჩელების ნების შესაბამისად, მნიშვნელოვანია დადგინდეს, სახეზე გვაქვს თუ არა სა-

ქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების დარღვევით მიღებული გადაწყვეტილებები, რაც ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად საქმეს წარმოადგენს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლებების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, სადგომამართლო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არაადალირება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩევეები მოითხოვენ: ა) ბა-

თილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 23 დეკემბრის №... გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ; ბ) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 23 იანვრის №... გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ; გ) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 24 თებერვლის №... გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ; დ) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 26 მარტის №... გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ; ე) დაევალოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, რომლითაც არ დაკმაყოფილდება მ. ვ-ის 2019 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება; ვ) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 30 მარტის №... გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; ზ) დაევალოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, მიიღოს ახალი გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებისა და მ. ვ-ის განცხადების რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

საქმის მასალების მიხედვით ირკვევა, რომ 2019 წლის 20 დეკემბერს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინა მ. ვ-ის №... სარეგისტრაციო განცხადება სს „კ-ს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი – ...) რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნით. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 23 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოებაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვრა 1 თვე.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 23 იანვრის №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვრა დამატებით 1 თვე.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 24 თებერვლის №... გადაწყვეტილებით ისევ შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება და სარეგისტრაციო წარმოებაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვრა დამატებით 1 თვე.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 26 მარტის №... გადაწყვეტილებით (რეგისტრაციის შესახებ), თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 31 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (საქმე №2/22900-2015) საფუძველზე, ბათილად იქნა ცნობილი სა-

ჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 1 ოქტომბრის №... და №... გადაწყვეტილებებისა და რეგისტრაციის შესახებ პირთა რეგისტრაციის დეპარტამენტის 2015 წლის 21 აგვისტოს №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე მიღებული ... გადაწყვეტილება და აღდგა აღნიშნულ რეგისტრაციებამდე არსებული მდგომარეობა.

ამავე გადაწყვეტილებით (2020 წლის 26 მარტის №...), თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 13 სექტემბრის სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების (საქმე №2/22575-19) საფუძველზე, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, შეჩერდა რეგისტრირებული მონაცემების მოქმედება სს „კ-ს“ 2012 წლის 3 აგვისტოს აქციონერთა კრების №1 ოქმის შესაბამისად სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევის და გამონწვევისთვის საჭირო ხმათა რაოდენობის ნაწილში.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით უარი ეთქვა სს „კ-ს“ აქციონერების სს „გ-ს“ და სს „ს-ის“ წარმომადგენელს – გ. ო-ეს 2019 წლის 27 დეკემბრის №... ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე, რომლითაც იგი მოითხოვდა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ ბიზნესის რეგისტრაციის სამსახურის №... (23.12.2019) გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და №... სარეგისტრაციო განცხადებასთან დაკავშირებით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დავალებას.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, სამეწარმეო იურიდიული პირების რეგისტრაცია, სადავო პერიოდში მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განეკუთვნებოდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას. ანალოგიური სახის საკანონმდებლო რეგულაცია მოქმედებს დღეისათვის მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მეწარმის რეგისტრაციას ახორციელებს მარეგისტრირებელი ორგანო – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიიჩნევა არა მხოლოდ სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტური შემადგენლობის ანუ იმის გამო, რომ მოთხოვნის ადრესატი არის ადმინისტრაციული ორგანო, არამედ – სადავო სამართალურთიერთობის საჯაროსამართლებრივი კანონმდებლობიდან წარმოშობის, სადავო სამართალურთიერთობის ბუ-

ნების გამო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სს „ს-ის“ (ს/ნ ...) და სს „გ-ს“ (ს/ნ ...) სასარჩელო მოთხოვნა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, რამდენადაც სამენარმეო რეესტრში ცვლილების შეტანა რეგულირდება „მენარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისი ნორმებით. სამენარმეო საქმიანობა კი „მენარმეთა შესახებ“ კანონით მონესრიგებული კერძოსამართლებრივი საქმიანობის ფორმაა.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ სამართალურ-თიერთობას არ გააჩნია საჯაროსამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტი – დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, რის გამოც არ არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის. ამასთან, საკასაციო სასამართლოს მითითებით, განსჯადობის საკითხის ამგვარი გადაწყვეტა შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს დამკვიდრებულ პრაქტიკას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 04.04.2013წ. განჩინება საქმეზე №ბს-844-828(გ-12); 26.09.2019წ. განჩინება საქმეზე №ბს-867(გ-19)).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. მე-3 ნაწილის მიხედვით კი, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით.

ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სს „ს-ის“ და სს „გ-ს“ სარჩელი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უძრავი ქონების დამოუკიდებელი სააგენტოს დაკავშირებით დავის განსჯადობა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-307(გ-22)

19 მაისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. აბუსერიძე,
ბ. სტურუა**

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2019 წლის 16 მაისს ი. ი-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ ი. ი-ის სასარგებლოდ სახელმწიფოს მოხელეთა მხრიდან დანაშაულებრივი გზით მიყენებული ზიანის 302 768 ლარის ოდენობით მოპასუხეებისათვის სოლიდარულად გადასახდელოდ დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 20 მაისის განჩინებით სარჩელზე დადგენილ იქნა ხარვეზი. 2019 წლის 3 ივნისს თბილისის საქალაქო სასა-

მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას დაზუსტებული სარჩელით მიმართა მოსარჩელე ი. ი-მა, მოპასუხეების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ ი. ი-ის სასარგებლოდ სახელმწიფოს მოხელეთა მხრიდან დანაშაულებრივი გზით მიყენებული მატერიალური ზიანის 302 768 (სამას ორი ათას შვიდა სამოცდარვა) ლარის ოდენობით მოპასუხეებისათვის სოლიდარულად გადასახდელად დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 9 ივნისის განჩინებით ი. ი-ის სარჩელი ხარვეზის შევსების შედეგად მიღებულ იქნა წარმოებაში და დასაშვებად იქნა ცნობილი.

2021 წლის 18 მაისს მოსარჩელემ კვლავ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და წარადგინა დაზუსტებული სარჩელი, რომლითაც დააზუსტა მოპასუხეთა წრე და მოპასუხეებად მიუთითა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ამასთან, ამავე სარჩელით დაზუსტებულ იქნა სასარჩელო მოთხოვნაც, რის შედეგადაც, საბოლოოდ, მოსარჩელემ ი. ი-ის სასარგებლოდ სახელმწიფოს უსაფუძვლო გამდიდრების გამო მიყენებული ზიანის 316 088 (სამას თექვსმეტი ათას ოთხმოცდარვა) ლარის ოდენობით მოპასუხეებისათვის სოლიდარულად გადასახდელად დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 10 მარტის განჩინებით ი. ი-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტზე, მე-16 მუხლზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ და მე-3 ნაწილებზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე და განმარტა, რომ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას ადმინისტრაციული საქმეების განსჯადობის მთავარ ასპექტს, გარდა იმისა, რომ ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო, ასევე წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი ხასიათი. ამდენად, ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სა-

მართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ ერთ-ერთი მხარე იყოს ადმინისტრაციული ორგანო და მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხე – ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ასევე აღნიშნა, რომ ზიანის ანაზღაურების შესახებ დავებთან დაკავშირებით მხედველობაში იყო მისაღები აგრეთვე ის გარემოება, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის თანახმად, დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიიჩნევა, უკეთუ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მიმართულია ადმინისტრაციული ორგანოს და არა ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მიმართ, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვისათვის დავის საგანს უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე, ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა განეკუთვნება არა ადმინისტრაციულ, არამედ სამოქალაქო საქმეთა კატეგორიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის სამართლებრივ ინტერესს წარმოადგენდა მოპასუხეებს – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოსარჩელე ი. ი-ის სასარგებლოდ სოლიდარულად გადასახდელად დაკისრებოდათ სახელმწიფოს უსაფუძვლო გამდიდრების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება 316 088 (სამას თექვსმეტი ათას ოთხმოცდარვა) ლარის ოდენობით. სასამართლომ აღნიშნა, რომ განსჯადობის სუბიექტთა თეორია, მიუხედავად იმისა, რომ აქტიურად გამოიყენება გამიჯვნის კრიტერიუმად, ფორმალურია და მოკლებულია სამართალურთიერთობის გაანალიზების, მისი არსის წვდომის უნარს. განსჯადობის საკითხში კანონმდებელმა გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა სადავო სამართალურთიერთობის ბუნებას და არა მის მონაწილეებს, ვინაიდან თავად საქართველოს სამოქალაქო კოდექსითვე განისაზღვრა, რომ კერძო სამართლის სუბიექტი შეიძლება იყოს სახელმწიფო ორგანოც. კერძოდ, მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სახელმწიფო ორგანოებისა და

საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით.

სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველი დავის შემთხვევაში, მართალია, მოპასუხეს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანო, თუმცა სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. მოთხოვნა დაფუძნებული იყო სამოქალაქო სამართლის ნორმებზე, კერძოდ, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის 976-991-ე მუხლები (უსაფუძვლო გამდიდრება).

ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე და მიიჩნია, რომ ი. ი-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა გადასცემოდა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 21 მარტის განჩინებით სამოქალაქო საქმე – ი. ი-ის სარჩელი მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას დავის სამოქალაქო-სამართლებრივი კატეგორიისადმი მიკუთვნების შესახებ. სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე და აღნიშნა, რომ განსახილ-

ველ შემთხვევაში, მოსარჩელე ი. ი-ის სარჩელი მიმართული იყო მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ, ხოლო სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოების ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელე დავის ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითებდა, რომ 2011 წლის ივნისში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მოხელეთა მხრიდან განხორციელებული იძულებისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად, ი. ი-ი იძულებული გახდა 2011 წლის 13 ივნისს დაენერა განცხადება მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის (ს.კ. ...) სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ მიტოვების შესახებ, რის საფუძველზეც, მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ნივთი აღირიცხა სახელმწიფო საკუთრებად. მითითებულ ფაქტზე საქართველოს მთავარ პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის №074291118801 საქმე. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2018 წლის 4 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე, ი. ი-ი ცნობილ იქნა დაზარალებულად, კერძოდ, გამოძიებით დადგინდა, რომ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს ცალკეულ თანამშრომელთა მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედების შედეგად, ი. ი-ის მიადგა ქონებრივი და მორალური ზიანი. სწორედ ამ გარემოებებზე დაყრდნობით ითხოვდა მოსარჩელე ადმინისტრაციული ორგანოებისგან ზიანის ანაზღაურებას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციით დამკვიდრებულია პრინციპი, რომელიც სახელმწიფოს აკისრებს მისი ორგანოებისა და მოსამსახურეების უკანონო ქმედებით დამდგარი ზიანის ანაზღაურებას. კერძოდ, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოსგან ან მოსამსახურისგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. კონსტიტუციით აღიარებული ეს პრინციპი ასევე ასახულია ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში, რომლის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის გამომწვევი ქმედება არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმე-

დებისგან, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამოწვევების გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 207-ე მუხლზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველ ნაწილზე და აღნიშნა, რომ კანონმდებლობით ცალსახად არის დადგენილი სახელმწიფოს ვალდებულება, სრულად აანაზღაუროს მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანი, თუკი კუმულაციურად არსებობს ზიანის ანაზღაურების კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობები. ამდენად, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ ი. ი-ის სარჩელი მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ – გამომდინარეობდა ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, ვინაიდან შესაძლოა სახეზე ყოფილიყო საჯარო მოხელეების ქმედებით გამოწვეული ზიანი.

რაც შეეხება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მითითებას, რომ მოთხოვნა დაფუძნებული იყო სამოქალაქო სამართლის ნორმებზე, კერძოდ, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის 976-991-ე მუხლები (უსაფუძვლო გამდიდრება), სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ და მე-3 ნაწილებზე და განმარტა, რომ დავაში ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა თავისთავად არ წყვეტს საგნობრივი განსჯადობის საკითხს, არამედ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისთვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით (სუსგ 16.04.2020 წ. საქმე №ბს-497(გ-19)).

მოცემული დავის განსჯადობის საკითხის გადაწყვეტის მიზ-

ნით, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ორ მნიშვნელოვან ასპექტზე, კერძოდ, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ დავის მონაწილეები (მოპასუხე) არიან ადმინისტრაციული ორგანოები და მოსარჩელეს მიადგა ზიანი ადმინისტრაციული ორგანოს (უფრო კონკრეტულად, სამმართველოს თანამშრომლების) ქმედებით, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული იყო მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო მმართველობის სფეროში ძალაუფლების გამოყენება გამოხატულია მაგალითად, განკარგულებებში, რეგულაციების სახით მიღებულ ოფიციალურ გადაწყვეტილებებში ან მოხელეთა ფაქტობრივ ქმედებებში. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მოხელეებმა, მათთვის სამსახურის (ადმინისტრაციული ორგანო) მიერ მინიჭებული ძალაუფლების გამოყენების საშუალებით, მიაღწიეს, რომ ი. ი-მა თავისი ნების საინინააღმდეგოდ სახელმწიფოს სასარგებლოდ მიატოვა საკუთრება. ამდენად, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ დავა თავისი არსით შეეხებოდა ნეგატიური ვალდებულებების განუხორციელებლობით სახელმწიფო ორგანოების მხრიდან მოსარჩელისათვის საკუთრების უფლების შეზღუდვას, რაც ზემოხსენებულ სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში, დავის საჯარო ხასიათს უსვამდა ხაზს და ესადაგებოდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულ, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა ჩამონათვალს.

ამასთან, სასამართლომ დამატებით მოიხმო საკასაციო სასამართლოს განმარტება, რომლის თანახმად, საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვის საფუძველზე (სუსგ 22.02.2022წ., საქმე №ას-1190-2021). ამდენად, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული სამართლებრივი ნორმები, სასამართლოსთვის არ წარმოადგენდა სავალდებულო ხასიათის გარემოებას, არათუ განსჯადობის განმსაზღვრელ საფუძველს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ი. ი-ის სარჩელი მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.). კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად სამოქალაქო დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული წესით სასამართლოთა განსჯად საქმეებს, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრა-

ციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

განსახილველ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ორ სხვადასხვა კოლეგიას შორის დავა საგნობრივ განსჯადობასთან დაკავშირებით არის წარმოშობილი. ამდენად, დასადგენია, მოცემული საქმე წარმოადგენს ადმინისტრაციული თუ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას. შესაბამისად, შეფასებას საჭიროებს არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი, რადგან განსჯადობის საკითხის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ დავის ბუნებას და არა სუბიექტურ შემადგენლობას ენიჭება. სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძო-სამართლებრივი ურთიერთობები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამოქალაქო კანონმდებლობით წესრიგდება. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯარო-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი ფორმები.

საკასაციო სასამართლო, უპირველესად, ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საწყის ეტაპზე მოსარჩელე ი. ი-ის მიერ სარჩელი აღძრულ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, კერძოდ, მოსარჩელე მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 998-ე და 1005-ე მუხლებს. 2021 წლის 18 მაისს წარდგენილი დაზუსტებული სარჩელით დაზუსტდა მოპასუხეთა წრე, კერძოდ, ი. ი-იმა თანამოპასუხეებად მიუთითა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. ამასთან, მოსარჩელემ დააზუსტა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, უფრო კონრეტულად, მან სა-

სარჩელო მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ უსაფუძვლო გამდიდრების (976-991-ე მუხლები) მარეგულირებელ ნორმებს – 978-ე მუხლს, 979-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებსა და 985-ე მუხლს დააყრდნო. დაზუსტებულ სარჩელში მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ქონების უკანონოდ ჩამორთმევის შედეგად, სახელმწიფომ უსაფუძვლოდ მიიღო მნიშვნელოვანი ქონება, რის შედეგადაც ადგილი აქვს უსაფუძვლო გამდიდრებას სახელმწიფოს მხრიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ არსებითია შეფასდეს ყველა ის მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს განსჯადი სასამართლოს განსაზღვრის პროცესში. ამ კუთხით საგულისხმოა, რომ დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისათვის მიკუთვნებისთვის არ კმარა საქმეში ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება როგორც სამენარმეო, ასევე არასამენარმეო, საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის პირების მიმართ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი.

ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს საქმეში მონაწილეობა არის ერთ-ერთი, თუმცა არა ერთადერთი კრიტერიუმი იმისათვის, რათა დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიას მიეკუთვნოს. ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვისათვის არსებითია, თავად სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ამ თვალსაზრისით გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს არა დავის განხილვის პროცესში გამოსაყენებელ ნორმათა მდებარეობა ერთიან საკანონმდებლო სისტემაში, არამედ იმ სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი, რომლიდანაც წარმოშობილ იქნა სადავო სამართალურთიერთობა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამართლის სისტემა ეფუძნება ერთიანობის პრინ-

ციპს, ხოლო მისი კატეგორიებად დაყოფა არის ფორმალური და მას პრაქტიკული მნიშვნელობა შესაძლოა მხოლოდ პროცესუალურ-სამართლებრივი გაგებით მიენიჭოს. უფრო კონკრეტულად, განსახილველ დავათა გადანაწილებას, მათ სხვადასხვა წესით განსახილველ საქმეებად კლასიფიცირებას ამართლებს უშუალოდ სამართალწარმოების თავისებურება, კერძოდ, საქმის სპეფიციკა, მისი შინაარსი მოითხოვს სხვადასხვა პროცესუალური მექანიზმების დანერგვასა და ქმედით მოქმედებას სამართალწარმოებაში. თუმცა მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, სამართლის სფეროთა კლასიფიცირება და აღნიშნულის საფუძველზე, დავათა სხვადასხვა სამართალწარმოების წესის განსახილველ საქმეებად დიფერენციაცია არ ზღუდავს სასამართლოს, გამოიყენოს სამართლის ნებისმიერი სფეროს მომწესრიგებელი საკანონმდებლო სისტემის შემადგენელი სამართლის ნორმა და განმარტოს იგი განსახილველი საქმის გადანაწილებისათვის.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განმხილველი სასამართლოები არ ქმნიან ერთმანეთისგან იზოლირებულ, ცალკე სასამართლო სისტემებს, მართლმსაჯულების ნებისმიერი განშტოება სასამართლო დავის გადანაწილებისას უფლებამოსილია გამოიყენოს და განმარტოს ნებისმიერი ნორმატიული, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი აქტი, მათი რეგულირების საგნის და გამოცემი ორგანოს მიუხედავად. დავის კომპლექსური ხასიათი და გამოსაყენებელი ნორმების სიმრავლე ართულებს საჯარო და კერძო-სამართლებრივ საკითხებს შორის მკვეთრი ზღვრის გავლენას, ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს დავის მთავარი კომპონენტის დადგენას, განსაზღვრის განსაზღვრისას მთავარი საკითხის გადამწყვეტ სასამართლოს აქვს უფლება გადამწყვეტოს დავის ყველა კომპონენტი. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მხოლოდ ნორმათა მდებარეობა გავლენას ვერ მოახდენს განსაზღვდი სასამართლოს განსაზღვრაზე, რამდენადაც ასეთ დროს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თავად იმ სამართალური თვითობის შინაარსს, რომლის საფუძველზეც წარმოშობილ იქნა დავა.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება იძულებით უძრავი ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმობის აქტს, რომელიც, თავისი შინაარსით, წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივ გარიგებას. მოსარჩელე მოპასუხე სახელმწიფო უწყებებს ედავება მის მიმართ განხორციელებული იძულების სამართლებრივ შედეგებზე, ამასთან, მოსარჩელის მიერ მითითებული იძულება შესაძლოა გამოხატული იყოს

სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების – უძრავი ქონების დათმობის ხელშეკრულებით, რომელიც ძალაშია და არ გაუქმებულა. თავის მხრივ, მართალია, მოსარჩელე მხარე სარჩელის საფუძვლიანობას დაზარალებულად ცნობის შესახებ 2018 წლის 4 დეკემბრის დადგენილებაზე დაყრდნობით ამტკიცებს, თუმცა იმ პირობებში, როდესაც ამ საქმესთან მიმართებით არ არსებობს სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, მხოლოდ პირის დაზარალებულად ცნობა და სავარაუდო დანაშაულთან დაკავშირებით გამოძიების მიმდინარეობა არ ადასტურებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) ჩადენას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებზე, როგორც მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე მითითებით, მოსარჩელე ცდილობს დაამტკიცოს სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების წარმოშობ ნებაზე ზემოქმედება, ის, რომ მის მიერ დასახელებულ შესაძლო იძულებით დადებულ გარიგებას არ შეეძლო რეალურად წარმოეშვა უძრავი ქონების დათმობის ვალდებულება. იგი სწორედ ამგვარი ვალდებულების არარსებობის მოტივით ცდილობს დაადასტუროს სახელმწიფოს ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გამდიდრება. ამდენად, სასამართლოს დავის გადაწყვეტის პროცესში უნევს უძრავი ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმობის განცხადების, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების სამართლებრივი შედეგების შეფასება, რაც ცხადია, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა განხორციელდეს.

საკასაციო პალატა ასევე განმარტავს, რომ ამ ეტაპისათვის ი. ი-ის სარჩელი თავისი შინაარსით სამოქალაქო-სამართლებრივია, რამდენადაც იგი მიზნად ისახავს სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების უსაფუძვლობის მტკიცებას და ამ მოტივით მოპასუხეთა მხრიდან მოსარჩელის სათანადო ღირებულებით კომპენსირებას. თუმცა დავის სპეფიციკისა და მისი კომპლექსური ხასიათის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო არ გამორიცხავს, რომ სარჩელის სახეცვლილებამ (მოსარჩელის მხრიდან სასარჩელო მოთხოვნათა ტრანსფორმირების შემთხვევაში) დავა აქციოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივად და წარმოიშვას განსჯადი სასამართლოს ხელახლა განსაზღვრის საჭიროება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქ-

მე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ი-ის სარჩელი, მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უსაფუძვლო გამდიდრების გამო თანხის ანაზღაურების თაოგაზეღავის განსჯადობა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-596(გ-22)

13 ოქტომბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

გ. აბუსერიძე,

ბ. სტურუა

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 29 მარტს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა

სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – ზ. ა-ის, ა. ა-ის, ე. ა-ის, თ. ა-ისა და მ. ჟ-ის მიმართ.

მოსარჩელემ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სასარგებლოდ მოპასუხეებისათვის №09005 საგადახდო დავალების შესაბამისად, კერძო მესაკუთრე თ. ჯ-ასადმი სამინისტროს მიერ გადახდილი თანხის – 25000 (ოცდახუთი ათასი) ლარის ანაზღაურების სოლიდარულად დაკისრება მოითხოვა. ამასთან, მოსარჩელემ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, მოპასუხეთა საკუთრებაში არსებულ, ...ში, სოფელ ...ში (ს.კ. ...) მდებარე უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 მარტის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სარჩელი მოპასუხეების – ა. ა-ის, ა. ა-ის, ე. ა-ის, თ. ა-ისა და მ. ჟ-ის მიმართ, განსჯადობის წესების დაცვით, განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 8 აპრილის განჩინებით სარჩელი მიღებულ იქნა სასამართლო წარმოებაში და ცნობილ იქნა დასაშვებად. ამავე განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე დაკმაყოფილდა; ყადაღა დაედო მოსარჩელების – ა. ა-ის, ე. ა-ის, თ. ა-ისა და მ. ჟ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას მდებარე ...ი, სოფელი ...ი (ს.კ. ...).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 4 ივნისის განჩინებით მოპასუხე მხარის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და შეჩერდა №3/2418-17 ადმინისტრაციული საქმის წარმოება (მოსარჩელე – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, მოპასუხეები – ზ. ა-ე, ა. ა-ე, ე. ა-ე, თ. ა-ე და მ. ჟ-ი; დავის საგანი – თანხის დაკისრება), №3/8613-16 ადმინისტრაციულ საქმეზე (მოსარჩელები – თ. ა-ე, ნ. ს-ი, ზ. ა-ე, ა. ა-ე, ე. ა-ე, თ. ა-ე, ზ. ა-ე, ნ. ა-ე, მ. ა-ე, გ. ა-ე; მოპასუხე – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო; დავის საგანი – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული

ციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის დავალება, მიუღებელი შემწეობის ანაზღაურების დაკისრება) გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 7 დეკემბრის განჩინებით განახლდა №3/2418-17 ადმინისტრაციული საქმის წარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 17 თებერვლის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 24 მარტის განჩინებით სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავდროულად მე-3 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვით, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარ-

მოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას ადმინისტრაციული საქმეების განსჯადობის მთავარ ასპექტს, გარდა იმისა, რომ ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო, ასევე წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი ხასიათი. ამდენად, ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ ერთ-ერთი მხარე იყოს ადმინისტრაციული ორგანო და მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლებ(ებ)ის დარღვევა, თავისი არსითა და შინაარსით, განპირობებული უნდა იყოს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის სამართლებრივ ინტერესს წარმოადგენდა მოპასუხეებისათვის სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს სასარგებლოდ უსაფუძვლო გამდიდრების გამო 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარის ოდენობით ანაზღაურების დავალება, რამდენადაც მათ ჩამოერთვათ დევნილის სტატუსი, რაც მათთვის საცხოვრებელი ბინის გადაცემის საფუძველი გახდა.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ განსჯადობის სუბიექტთა თეორია, მიუხედავად იმისა, რომ აქტიურად გამოიყენება გამიჯვნის კრიტერიუმად, ფორმალურია და მოკლებულია სამართალურთიერთობის გაანალიზების, მისი არსის წვდომის უნარს. განსჯადობის საკითხში კანონმდებელმა გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა სადავო სამართალურთიერთობის ბუნებას და არა მის მონაწილეებს, ვინაიდან თავად საქართველოს სამოქალაქო კოდექსითვე განისაზღვრა, რომ კერძო სამართლის სუბიექტი შეიძლება იყოს სახელმწიფო ორგანოც. კერძოდ, მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დამატებით განმარტა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მართალია, მოსარჩელეს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანო, თუმცა სადავო სამართალური თეორია არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. მოთხოვნა დაფუძნებული იყო სამოქალაქო სამართლის ნორმებზე, კერძოდ, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის 976-991-ე მუხლები (უსაფუძვლო გამდიდრება).

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს სარჩელი, მოპასუხეების – ზ. ა-ის, ა. ა-ის, ე. ა-ის, თ. ა-ისა და მ. ჟ-ის მიმართ განსჯადობით განსახილველად უნდა გადასცემოდა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 10 მაისის განჩინებით სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიკუთვნებითი სარჩელის მოთხოვნა ფორმულირებული

იყო 25 000 ლარის დაკისრებით, ხოლო სარჩელის ფაბულა დაკავშირებული იყო დევნილის სტატუსის დაკარგვასთან.

სასამართლოს შეფასებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის ხაზგასმა, რომ სამართლებრივი ურთიერთობა უნდა იყოს მოქცეული ადმინისტრაციული კანონმდებლობის სივრცეში, ერთმნიშვნელოვნად არ გულისხმობს მხოლოდ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მისადაგებას ადმინისტრაციულ რეგულაციებთან. სხვა შემთხვევაში, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურებას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ვერ იქნება განხილული ადმინისტრაციული წესით, რადგან, როგორც წესი, მსგავსი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს ქმნის დელიქტური რეგულაციები. ამგვარად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მოწესრიგების საგნად განიხილება არა მხოლოდ მოთხოვნის საფუძველი, არამედ, მათ შორის, დამხმარე და სპეციალური სამართლებრივი თავისებურებები, რომელიც განსაზღვრავს მხარის ან საგნის სტატუსს, სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის ან შეწყვეტის წინაპირობებს და ა.შ., რომლის გარეშე შეუძლებელია დამაფუძნებელი ნორმის გამოყენება.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ აღნიშნული სარჩელის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვა განპირობებული იყო სასარჩელო მოთხოვნის შინაარსით, რომელიც ერთი შეხედვით, დაფუძნებული იყო უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივ საფუძვლებზე. სამართალში დამკვიდრებული პრინციპის თანახმად, არავინ არ შეიძლება გამდიდრდეს შესაბამისი საფუძვლის გარეშე. უსაფუძვლო გამდიდრების იურიდიული ფუნქციაა, უზრუნველყოს სამართლებრივი მექანიზმების არსებობა, რომელიც განსაზღვრავს დაზარალებულის შესაძლებლობას, ამოიღოს გამდიდრებული პირისაგან (ვიტომ-კრედიტორი) ვალდებულების გარეშე გადაცემული ქონებრივი აქტივები. ამდენად, სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოს შეფასების ამოსავალი საკითხია შესრულების სამართლებრივი საფუძვლის არსებობა, რაც, განსახილველი დავის ფარგლებში, ადმინისტრაციულ კანონმდებლობას ეფუძნება.

თუმცა, სამოქალაქო პალატამ განმარტა, რომ იმისათვის, რათა შეფასდეს გადახდილი თანხა ქმნის თუ არა უსაფუძვლო გამდიდრების წინაპირობებს, პირველ რიგში, შესაძლებელია, არსებობდა თუ არა სამართლებრივი საფუძველი თანხის განხორციელებისთვის, რაც პირდაპირ უკავშირდება როგორც დევნილის სტატუსს, ისე სახელმწიფოს საჯარო-სამართლებრივ ფუნქციებს იძულებით გადაადგილებულ პირებთან მიმართებით. ამდენად, მოთხოვნის სა-

მართლმადიდებელი საეკლესიო წარმომადგენლებისა და მისი რელიგიური საზოგადოების გადამწყვეტი იმ სამართლებრივი თავისებურებების განსაზღვრა და შეფასება, რომელიც ადმინისტრაციული კანონმდებლობით არის რეგლამენტირებული. სასამართლომ უნდა შეაფასოს, გადახდა განხორციელდა თუ არა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 თებერვლის №127 დადგენილების და 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანების ფარგლებში, ხომ არ არსებობს ამავდროულად აქტებით განსაზღვრული სპეციფიკური მოთხოვნები გადარიცხული თანხის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით, შესაბამისი გარემოებებისა და ვითარების გათვალისწინებით; ამავდროულად, მინიჭებული აქვს თუ არა მოპასუხეს დევნილის სტატუსი კანონმდებლობის შესაბამისად და ის სამართლებრივი შედეგები, რომელიც დევნილის სტატუსთან არის დაკავშირებული. სასამართლოს შეფასებით, საგულისხმო იყო ისიც, რომ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს სარჩელი, ამ ძირითად საკითხებზე მითითებისას, ადმინისტრაციულ კანონმდებლობას ეფუძნება და თანხის უკან დაბრუნების ცენტრალურ წინაპირობად დევნილის სტატუსის დაკარგვაა მითითებული.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ, ასევე, განმარტა, რომ მსგავსი შინაარსის დავა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ განიხილა და 2016 წლის 22 მარტის განჩინებით (საქმე №ბს-852-844(გ-15)) იგი ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას დაუქვემდებარა. აღნიშნული სარჩელის ფაბულა ასევე მოიცავდა გადახდილი პენსიის უკან დაბრუნებას იმ მოტივით, რომ პენსიის მიმღები პირი იყო გარდაცვლილი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული საკითხი ექვემდებარებოდა ადმინისტრაციულ იურისდიქციას, რადგან მისი შეფასება პირდაპირ დაკავშირებული იყო ადმინისტრაციულ კანონმდებლობასთან, კერძოდ, „საქართველოს პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონთან, რომელიც არეგულირებდა პენსიის გაცემისა და შეწყვეტის სამართლებრივ წინაპირობებს.

ამდენად, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს სარჩელი, მიუხედავად უსაფუძვლო გამდიდრებისათვის დამახასიათებელი სამართლებრივი კომპონენტების არსებობისა, თავსდება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წინაპირობებში და ექვემდებარება ადმინისტრაციულ იუსტიციას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უფლებამონაცვლის) სარჩელი მოპასუხეების – ზ. ა-ის, ა. ა-ის, ე. ა-ის, თ. ა-ისა და მ. ჟ-ის მიმართ, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.). კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად სამოქალაქო დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული წესით სასამართლოთა განსჯად საქმეებს, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შე-

საბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

განსახილველ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ორ სხვადასხვა კოლეგიას შორის დავა საგნობრივ განსჯადობასთან დაკავშირებით არის წარმოშობილი. ამდენად, დასადგენია, მოცემული საქმე წარმოადგენს ადმინისტრაციული თუ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას. შესაბამისად, შეფასებას საჭიროებს არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი, რადგან განსჯადობის საკითხის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ დავის ბუნებას და არა სუბიექტურ შემადგენლობას ენიჭება. სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძო-სამართლებრივი ურთიერთობები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამოქალაქო კანონმდებლობით წესრიგდება.

საკასაციო სასამართლო, უპირველესად, ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის სამართლებრივ ინტერესს წარმოადგენს მოპასუხეებისათვის სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს სასარგებლოდ უსაფუძვლო გამდიდრების გამო 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარის ოდენობით ანაზღაურების დავალება, რამდენადაც მათ ჩამოერთვათ დევნილის სტატუსი, რაც მათთვის საცხოვრებელი ბინის გადაცემის საფუძველი გახდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ არსებითია შეფასედეს ყველა ის მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს განსჯადი სასამართლოს განსაზღვრის პროცესში. ამ კუთხით საგულისხმოა, რომ დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისათვის მიკუთვნებისთვის არ კმარა საქმეში ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნე-

ბისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება როგორც სამენარმეო, ასევე არასამენარმეო, საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის პირების მიმართ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით.

ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს საქმეში მონაწილეობა არის ერთ-ერთი, თუმცა არა ერთადერთი კრიტერიუმი იმისათვის, რათა დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიას მიეკუთვნოს. ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვისათვის არსებითია, თავად სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს. განსახილველ შემთხვევაში კი, მართალია, მოსარჩელეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, თუმცა სადავო სამართალურთიერთობა არ მიეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ ჩამონათვალს, ასევე, დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. მოთხოვნა დაფუძნებულია სამოქალაქო სამართლის ნორმებზე, კერძოდ, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 976-991-ე მუხლები (უსაფუძვლო გამდიდრება).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზ-

რუნველყოფის სააგენტოს (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უფლებამონაცვლის) სარჩელი მოპასუხეების – ზ. ა-ის, ა. ა-ის, ე. ა-ის, თ. ა-ისა და მ. ჟ-ის მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე დავის განსჯადობა

განსჯადობა სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-844(გ-21)

16 ნოემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ბ. სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე;
გ. აბუსერიძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და ხაშურის რაიონულ სასამართლოს შორის თ. ხ-ს საჩივრის გამო წარმოშობილი დავა განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2021 წლის 17 სექტემბერს თ. ხ-მ საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის №სდ... საჯარიმო ქვითრისა და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2021 წლის 13 სექტემბრის MIA 6 21 02419967 დადგენილების გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 21 სექტემბრის დადგენილებით თ. ხ-ს საჩივარი განსჯადობით გადაეგზავნა ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, 2012 წლის 26 აპრილს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებების შედეგად, ამავე კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტით იმპერატიულად განისაზღვრა, რომ საქმეები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-

თლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, განიხილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ამ კატეგორიის საქმეთა სხვა (სასარჩელო) სამართალწარმოების წესით განხილვა, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების წესი და ვადა დადგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე და 273-ე მუხლებით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო; ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საქმეებს, გარდა ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმეებისა. ამავე კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ საქმეებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს ასევე ადმინისტრაციულ საქმეებს იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე.

კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლოს მითითებით, საჩივრის ავტორის საცხოვრებელი მისამართია სურამი, სოფელი ..., შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ თ. ხ-ს საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლოა ხაშურის რაიონული სასამართლო.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 24 სექტემბრის დადგენილებით თ. ხ-ს საჩივარი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის განსჯადობა, კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵–159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო; იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე–125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. საჩივრისა და ელექტრონული საჯარიმო ქვითრის მიხედვით, სამართალდარღვევის ჩადენის ადგილია ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ... ქუჩა, ხოლო სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილი – ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ.

ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის შესაბამისად, მოცემულის საქმის განსჯადი სასამართლო შეიძლება იყოს როგორც თბილისის საქალაქო სასამართლო (ძირითადი) ისე ხაშურის რაიონული სასამართლო (ალტერნატიული).

რაიონული სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს.

კონკრეტულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორმა თ. ხ-მ გამოიყენა კანონით მისთვის მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის შესახებ და დავის გადასაწყვეტად მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. შესაბამისად, რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, საქმის განხილვაზე უფლებამოსილი ერთადერთი სასამართლო გახდა თბილისის საქალაქო სასამართლო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ხაშურის რაიონულ სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლება-

მოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ თ. ხ-ს საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივი, არამედ ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება ტერიტორიული განსჯადობის საკითხს.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, რამდენადაც ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობის, ასევე აქტის გამოცემის თუ ქმედების განხორციელების მოთხოვნით აღძრული სარჩელი ყველა შემთხვევაში მიემართება იმ ადმინისტრაციული ორგანოსადმი, რომლის კომპეტენციაშიც შედის ზემოაღნიშნული სამართალურთიერთობის გადაწყვეტა, სარჩელი, საერთო პრინციპის თანახმად, როგორც წესი შედის იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო.

ტერიტორიული განსჯადობის პრინციპი მომდინარეობს სსსკ-ის მე-15 მუხლიდან და მდგომარეობს შემდეგში: სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს. შესაბამისად, მითითებული მუხლი რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში არჩევანის უფლებას მოსარჩელეს ანიჭებს. განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის პრეროგატივა და ერთპიროვნული საპროცესო უფლებაა, რასაც იგი განსაზღვრავს სარჩელის წარდგენის დროს, ანუ ირჩევს იმ სასამართლოს, სადაც წარადგენს სარჩელს. ამასთან, მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი დაუშვებელია როგორც მოპასუხის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი (განსჯადობა მოსარჩელის არჩევით) უზრუნველყოფს მოსარჩელის ინტერესების დაცვას.

წინამდებარე შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2021 წლის 12 აგვისტოს №სდ... საჯარიმო ქვითრისა და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2021 წლის 13 სექტემბრის MIA 6 21 02419967 დადგენილების კანონიერების შემოწმება. დადგენილია, რომ თ. ხ-ს მიმართ 2021 წლის 12 აგვისტოს №სდ... ელექტრონული საჯარიმო ქვითარი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116.1.0 მუხლის მიხედვით, ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ხოლო თ. ხ-ს საცხოვრებელი ადგილია ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ¹“ პუნქტის შესაბამისად, სასამართლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის კანონიერების საკითხს იხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო; ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამდენად, კანონმდებლობა 116-ე მუხლთან დაკავშირებით ით-

ვალისწინებს ალტერნატიულ განსჯადობას, კერძოდ, 116-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა შესაძლებელია როგორც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, ასევე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გასაჩივრებულ აქტს საფუძვლად უდევს 116-ე მუხლი. თ. ხ-ის მიმართ №სდ... ელექტრონული საჯარიმო ქვითარი შედგენილია ქ. თბილისში, თ. ხ-ს საცხოვრებელ ადგილს კი წარმოადგენს ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. შესაბამისად, თ. ხ. უფლებამოსილი იყო გამოეყენებინა სასამართლოს არჩევის უფლება და მიემართა სასამართლოსათვის სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება ხაშურის რაიონული სასამართლოს მსჯელობას, რომ საჩივრის ავტორმა – თ. ხ-მ გამოიყენა კანონით მისთვის მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის შესახებ.

შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თ. ხ-ს საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით,

და ა დ გ ი ნ ა:

1. თ. ხ-ს საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განსჯადობა სამართალდარღვევის სავარაუდო
ჩადენის ადგილის მიხედვით**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-33(გ-22)

14 იანვარი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე**

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირ-
ველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქარ-
თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3
ნაწილის საფუძველზე, განიხილა ე. კ-ის საჩივრის განსჯადობის
თაობაზე ბოლნისის რაიონულ სასამართლოსა და თბილისის საქა-
ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის
წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

ე. კ-მა 2021 წლის 6 დეკემბერს ადმინისტრაციული საჩივრით
მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიას, მოწინააღმდეგე მხარის – გარემოსდაცვითი
ზედამხედველობის დეპარტამენტის მიმართ და ამავე დეპარტა-
მენტის 2021 წლის 26 ნოემბრის №გზდ 002764 ადმინისტრაციული
სამართალდარღვევის ოქმის გაუქმება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიის 2021 წლის 9 დეკემბრის დადგენილებით ე. კ-ის საჩი-
ვარი, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2021
წლის 26 ნოემბრის №გზდ 002764 ადმინისტრაციული სამართალ-
დარღვევის ოქმის გაუქმების თაობაზე, განსჯადობით განსახილ-
ველად გადაეგზავნა ბოლნისის რაიონულ სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრა-
ციული საპროცესო კოდექსით დადგენილია განსჯადი სასამარ-
თლოს მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტის აუცილებლობის
პრინციპი. სასამართლომ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევა-
თა კოდექსის 261-ე მუხლზე მითითებით, მიიჩნია, რომ ადმინის-
ტრაციული სამართალდარღვევის საქმე განხილულ უნდა იქნეს მი-
სი ჩადენის ადგილას. შედეგად, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლე-

გიათ ყურადღება გაამახვილა სამართალდარღვევის შესაძლო ჩადენის ადგილზე და მიუთითა, რომ №გზდ 002764 ოქმი შეეხება დმანისში, სოფელ ...ში ჩადენილ დარღვევას და საქმე უნდა განიხილოს სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას მოქმედმა სასამართლომ. ასეთად მიჩნეულ იქნა ბოლნისის რაიონული სასამართლო.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 20 დეკემბრის დადგენილებით ე. კ-ის საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 10 იანვრის განჩინებით საქმე ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მასზე, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ქალაქ თბილისში. ოქმში მითითებულია, რომ ე. კ-მა 2021 წლის 26 ნოემბერს, ქალაქ თბილისში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ღია წვის წესით დაწვა საბურავები. ამდენად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სავარაუდო ჩადენის ადგილს წარმოადგენს ქალაქი თბილისი და არა დმანისის რაიონი, სოფელი ..., როგორც ეს თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა თავის დადგენილებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლზე მითითებით, აღნიშნა, რომ საქმე განხილულ უნდა იქნეს სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას. შესაბამისად, ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ე. კ-ის საჩივრის განხილვაზე განსჯად სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილებისა და ბოლნისის რაიონული სასამართლოს განჩინების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით ე. კ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლითაც დადგენილია, რომ სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. თუკი პირი არაგანსჯად სასამართლოში წარადგენს სარჩელს, იმავე მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე, სასამართლომ სარჩელი განსჯად სასამართლოს უნდა გადაუგზავნოს და აცნობოს ამის შესახებ მოსარჩელეს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საერთო სასამართლოებისადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმის განხილვასა და გადაწყვეტაზე უფლებამოსილი კონკრეტული სასამართლოს განსაზღვრა ხდება განსჯადობის წესების საფუძველზე. ამასთან, განსჯადი სასამართლოს დადგენა უნდა განხორციელდეს განსჯადობის მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე, დავის თავისებურებების გათვალისწინებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მოწესრიგებულია განსჯადობის ზოგადი წესები, თუმცა, გარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი განსჯადობის ზოგადი წესებისა, სპეციალური კანონმდებლობით კონკრეტული დავების მიმართ განსაზღვრულია განსჯადობის მომწესრიგებელი სპეციალური წესები. სპეციალური და ზოგადი წესების კოლიზიისას კი უპირატესობა უნდა მიენიჭოს სწორედ სპეციალურ წესს და მის საფუძველზე მოხდეს განსჯადი სასამართლოს დადგენა. განსჯადობის ასეთ, ერთ-ერთ სპეციალურ წესს ითვალისწინებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით განსაზღვრული განსჯადობის წესის გამოყენებისთვის, სახელდობრ, დარღვევის ჩადენის ადგილას საქმის განსახილველად მნიშვნელოვანია, რომ სადავო იყოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული ოქმებისა თუ დადგენილებების კანონიერება და ეს საქმისწარმოება არ იყოს დაწყებული იმავე კოდექსის 116-ე-125-ე,

159⁵–159⁹ მუხლების საფუძველზე.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2021 წლის 26 ნოემბერს ე. კ-ის მიმართ შედგენილია №გზდ 002764 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის საფუძველზეც ე. კ-ის შეფარდა ჯარიმა 1500 ლარის ოდენობით. ოქმის შედგენის საფუძველი გახდა ქალაქ თბილისში მუნიციპალური ნარჩენის (საბურავების) ღია წესით დანვის აკრძალვის დარღვევა და ის გამოცემულია ნარჩენების მართვის კოდექსის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე. მითითებული კოდექსის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, დასახელებული კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება და სანქციის შეფარდება განისაზღვრება ნარჩენების მართვის კოდექსითა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესებით.

განსახილველ შემთხვევაში, სადავოა, სწორედ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების კანონიერება, რადგან ზემოაღნიშნული დარღვევა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთ-ერთ სახეს. ამასთანავე, ვინაიდან „ნარჩენების მართვის კოდექსი“ განსჯადობის სპეციალურ წესს არ ადგენს და ამავე კანონით გათვალისწინებული დარღვევები მიეკუთვნება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კატეგორიას, გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლი. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ განსახილველი სამართალდარღვევა არ ექცევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ამავე მუხლით განსაზღვრულ საგამონაკლისო ნორმებში. შესაბამისად, №გზდ 002764 ოქმის საფუძველზე მიმდინარე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განხილულ უნდა იქნეს მისი ჩადენის ადგილას, კერძოდ, თბილისში, რადგან №გზდ 002764 ოქმი შეეხება ქალაქ თბილისში, ასტორიას მიმდებარედ, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ჩადენილ სავარაუდო სამართალდარღვევას.

რაც შეეხება დასახელებულ ტერიტორიაზე ჩადენილი სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილი კონკრეტული სასამართლოს დადგენას, „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №3 დადგენილების მე-11 მუხლის შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განსაზღვრულია საქართველოს დედაქალაქის – თბილისის ადმინისტრაცი-

ციული საზღვრებით, რაც, თავის მხრივ, ემთხვევა სავარაუდო სამართალდარღვევის ჩადენის ადგილს. ამრიგად, სადავო შემთხვევაზე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის საკითხის შეფასებისას, უნდა გავრცელდეს სწორედ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლი. ამდენად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მიხედვით, ვინაიდან დარღვევის სავარაუდო ჩადენის ადგილი თბილისია, საჩივარი უნდა განიხილოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ე. კ.-ის საჩივარი, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2021 წლის 26 ნოემბრის №გზდ 002764 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გაუქმების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ე. კ.-ის საჩივარი, მოწინააღმდეგე მხარის – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-132(გ-22)

16 მარტი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
თ. ოქროპირიძე**

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2021 წლის 20 დეკემბერს ა. კ-ემ საჩივრით მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა: ა) გაუქმდეს 2021 წლის 18 ნოემბრის №სდ... ელექტრონული საჯარიმო ქვითარი; ბ) გაუქმდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს უფროსის 2021 წლის 3 დეკემბრის №MIA22103175882 დადგენილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

2. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 21 დეკემბრის განჩინებით ა. კ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა გორის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.1 მუხლზე და განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსში 2012 წლის 26 აპრილს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, აღნიშნული კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით იმპერატიულად განისაზღვრა, რომ საქმეები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, განიხილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ამ კატეგორიის საქმეთა სხვა (სასარჩელო) სამართალწარმოების წესით განხილვა, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების წესი და ვადა დადგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე და 273-ე მუხლებით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234¹ მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან), რომლის გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლოში.

მოცემულ შემთხვევაში სადავოა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს 2021 წლის 18 ნოემბრის №სდ... ელექტრონული საჯარიმო ქვითრისა და 2021 წლის 3 დეკემბრის №MIA22103175882 დადგენილების კანონიერება. ამასთან, საქმის წარმოება მიმდინარეობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსისათვის დადგენილი სამართალწარმოების პრინციპის დაცვით.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე და განმარტა, რომ საჩივრის ავტორის მიმართ სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხოლო მისი საცხოვრებელი მისამართია – ახალციხე, სოფელი ამასთან, სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ და საჩივარი წარდგენილია საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარ სამმართველოში.

სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე სასამართლოთა ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ადმინისტრაციული ორგანოს ტერიტორიულ განსჯადობაზე. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად (საქმე №120510319003183350), ახალციხის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა ყოფილიყო 261-ე მუხლში მითითებული ზოგადი წესი (სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილის მიხედვით) და საჩივარი განხილულ უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 3.2 მუხლზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 260-ე მუხლის პირველ ნაწილზე და იმის გათვალისწინებით, რომ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი იყო ქ. გორი, ა. კ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაუგზავნა გორის რაიონულ სასამართლოს.

3. გორის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 17 იანვრის განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ და „ბ¹“ ქვეპუნქტებზე და განმარტა, რომ დასახელებული საკანონმდებლო ნორმა პირდაპირ მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით (ანუ საჩივრისათვის დადგენილი წესით) განიხილება მხოლოდ ის საქმეები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი საჩივრის წარდგენის გზით განიხილება ის საქმეები, რომლებზეც ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებულია სახდელის შეფარდების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები მხოლოდ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრულ სამართალდარღვევებზე (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), მაგალითად, საპატრულო პოლიციის მიერ 116-ე მუხლის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება მართვის უფლების შეჩერების შეფარდების შესახებ.

გორის რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ საჩივრის ავტორის მიმართ სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. ასევე დადგენილია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს 2021 წლის 18 ნოემბრის №სდ... ელექტრონული საჯარიმო ქვითარი შედგენილია თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზის 128-ე კილომეტრზე, ხაშურის ტერიტორიაზე. ამავდროულად, საქმის მასალებით ირკვევა, რომ საჩივრის ავტორის საცხოვრებელი მისამართი არის – ახალციხის რაიონი, სოფელი ამასთან, საჩივრის ავტორმა საჩივარი წარადგინა ახალციხის რაიონულ სასამართლოში მისი საცხოვრებელი ად-

გილის მიხედვით.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლზე და განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შედგენილი სამართალდარღვევის ოქმით გასაჩივრებული და აქედან გამომდინარე, წარმოიშობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით გათვალისწინებული ალტერნატიული განსჯადობა, რომლის დროსაც სასამართლოს არჩევის უფლება მოსარჩელეს/საჩივრის ავტორს ენიჭება.

სასამართლოს განმარტებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით არ არის განსაზღვრული სასამართლოების ტერიტორიული განსჯადობა, გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა. მოცემული საჩივრის განხილვაზე ტერიტორიულად განსჯად სასამართლოს წარმოადგენდა ახალციხის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია – საჩივრის ავტორის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. შესაბამისად, საჩივრის ავტორს სწორად ჰქონდა მიმართული სასამართლოსთვის მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და მოცემული დავა არ წარმოადგენდა გორის რაიონული სასამართლოს განსჯადობის ფარგლებში განსახილველ საქმეს.

4. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლის თანახმად, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით, რის გამოც მოცემული საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ახალციხისა და გორის რაიონული სასამართლოების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ახალციხის რაიონულ სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა

განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.). კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება ტერიტორიული განსჯადობის საკითხს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-

20 მუხლი რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში არჩევანის უფლებას მოსარჩელეს ანიჭებს, შესაბამისად, თუ სარჩელში დასახელებულია სხვადასხვა სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე მოპასუხე, განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის პრეროგატივა და ერთპიროვნული საპროცესო უფლებაა, რასაც იგი განსაზღვრავს სარჩელის წარდგენის დროს, ანუ ირჩევს იმ სასამართლოს, სადაც წარადგენს სარჩელს. ამასთან, მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი დაუშვებელია როგორც მოპასუხის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი (განსჯადობა მოსარჩელის არჩევით) უზრუნველყოფს მოსარჩელის ინტერესების დაცვას.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია 2021 წლის 18 ნოემბრის №სდ... ელექტრონული საჯარიმო ქვითრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს უფროსის 2021 წლის 3 დეკემბრის №MIA22103175882 დადგენილების გაუქმება.

დადგენილია, რომ აღნიშნული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ¹“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმების კანონიერების საკითხს იხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო; ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 115¹-116³, 118-ე-123-ე და 125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე სამართალდარღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამდენად, კანონმდებლობა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლთან დაკავშირებითითვალისწინებს ალტერნატიულ განსჯადობას, კერძოდ, 116-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვე-

ვის საქმის განხილვა შესაძლებელია როგორც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, ასევე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებულ აქტს საფუძვლად უდევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლი. ამასთან, ა. კ-ის საცხოვრებელი ადგილია ქ. ახალციხე, სოფ. ... და მან საჩივრით მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს. შესაბამისად, ა. კ-ე უფლებამოსილი იყო გამოეყენებინა სასამართლოს არჩევის უფლება და მიემართა სასამართლოსათვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით – ახალციხის რაიონული სასამართლოსთვის.

„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №3 დადგენილების მე-3 მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, ახალციხის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება ახალციხის, ადიგენის, ასპინძისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება გორის რაიონული სასამართლოს მსჯელობას, რომ საჩივრის ავტორმა – ა. კ-ემ გამოიყენა კანონით მისთვის მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმე ტერიტორიული განსჯადობის შესაბამისად, განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ახალციხის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. კ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ახალციხის რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-165(გ-22)

24 მაისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ბ. სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
გ. აბუსერიძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა ...ის რაიონულ სასამართლოსა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს შორის რ. ტ-ის საჩივრის გამო წარმოშობილი დავა განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2021 წლის 20 დეკემბერს რ. ტ-ემ საჩივრით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს მიმართ და მოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს მიერ შედგენილი ელექტრონულ ვიდეოჯარიმებზე №..., №..., №..., №..., №..., №..., №..., №... და №... გამოტანილი საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილებების გაუქმება და ასევე შიდა ქართლის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2021 წლის 7 დეკემბრის დადგენილებების (საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შესახებ) კანონიერების შესწავლა.

გორის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 23 დეკემბრის დადგენილებით რ. ტ-ის საჩივარი განსჯადობით გადაეგზავნა ხაშურის რაიონულ სასამართლოს სავარაუდო სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით. სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის სა-

ქალაქო სასამართლო; ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში შეიძლება, განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გორის რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ რ. „ტ“-ის იურიდიული მისამართია ხაშურის რაიონი, სოფელი ..., რის გამოც საქმე განსჯადობით ხაშურის რაიონულ სასამართლოს გადაეგზავნა.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 17 იანვრის განჩინებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე: საჩივრის ავტორი – რ. ტ-ე, მონინაალმდეგე მხარე – საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, გადაეგზავნა განსჯად სასამართლოს – რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

ხაშურის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის განსჯადობა, კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 115¹-116³, 118-123-ე და 125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს, აგრეთვე, სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის პირველი და მე-8 ნაწილებით. საქმის მასალების მიხედვით, რვა შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილია რუსთავი, ხოლო ორ შემთხვევაში – თბილისი. საჩივარში სამართალდამრღვევი თვითონ უთითებს, რომ მისი საცხოვრებელი ადგილია რუსთავი, ...ას ..., ბინა №...

სასამართლოს მოსაზრებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლიდან გამომდინარე, მოცემული საქმის განსჯადი შეიძლება იყოს რუსთავის საქალაქო სასამართლო და თბილისის საქალაქო სასამართლო. იმის გათვალისწინებით, რომ სამართალდარღვევების დიდი ნაწილი ჩადენილია ქ. რუსთავში და ასევე, საჩივრის ავტორის საცხოვრებელი ადგილია რუსთავი, სასამართლომ მიზანშეწონილად მიაჩნია საქმის განსჯადობით რუსთავის საქალაქო სასამართლოში გადაგზავნა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 18 თებერვლის განჩინებით მოცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის

საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლზე, რომლითაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 116-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში არჩევანის უფლებას მოსარჩელეს ანიჭებს, შესაბამისად, თუ სარჩელში დასახელებულია სხვადასხვა სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე მოპასუხე, განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის პრეროგატივა და ერთპიროვნული საპროცესო უფლებაა, რასაც იგი განსაზღვრავს სარჩელის წარდგენის დროს, ანუ ირჩევს იმ სასამართლოს, სადაც წარადგენს სარჩელს. ამასთან, მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი დაუშვებელია როგორც მოპასუხის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფარგლებში, გარდა სამართალდარღვევის ოქმებისა, სასამართლო იხილავს საჩივრებს, რომელიც არის დაინტერესებული მხარის მიერ სასამართლოში წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას სასამართლო ხელმძღვანელობს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდგენს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს განმარტებით, გაუგებარია რატომ მიენიჭა რ. ტ-ის მიერ შეტანილ სარჩელს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა სტატისტიკური ნომერი, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მხარემ სადავოდ გახადა ადმი-

ნისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და აღნიშნა, რომ სადავო დადგენილებები წარმოადგენენ რა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, საქმე მიეკუთვნება სასარჩელო წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილებები და ამ დადგენილებების გაუქმების მიზნით წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული შიდა ქართლის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ მიღებული დადგენილება წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს, რომლის კანონიერების შესწავლაც უნდა განხორციელდეს ადმინისტრაციული საქმისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების გათვალისწინებით. რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, საქმის განმხილველ სასამართლოს წარმოადგენს გორის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, განსჯადობის თაობაზე ხაშურის რაიონული სასამართლოსა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინებებს და მიაჩნია, რომ საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივი, არამედ ტე-

რიტორიული განსჯადობის თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება ტერიტორიული განსჯადობის საკითხს.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, რამდენადაც ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობის, ასევე აქტის გამოცემის თუ ქმედების განხორციელების მოთხოვნით აღძრული სარჩელი ყველა შემთხვევაში მიემართება იმ ადმინისტრაციული ორგანოსადმი, რომლის კომპეტენციაშიც შედის ზემოაღნიშნული სამართალურთიერთობის გადაწყვეტა, სარჩელი, საერთო პრინციპის თანახმად, როგორც წესი, შედის იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო.

ტერიტორიული განსჯადობის პრინციპი მომდინარეობს სსსკ-ის მე-15 მუხლიდან და მდგომარეობს შემდეგში, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს. შესაბამისად, მითითებული მუხლი რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში არჩევანის უფლებას მოსარჩელეს ანიჭებს. განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის პრეროგატივა და ერთპიროვნული საპროცესო უფლებაა, რასაც იგი განსაზღვრავს სარჩელის წარდგენის დროს, ანუ ირჩევს იმ სასამართლოს, სადაც წარადგენს სარჩელს. ამასთან, მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი დაუშვებელია როგორც მოპასუხის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი (განსჯადობა მოსარჩელის არჩევით) უზრუნველყოფს მოსარჩელის ინტერესების დაცვას.

წინამდებარე შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს მიერ შედგენილი ელექტრონული საჯარიმო ქვითრების – №..., №..., №..., №..., №..., №..., №..., №... და №... ვიდეოჯარიმებზე გამოტანილი საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილებების გაუქმება. აღნიშნული დადგენილების მიღების საფუძველი

გახდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის 1-ლი და მე-8 ნაწილების მიხედვით შედგენილი ელექტრონული საჯარიმო ქვითრებით დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობა. დავის საგანია ასევე შიდა ქართლის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2021 წლის 7 დეკემბრის დადგენილების (საჩივრის არ დაკმაყოფილების შესახებ) კანონიერების შესწავლა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის კანონიერების საკითხს იხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო; ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს, აგრეთვე, დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამდენად, კანონმდებლობა ასკ-ის 125-ე მუხლთან დაკავშირებით ითვალისწინებს ალტერნატიულ განსჯადობას, კერძოდ, ასკ-ის 125-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა შესაძლებელია როგორც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, ასევე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. დადგენილია, რომ გასაჩივრებული დადგენილებები გამოტანილ იქნა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290¹ მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე, რომლის შესაბამისად, ჯარიმის ამ მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ შესაბამის პირს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი დაარიცხავს საურავს ამ კოდექსის 118-ე-118³, 120-ე, 122-ე და 123-ე მუხლებითა და 125-ე მუხლით (გარდა ამ კოდექსის 125-ე მუხლის მე-16 ნაწილისა) გათვალისწინებული შესაბამისი ოდენობით. საურავის დაკისრების შესახებ დადგენილებების საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით საქმის განხილვის შესაძლებლობას, დასახელებული ნორმა არ ითვალის-

წინებს. საკასაციო სასამართლო აქვე მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის გამო მიღებული დადგენილების გასაჩივრების შესაძლებლობას კანონმდებელი მხოლოდ საჩივრის წარდგენის გზით განსაზღვრას (ასკ-ის 278-ე მუხლი), ხოლო საჩივრის განმხილველი ზემდგომი ორგანოს მიერ მიღებული დადგენილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლის საფუძველზე ასევე საჩივრით საჩივრდება შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. აქედან გამომდინარე საკასაციო სასამართლო არ იზიარებს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მსჯელობას, განსახილველი დავის სასარჩელო სამართალწარმოების წესით განხილვასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებებზე, რომ რ. ტ-ის მიმართ შედგენილი რვა საჯარიმო ქვიტორის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილია ქ. რუსთავი, ხოლო ორ შემთხვევაში – ქ. თბილისი. რ. ტ-ის იურიდიული მისამართია ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ..., თუმცა საჩივარში რ. ტ-ემ საცხოვრებელ ადგილად მიუთითა – ქ. რუსთავი, ...ს ქ. №..., ბინა №...

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლითაც ყოველი პირი უნდა განსაჯოს იმ სასამართლოში, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. სასკ-ის 26-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ სასამართლო წარმოებაში განსჯადობის საკითხს ენიჭება არა დისპოზიციური, არამედ იმპერატიული ხასიათი, განსჯადობა განიხილება საჯარო წესრიგის შემადგენელ ნაწილად, მხარეების შეთანხმება სასამართლო განსჯადობაზე (პროროგაცია) ან რომელიმე სასამართლოს იურისდიქციის გამორიცხვა (დეროგაცია) არ დაიშვება, მსგავსი შეთანხმებები არ ცვლის კანონმდებლობით დადგენილ განსჯადობის იმპერატიულ წესს.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, განსჯადობა ალტერნატიულია და საჩივრის ავტორს შეეძლო საჩივარი წარედგინა სამართალდარღვევის ჩადენის ან თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე, რომ „საცხოვრებელი ადგილის დეფინიცია და მასთან და-

კავშირებული პირის უფლებამოვალეობანი განისაზღვრება სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლით, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ კანონით, სხვა ნორმატიული აქტებით. ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს, ამასთანავე, ჩანერის სისტემისაგან განსხვავებით, რეგისტრაცია განიხილება არა სანებართვო სისტემად, არამედ რეჟიმად, რომლის პირობებშიც პირი დამოუკიდებლად ირჩევს საცხოვრებელს, რის შესახებაც ატყობინებს სახელმწიფოს შესაბამის ორგანოს, რომელიც ატარებს პირს რეგისტრაციაში („საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ კანონის მე-4 მუხ.). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საცხოვრებლის არჩევის უფლება არ იზღუდება რეგისტრაციის საჭიროებით, რეგისტრაციის უფლება ნაწარმოებია საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლებით. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261.2 მუხლი ამავე კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის შესაძლებლობას ადგენს დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის და არა რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. ამდენად, ერთმანეთისაგან გამიჯვნას საჭიროებს საცხოვრებელი ადგილი და რეგისტრაციის ადგილი. საცხოვრებელი ადგილი უფრო ფართო მნიშვნელობის ცნებაა და მოიცავს როგორც რეგისტრაციის ადგილს, ასევე მუდმივ საცხოვრებელ ადგილს. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი, თუმცა დროის კონკრეტულ მონაკვეთში პირი შესაძლებელია რეგისტრირებული იყოს მხოლოდ ერთ საცხოვრებელ ადგილზე, რის გამოც პირის საცხოვრებელი და რეგისტრაციის ადგილი შესაძლოა არ ემთხვეოდეს ერთმანეთს. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტა პირის საცხოვრებელი ადგილის უგულებელყოფით, მხოლოდ რეგისტრაციის ადგილის გათვალისწინებით საფრთხეს უქმნის მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის, პროცესის ეკონომიურობისა და ოპერატიულობის პრინციპებს. ამასთანავე, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა ენიჭება პირის საცხოვრებელ ადგილს და არა ადგილსამყოფელს. საცხოვრებელი ადგილისგან განსხვავებით, ადგილსამყოფელი დროებით სარგებლობაშია და მას პირი ჩვეულებრივ

საცხოვრებელ ადგილად არ ირჩევს. სარჩელი მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიტანება, თუ მას საცხოვრებელი ადგილი არ აქვს (სსკ-ის 15.2 მუხ.). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსჯადობის საკითხისათვის გადამწყვეტია პირის საცხოვრებელი ადგილი და არა ადგილსამყოფელი ან რეგისტრაციის ადგილი“ (სუსგ №ბს-1339(გ-20), 29.04.20216.).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, მართალია რ. ტ-ემ საჩივარი წარადგინა გორის რაიონულ სასამართლოში, თუმცა აღნიშნული სასამართლო არ მდებარეობს არც საჩივრის ავტორის საცხოვრებელი ადგილის და არც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის სამოქმედო ტერიტორიაზე. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ რ. ტ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს, ვინაიდან რ. ტ-ის საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს ქ. რუსთავი და ასევე სამართალდარღვევის ჩადენის ადგილიც, უმეტეს შემთხვევაში არის ქალაქი რუსთავი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. რ. ტ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განსჯადობა სადავო აქტში მითითებული
განსაჩივრების წესის მიხედვით**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-1180(გ-22)

16 დეკემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე**

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირ-
ველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქარ-
თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3
ნაწილის საფუძველზე, განიხილა შპს „დ...-ს“ საჩივრის განსჯადო-
ბის თაობაზე ფოთის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის საქა-
ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის
წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „დ...-მ“ 2022 წლის 20 აპრილს ადმინისტრაციული სარჩე-
ლით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაცი-
ულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – სსიპ შემოსავლების სამ-
სახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ და
სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 2020 წლის
8 აგვისტოს EL115971 საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის, სსიპ
შემოსავლების სამსახურის 2020 წლის 14 სექტემბრის №27635
ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების გან-
ხილვის საბჭოს 2021 წლის 26 ნოემბრის №11267/2/2020 გადაწყვე-
ტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიამ განიხილა რა ზემოაღნიშნული სასარჩელო მოთხოვ-
ნები და მათი სამართლებრივი საფუძველი, 2022 წლის 26 აპრილის
განჩინებით, სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაუგზავნა
ფოთის საქალაქო სასამართლოს, შემდეგი მოტივაციით: ადმინის-
ტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილია განსჯადი სასა-
მართლოს მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტის აუცილებლო-
ბის პრინციპი. სასამართლომ, ადმინისტრაციულ სამართალდარ-
ღვევათა კოდექსის 261-ე მუხლზე მითითებით, მიიჩნია, რომ ად-

მინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განხილულ უნდა იქნეს მისი ჩადენის ადგილას. შედეგად, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა სამართალდარღვევის შესაძლო ჩადენის ადგილზე და მიუთითა, რომ სადავო საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი შეეხება საბაჟო გამშვებ პუნქტ – ფოთისა და ყულევის პორტებსა და ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ჩადენილ დარღვევას და საქმე უნდა განიხილოს სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას მოქმედმა სასამართლომ. ასეთად კი, EL115971 საბაჟო სამართალდარღვევის ოქმთან დაკავშირებით, მიჩნეულ იქნა ფოთის საქალაქო სასამართლო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, განსჯადობის საკითხის ამგვარი გადაწყვეტა, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობასა და ოპერატიულობას, ასევე დაცული იქნება სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების პრინციპი. აქედან გამომდინარე, შპს „დ-ის“ სარჩელი, მოპასუხეების – სსიპ შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ, აგრეთვე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ფოთის საქალაქო სასამართლოს.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 27 სექტემბრის განჩინებით შპს „დ-ის“ სარჩელი, მოპასუხეების – სსიპ შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ, საქმის მასალებთან ერთად, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ფოთის საქალაქო სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია დავის ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ისეთი კრიტერიუმების შეფასება, როგორიცაა მოპასუხე სუბიექტები, რომელთა მიმართაც წარდგენილია სასარჩელო მოთხოვნა და მათი ადგილმდებარეობა.

ფოთის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შემოსავლების სამსახურის მისამართებია: ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა №16 და ქალაქი ქუთაისი, ჯავახიშვილის ქუჩა №5. ამასთანავე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში ბრალეული პირის – შპს „დ-ის“ იურიდიული მისამართია ასევე ქალაქი თბილისი, გლდანის რაიონი, ...ის I მ/რ, კორპუსი №2. ფოთის საქალაქო სასამართლომ ყურადღება მიაქცია აგრეთვე იმ გარე-

მოებასაც, რომ სადავო აქტით – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2021 წლის 26 ნოემბრის №11267/2/2020 გადაწყვეტილებით, მოსარჩელეს განემარტა მისი გასაჩივრების წესი. კერძოდ, რომ მას აღნიშნული გადაწყვეტილება შეეძლო გაესაჩივრებინა თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64). ამდენად, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოსარჩელეს განემარტა სწორედ იმ სასამართლოსათვის მიმართვის უფლება, რომელიც უფლებამოსილია აღნიშნული დავის განხილვაზე.

ამდენად, ფოთის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან მოცემული დავა შეეხება საბაჟო სამართალდარღვევისათვის შედგენილი ოქმისა და აღნიშნული ოქმის თაობაზე მოსარჩელის საჩივრებზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გამოცემული ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტების კანონიერების საკითხს, სასამართლომ მსგავს სარჩელებთან დაკავშირებით უნდა იხელმძღვანელოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომლებიც საბაჟო სამართალდარღვევის საქმეებთან დაკავშირებით არ შეიცავენ პირდაპირ მითითებას სასამართლოს განსჯადობის წესთან დაკავშირებით, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, განსჯადობის საკითხი განსაზღვრულია ტერიტორიული ნიშნით. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხეთა ტერიტორიული ადგილსამყოფლის და იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის, როგორც მენარმე სუბიექტის სამენარმეო საქმიანობის ადგილი და იურიდიული მისამართია ქალაქი თბილისი, გლდანის რაიონი, ...ის I მ/რ, კორპუსი №2, ფოთის საქალაქო სასამართლომ მოცემული დავის განსჯად სასამართლოდ თბილისის საქალაქო სასამართლო მიიჩნია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ფოთის საქალაქო სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით შპს „დ-ს“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლითაც დადგენილია, რომ სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. თუკი პირი არაგანსჯად სასამართლოში წარადგენს სარჩელს, იმავე მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე, სასამართლომ სარჩელი განსჯად სასამართლოს უნდა გადაუგზავნოს და აცნობოს ამის შესახებ მოსარჩელეს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საერთო სასამართლოებისადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმის განხილვასა და გადაწყვეტაზე უფლებამოსილი კონკრეტული სასამართლოს განსაზღვრა ხდება განსჯადობის წესების საფუძველზე. ამასთან, განსჯადი სასამართლოს დადგენა უნდა განხორციელდეს განსჯადობის მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე, დავის თავისებურებების გათვალისწინებით. მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მოწესრიგებულია განსჯადობის ზოგადი წესები და ამავე კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. დასახელებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და ცალსახად მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთიანად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ გარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი განსჯადობის ზოგადი წესებისა, სპეციალური კანონმდებლობით კონკრეტული დავების მიმართ განსაზღვრულია განსჯადობის მომწესრიგებელი სპეციალური წესები. სპეციალური და ზოგადი წესების კოლიზიისას კი უპირატესობა უნდა მიენიჭოს სწორედ სპეციალურ წესს და მის საფუძველზე მოხდეს განსჯადი სასამართლოს დადგენა. განსჯადობის ასეთ, ერთ-ერთ სპეციალურ წესს ითვალისწინებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლი, თუმცა საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დასახელებული მუხლით გათვალისწინებულ სპეციალური განსჯადობის წესზე მითითება განსახილველ შემთხვევაში საფუძველს მოკლებულია და სასამართლომ მსგავს სარჩელებთან დაკავშირებით უნდა იხელმძღვანელოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი წესით. მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონ-

მდებლობა კი, საბაჟო სამართალდარღვევის საქმეებთან დაკავშირებით, არ შეიცავს პირდაპირ მითითებას სასამართლოს განსჯადობის წესთან დაკავშირებით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საბაჟო დავა განიხილება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად საგადასახადო დავის განხილვისთვის დადგენილი წესით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (საქართველოს საბაჟო კოდექსის 33.2 მუხლი), ხოლო სასამართლოში დავის წარმოების წესი განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით (საქართველოს საბაჟო კოდექსის 33.4 მუხლი). საქართველოს ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით კი, განსჯადობის საკითხი განსაზღვრულია ტერიტორიული ნიშნით.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 2020 წლის 8 აგვისტოს EL115971 საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობა, რის საფუძველზეც საწარმო დაჯარიმდა 12348 ლარით. ოქმი შედგენილია ქალაქ თბილისში, მისი შედგენის საფუძველი კი გახდა საბაჟო წესების დარღვევა და ის გამოიცა საქართველოს საბაჟო კოდექსის საფუძველზე. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა სსიპ შემოსავლების სამსახურის 2020 წლის 14 სექტემბრის №27635 ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 2021 წლის 26 ნოემბრის №11267/2/2020 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შემოსავლების სამსახურის მისამართებია: ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა №16 და ქალაქი ქუთაისი, ჯავახიშვილის ქუჩა №5. ამდენად, შემოსავლების სამსახურის იურიდიულ მისამართს წარმოადგენს როგორც თბილისი, ასევე ქუთაისი. ორი მისამართის არსებობასთან დაკავშირებით კი, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 7 ოქტომბრის განჩინებაზე (საქმე №ბს-301-297(გ-14)), სადაც საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში ორი მისამართის მითითება დაკავშირებულია მოპასუხის უფლებამოსილების გამიჯვნასთან ტერიტორიულ პრინციპზე დაყრდნობით. ზემოაღნიშნული დებულების მოცემული ნორმის მიზნებისათვის ორი მისამართის მითითება განსაზღვრავს მისი უფლებამოსილების განხორციელების ადგილს, რომელიც მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოში ქალაქ თბილისს, ხოლო დასავ-

ლეთ საქართველოში – ქალაქ ქუთაისს. მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის ორი ადგილსამყოფლის განსაზღვრა თავისთავად დაკავშირებულია თავად მენარმე სუბიექტების საქმიანობის ადგილთან, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია როგორც საგადასახადო დავების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, ასევე, მათი დედაქალაქში თავმოყრის შესუსტების ტენდენციით“. საქმის მასალების მიხედვით, შპს „დ-ის“ იურიდიული მისამართია – თბილისი, გლდანის რაიონი, ...ის I მ/რ, კორპუსი №2. ამდენად, მოსარჩელის საქმიანობის ადგილს წარმოადგენს ქალაქი თბილისი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საქმიანობის ადგილის, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების 1.4 მუხლით შემოსავლების სამსახურის იურიდიული მისამართი მოცემულ დავაზე არის ქალაქი თბილისი, საერთო განსჯადობის შესახებ საპროცესო ნორმის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში განსჯად სასამართლოს ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლო. საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ სადავო აქტით – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2021 წლის 26 ნოემბრის №11267/2/2020 გადაწყვეტილებით, მოსარჩელეს განემარტა მისი გასაჩივრების წესი. კერძოდ, მას აღნიშნული გადაწყვეტილება შეეძლო გაესაჩივრებინა თბილისის საქალაქო სასამართლოში ამ გადაწყვეტილების მომჩივნისთვის ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში. ამდენად, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოსარჩელეს განემარტა სწორედ იმ სასამართლოსათვის მიმართვის უფლება, რომელიც უფლებამოსილია აღნიშნული დავის განხილვაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შპს „დ...ის“ სარჩელი, მოპასუხეების – სსიპ შემოსავლებისა სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ, საბაჟო სამართალდარღვევის ოქმისა და მისი თანმდევი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე.

ტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „დ-ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საგადასახადო დავების შესახებ დავის განსჯადობა

**გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად
აღიარებასთან დაკავშირებით დავის განსჯადობა**

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-418(გ-22)

16 ნოემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. აბუსერიძე,
თ. ოქროპირიძე**

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2018 წლის 11 ივნისს სსიპ შემოსავლების სამსახურმა სასარჩელო განცხადებით მიმართა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების – შპს „ე-ის“, ე. ფ-ისა და შპს „...ს“ მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა: 1) შპს „ე-ის“, ე. ფ-ისა და შპს „...ს“ ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად აღიარება.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 24 დეკემბრის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი მიჩნეულ იქნა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 7¹⁶ თავის შესაბამისად წარდგენილ შუამდგომლობად და მისი განხილვა დადგინდა აღნიშნული თავით განსაზღვრული წესით.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 11 აგვისტოს ბრძანებით სსიპ შემოსავლების სამსახურის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. შპს „...ს“ (ს/ნ ...) ცნობილ იქნა გადასახადის გადამხდელის – შპს „ე-ის“ (ს/ნ ...) ცრუმაგიერ პირად. შუამდგომლობა დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

2. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 11 აგვისტოს ბრძანებაზე საჩივარი წარადგინეს სსიპ შემოსავლების სამსახურმა, შპს „ე-მა“ და შპს „...მ“.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 23 თებერვლის ბრძანებით სსიპ შემოსავლების სამსახურის, შპს „ე-ისა“ (ს/ნ ...) და შპს „...ს“ (ს/ნ ...) საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა ზესტაფონის რაი-

ონული სასამართლოს 2021 წლის 11 აგვისტოს ბრძანება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

3. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 23 მარტის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის შუამდგომლობა შპს „ე-ის“, შპს „...სა“ და ე. ფ-ვის მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საქართველოს კონსტიტუციის 31.2 მუხლზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21⁶³ მუხლსა და 26-ე მუხლზე მითითებით სასამართლომ განმარტა, რომ დასახელებული საკანონმდებლო ნორმებით დაწესდა სპეციალური განსჯადობა ცრუ-მაგიერ პირად აღიარების თაობაზე დავებთან დაკავშირებით – გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფლის მიხედვით. განსახილველ შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელის – შპს „ე-ის“, როგორც ფაქტობრივი, ისე იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ...ის ქუჩა №18. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21⁶³ მუხლის გათვალისწინებით, სსიპ შემოსავლების სამსახურის შუამდგომლობა შპს „ე-ის“, შპს „...სა“ და ე. ფ-ვის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 4 აპრილის განჩინებით, სსიპ შემოსავლების სამსახურის შუამდგომლობა, მოწინააღმდეგე მხარეების (მოპასუხეების) – შპს „ე-ის“, ე. ფ-ვისა და შპს „...სა“ მიმართ, ცრუ-მაგიერ პირებად ცნობის თაობაზე, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლზე, 21⁶³ მუხლზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 15.1, მე-20 და 22-ე მუხლებზე მითითებით სასამართლომ აღნიშნა, რომ წარდგენილი შუამდგომლობის ფარგლებში, მოწინააღმდეგე მხარედ დასახელებულია სამი სუბიექტი, რომელთა მისამართებია: თერჯოლის რაიონი, სოფ. ..., ...-ე ქ. №... და ქ. თბილისი, ...ის ქ. №18. ამდენად, მართალია, იმ ეტაპზე საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადი იყო, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურმა თავად აირჩია საქმის განმხილველი სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის საფუძველზე, განსჯადი სასამართლო გახდა ზესტაფონის რაიონული სასამართლო, რაც საქმის წარმოების არც ერთ ეტაპზე მხარეთა მხრიდან სადავოდ არ გამხდარა. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ 2019 წლის 28 ივნისიდან შეიცვალა განსჯადობის წესი, განსჯადო-

ბის წესების დაცვით მიღებული საქმე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს უნდა განეხილა და გადაეწყვიტა არსებითად. ამასთან, აღნიშნული დანაწესი არ შეიძლება შეიცვალოს მაშინაც კი, თუ საქმე ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაბრუნებულია ხელახლა განსახილველად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული საქმის განხილვაზე განსჯად სასამართლოს წარმოადგენს ზესტაფონის რაიონული სასამართლო, რის გამოც სსიპ შემოსავლების სამსახურის შუამდგომლობა, მოწინააღმდეგე მხარის (მოპასუხე) – შპს „ე...“-ის, ე. ფ-ეისა და შპს „...ს“ მიმართ, ცრუმაგიერ პირებად ცნობის თაობაზე, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოუგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ზესტაფონის რაიონული სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის შუამდგომლობა შპს „ე-ის“, ე. ფ-ეისა და შპს „...ს“ მიმართ, ცრუმაგიერ პირებად აღიარების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.). კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის

განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. არასასარჩელო წარმოების დროს განსჯადობა განისაზღვრება იმ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია განცხადება (საჩივარი). ხსენებული მუხლი მოიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში არჩევანის უფლებას მოსარჩელეს ანიჭებს, შესაბამისად, თუ სარჩელში დასახელებულია სხვადასხვა სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე მოპასუხე, განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის პრეროგატივა და ერთპიროვნული საპროცესო უფლებაა, რასაც იგი განსაზღვრავს სარჩელის წარდგენის დროს, ანუ ირჩევს იმ სასამართლოს, სადაც წარადგენს სარჩელს. ამასთან, მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი დაუშვებელია როგორც მოპასუხის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი (განსჯადობა მოსარჩელის არჩევით) უზრუნველყოფს მოსარჩელის ინტერესების დაცვას.

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში გადასაწყვეტია ტერიტორიული და არა საგნობრივი განსჯადობის საკითხი.

საქმის მასალებით დგინდება, რომ 2018 წლის 11 ივნისს სსიპ შემოსავლების სამსახურმა ცრუმაგიერ პირებად აღიარების მოთხოვნით სასარჩელო განცხადებით მიმართა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 24 დეკემბრის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი მიჩნეულ იქნა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 7¹⁶ თავის შესაბამისად წარდგენილ შუამდგომლობად და მისი განხილვა დადგინდა აღნიშნული თავით დადგენილი წესით.

სსიპ შემოსავლების სამსახურის მოთხოვნას წარმოადგენს შპს

„ე-ის“, ე. ფ-ვისა და შპს „...ს“ ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად აღიარება, შესაბამისად, სსიპ შემოსავლების სამსახურის შუამდგომლობა დაყენებულია პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარების თაობაზე მოთხოვნით და მოპასუხეებად მითითებულია შპს „ე...“, ე. ფ-ე და შპს „...“.

დადგენილია, რომ მოპასუხეთა მისამართებია თერჯოლის რაიონი, სოფ. ..., ...-ე ქ., №... და ქ. თბილისი, ...ის ქ. №.... შესაბამისად, სსიპ შემოსავლების სამსახური უფლებამოსილი იყო გამოეყენებინა სასამართლოს არჩევის უფლება და მიემართა სასამართლოსათვის ერთ-ერთი მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით – ზესტაფონის რაიონული სასამართლოსთვის. ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია, იმ ეტაპზე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის გათვალისწინებით საქმე რამდენიმე სასამართლოს – ზესტაფონის რაიონული სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს განსჯადი იყო, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურმა თავად აირჩია საქმის განმხილველი სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის საფუძველზე, განსჯადი სასამართლო გახდა ზესტაფონის რაიონული სასამართლო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №3 დადგენილების მე-9 მუხლის მეორე პუნქტზე, რომლის მიხედვით, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება ზესტაფონის, თერჯოლისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საგადასახადო კოდექსის როგორც ცვლილებამდე, ასევე ამჟამად მოქმედი რედაქციიდან გამომდინარე ცრუმაგიერი პირების დადგენა სასამართლოს პრეროგატივას შეადგენს, თუმცა კანონმდებლობაში 2019 წლის 28 ივნისის განხორციელებული ცვლილებების შედეგად არსებითად შეიცვალა სასამართლოს მიერ მსგავსი დავების როგორც განხილვის, გადაწყვეტისა და გასაჩივრების, ასევე განსჯადობის წესები. ცვლილებების განხორციელებამდე საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ცრუმაგიერ პირებად აღიარების შესახებ სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელთან დაკავშირებით განსჯადობის განსხვავებულ, სპეციალურ წესს. საგადასახადო კოდექსში 28.06.2019წ. №4906-IIს საქართველოს კანონით (ამოქმედდა 04.07.2019წ.) განხორციელებული ცვლილებისა და დამატებების სა-

ფუძველზე საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და განისაზღვრა, რომ პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარების შესახებ საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობას სასამართლო განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით (მე-3 ნაწ.). საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ 28.06.2019წ. №4908-III საქართველოს კანონის (ამოქმედდა 04.07.2019წ.) პირველი მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კოდექსს დაემატა VII¹⁶ თავი – „ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარებასთან დაკავშირებით“. ახალი მოწესრიგებით განისაზღვრა პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარების საკითხის გადაწყვეტისა და განსჯადობის სპეციალური, სასარჩელო წარმოებისაგან განსხვავებული წესი (21⁶³ მუხ.), კერძოდ, დადგინდა, რომ პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარების თაობაზე ბრძანებას საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფლის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მართალია, განხორციელებული ცვლილებების შედეგად არსებითად შეიცვალა სასამართლოს მიერ პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარებასთან დაკავშირებით განსჯადობის წესი, რის შედეგადაც დადგინდა სპეციალური განსჯადობა – გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფლის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლო, თუმცა განსახილველ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ წესს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს 2019 წლის 28 ივნისიდან განხორციელებული ცვლილების ფარგლებში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კი 2018 წლის 11 ივნისს იქნა წარდგენილი სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი (შუამდგომლობა), რაც ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 და მე-20 მუხლების საფუძველზე, განსჯადობის წესების დაცვით მიიღო წარმოებაში. ყოველივე აღნიშნული კი ადასტურებს იმას, რომ მიუხედავად კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად დადგენილი განსჯადობის სპეციალური წესისა, განსჯადობის წესების დაცვით მიღებული საქმე უნდა განიხილოს და არსებითად გადაწყვიტოს ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით თანახმად, სასამართლომ განსჯადობის წესების დაცვით თავის წარმოებაში მიღებული საქმე უნდა განიხილოს და არსებითად გა-

დანყვიტოს, თუნდაც ეს საქმე შემდგომში სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ შემოსავლების სამსახურის შუამდგომლობა განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის შუამდგომლობა შპს „ე-ის“, ე. ფ-ეისა და შპს „...ს“ მიმართ, ცრუმაგიერ პირებად აღიარების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განსჯადობა სადავო აქტში მითითებული
განსაჩივრების წესის მიხედვით**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-1171(გ-22)

16 დეკემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე**

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა სს „...ის“ საჩივრის განსჯადობის თაობაზე ფოთის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

სს „...ამ“ 2022 წლის 21 სექტემბერს ადმინისტრაციული სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – სსიპ შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვა სსიპ შემოსავლების სამსახურის 2022 წლის 14 ივნისის №15059 ბრძანების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2022 წლის 28 ივლისის №17042/2/2022 გადაწყვეტილების, სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 2022 წლის 14 მაისის №ელ163871, 2022 წლის 16 მაისის №ელ164282, №ელ164284, №ელ164286 ოქმების, სსიპ შემოსავლების სამსახურის 2022 წლის 29 ივნისის №16735 ბრძანების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2022 წლის 28 ივლისის №17160/2/2022 გადაწყვეტილების, სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 2022 წლის 21 მაისის №ელ165081 ოქმის, სსიპ შემოსავლების სამსახურის 2022 წლის 29 ივნისის №16740 ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2022 წლის 28 ივლისის №17163/2/2022 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ასევე მოითხოვა მოპასუხის – სსიპ შე-

მოსავლების სამსახურის დავალდებულება, გაათავისუფლოს სს „...ა“ საბაჟო სანქციების სახით დაკისრებული თანხის, სულ 6 000 ლარის გადახდისაგან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განიხილა რა ზემოაღნიშნული სასარჩელო მოთხოვნები და მათი სამართლებრივი საფუძველი, 2022 წლის 26 სექტემბრის განჩინებით, სარჩელი – სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 2022 წლის 29 აპრილის №ელ162080 ოქმისა და მისი გასაჩივრების შესაბამისად გამოცემული აქტების ნაწილში განსჯადობით განსახილველად გადაუგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს, ხოლო სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 2022 წლის 14 მაისის №ელ163871, 2022 წლის 16 მაისის №ელ164282, №ელ164284 და №ელ164286 და 2022 წლის 21 მაისის №ელ165081 ოქმებისა და მათი გასაჩივრების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების ნაწილში – ფოთის საქალაქო სასამართლოს, შემდეგი მოტივაციით: ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილია განსჯადი სასამართლოს მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტის აუცილებლობის პრინციპი. სასამართლომ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლზე მითითებით, მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განხილულ უნდა იქნეს მისი ჩადენის ადგილას. შედეგად, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა სამართალდარღვევების შესაძლო ჩადენის ადგილებზე და მიუთითა, რომ სადავო საბაჟო სამართალდარღვევების ოქმების ნაწილი შეეხება საბაჟო გამშვებ პუნქტ სადახლოში ჩადენილ დარღვევებს, რომელიც მდებარეობს ქალაქ მარნეულში, ხოლო ნაწილი – საბაჟო გამშვებ პუნქტ – გაფორმების ეკონომიკურ ზონა (გეზ) ფოთში ჩადენილ დარღვევებს. შესაბამისად, საქმე უნდა განიხილოს სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას მოქმედმა სასამართლომ. ასეთად კი, საბაჟო დეპარტამენტის 2022 წლის 29 აპრილის №ელ162080 ოქმისა და მისი გასაჩივრების შესაბამისად გამოცემული აქტების ნაწილში მიჩნეულ იქნა რუსთავის საქალაქო სასამართლო, ხოლო სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 2022 წლის 14 მაისის №ელ163871, 2022 წლის 16 მაისის №ელ164282, №ელ164284 და №ელ164286 და 2022 წლის 21 მაისის №ელ165081 ოქმებისა და მათი გასაჩივრების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების ნაწილში – ფოთის საქალაქო სასამართლო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, განსჯადობის საკითხის ამგვარი გადაწყვეტა, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყო-

ფას, პროცესის ეკონომიურობასა და ოპერატიულობას, ასევე დაცული იქნება სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების პრინციპი. აქედან გამომდინარე, სს „...ის“ სარჩელი, მოპასუხეების – სსიპ შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ, აგრეთვე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავისა და ფოთის საქალაქო სასამართლოებს.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით სს „...ის“ სარჩელი, მოპასუხეების – სსიპ შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ, საქმის მასალებთან ერთად, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ფოთის საქალაქო სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია დავის ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ისეთი კრიტერიუმების შეფასება, როგორიცაა მოპასუხე სუბიექტები, რომელთა მიმართაც წარდგენილია სასარჩელო მოთხოვნა და მათი ადგილმდებარეობა.

ფოთის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შემოსავლების სამსახურის მისამართებია: ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა №16 და ქალაქი ქუთაისი, ჯავახიშვილის ქუჩა №5. ამასთანავე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში ბრალეული პირის – სს „...ის“ იურიდიული მისამართია ასევე ქალაქი თბილისი, ...ის გამზირი №15. ფოთის საქალაქო სასამართლომ ყურადღება მიაქცია აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ სადავო აქტით – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2022 წლის 28 ივლისის №17160/2/2022 გადაწყვეტილებით, მოსარჩელეს განემარტა მისი გასაჩივრების წესი. კერძოდ, რომ მას აღნიშნული გადაწყვეტილება შეეძლო გაესაჩივრებინა თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64). ამდენად, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოსარჩელეს განემარტა სწორედ იმ სასამართლოსათვის მიმართვის უფლება, რომელიც უფლებამოსილია აღნიშნული დავის განხილვაზე.

ამდენად, ფოთის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან მოცემული დავა შეეხება საბაჟო სამართალდარღვევისათვის შედგენილი ოქმისა და აღნიშნული ოქმის თაობაზე მოსარჩელის საჩივრებზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შე-

მაღალი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გამოცემული ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტების კანონიერების საკითხს, სასამართლომ მსგავს სარჩელებთან დაკავშირებით უნდა იხელმძღვანელოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომლებიც საბაჟო სამართალდარღვევის საქმეებთან დაკავშირებით არ შეიცავენ პირდაპირ მითითებას სასამართლოს განსჯადობის წესთან დაკავშირებით, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, განსჯადობის საკითხი განსაზღვრულია ტერიტორიული ნიშნით. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხეთა ტერიტორიული ადგილსამყოფლის და იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის, როგორც მენარმე სუბიექტის სამენარმეო საქმიანობის ადგილი და იურიდიული მისამართია ქალაქი თბილისი, ...ის მაგზირი №15, ფოთის საქალაქო სასამართლომ მოცემული დავის განსჯად სასამართლოდ თბილისის საქალაქო სასამართლო მიიჩნია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ფოთის საქალაქო სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით სს „...ის“ სარჩელი იმ ნაწილში, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით ფოთის საქალაქო სასამართლოს გადაეცა, განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლითაც დადგენილია, რომ სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. თუკი პირი არაგანსჯად სასამართლოში წარადგენს სარჩელს, იმავე მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე, სასამართლომ სარჩელი განსჯად სასამართლოს უნდა გადაუგზავნოს და აცნობოს ამის შესახებ მოსარჩელეს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საერთო სასამართლობისადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმის განხილვასა და გადაწყვეტაზე უფლებამოსილი კონკრეტული სასამართლოს განსაზღვრა ხდება განსჯადობის წესების საფუძველზე. ამასთან, გან-

სჯადი სასამართლოს დადგენა უნდა განხორციელდეს განსჯადობის მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე, დავის თავისებურებების გათვალისწინებით. მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მოწესრიგებულია განსჯადობის ზოგადი წესები და ამავე კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. დასახელებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და ცალსახად მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ გარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი განსჯადობის ზოგადი წესებისა, სპეციალური კანონმდებლობით კონკრეტული დავების მიმართ განსაზღვრულია განსჯადობის მომწესრიგებელი სპეციალური წესები. სპეციალური და ზოგადი წესების კოლიზიისას კი უპირატესობა უნდა მიენიჭოს სწორედ სპეციალურ წესს და მის საფუძველზე მოხდეს განსჯადი სასამართლოს დადგენა. განსჯადობის ასეთ, ერთ-ერთ სპეციალურ წესს ითვალისწინებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლი, თუმცა საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დასახელებული მუხლით გათვალისწინებულ სპეციალური განსჯადობის წესზე მითითება განსახილველ შემთხვევაში საფუძველს მოკლებულია და სასამართლომ მსგავს სარჩელებთან დაკავშირებით უნდა იხელმძღვანელოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი წესით. მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა კი, საბაჟო სამართალდარღვევის საქმეებთან დაკავშირებით, არ შეიცავს პირდაპირ მითითებას სასამართლოს განსჯადობის წესთან დაკავშირებით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საბაჟო დავა განიხილება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად საგადასახადო დავის განხილვისთვის დადგენილი წესით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (საქართველოს საბაჟო კოდექსის 33.2 მუხლი), ხოლო სასამართლოში დავის წარმოების წესი განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით (საქართველოს საბაჟო კოდექსის 33.4 მუხლი). საქართველოს ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით კი, განსჯადობის საკითხი განსაზღვრულია ტერიტორიული ნიშნით.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოებს შორის განსჯადობა ეხება ტერიტორიული განსჯადობის საკითხს. საქმის მასალების მიხედვით, დადგენილია, რომ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 2022 წლის 14 მაისის №ელ163871, 2022 წლის 16 მაისის №ელ164282, №ელ164284 და №ელ164286 და 2022 წლის 21 მაისის №ელ165081 სამართალდარღვევის ოქმების ბათილად ცნობა, რომელთა საფუძველზეც დაჯარიმდა სანარმო. ოქმების შედგენის საფუძველი კი გახდა საბაჟო წესების დარღვევა და ისინი გამოიცა საქართველოს საბაჟო კოდექსის საფუძველზე. მოსარჩელემ, ასევე მოითხოვა სსიპ შემოსავლების სამსახურის 2022 წლის 29 ივნისის №16735 ბრძანების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2022 წლის 28 ივლისის №17160/2/2022 გადაწყვეტილების, სსიპ შემოსავლების სამსახურის 2022 წლის 29 ივნისის №16740 ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2022 წლის 28 ივლისის №17163/2/2022 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ასევე სსიპ შემოსავლების სამსახურის დავალდებულება, გაათავისუფლოს სს „...ა“ საბაჟო სანქციების სახით დაკისრებული თანხის, სულ 6 000 ლარის გადახდისაგან. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შემოსავლების სამსახურის მისამართებია: ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა №16 და ქალაქი ქუთაისი, ჯავახიშვილის ქუჩა №5. ამდენად, შემოსავლების სამსახურის იურიდიულ მისამართს წარმოადგენს როგორც თბილისი, ასევე ქუთაისი. ორი მისამართის არსებობასთან დაკავშირებით კი, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 7 ოქტომბრის განჩინებაზე (საქმე №ბს-301-297 (გ-14)), სადაც საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში ორი მისამართის მითითება დაკავშირებულია მოპასუხის უფლებამოსილების გამიჯვნასთან ტერიტორიულ პრინციპზე დაყრდნობით. ზემოაღნიშნული დებულების მოცემული ნორმის მიზნებისათვის ორი მისამართის მითითება განსაზღვრავს მისი უფლებამოსილების განხორციელების ადგილს, რომელიც მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოში ქალაქ თბილისს, ხოლო დასავლეთ საქართველოში – ქალაქ ქუთაისს. მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის ორი ადგილსამყოფლის განსაზღვრა თავისთავად დაკავშირებულია თავად მენარმე სუბიექტების საქმიანობის ადგილთან, რაც, თავის

მხრივ, განპირობებულია როგორც საგადასახადო დავების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, ასევე, მათი დედაქალაქში თავმოყრის შესუსტების ტენდენციით“. საქმის მასალების მიხედვით, სს „...ის“ იურიდიული მისამართია – თბილისი, ...ის გამზირი №15. ამდენად, მოსარჩელის საქმიანობის ადგილს წარმოადგენს ქალაქი თბილისი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საქმიანობის ადგილის, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების 1.4 მუხლით შემოსავლების სამსახურის იურიდიული მისამართი მოცემულ დავაზე არის ქალაქი თბილისი, საერთო განსჯადობის შესახებ საპროცესო ნორმის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში განსჯად სასამართლოს ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლო. საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ სადავო აქტით – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2022 წლის 28 ივლისის №17160/2/2022 გადაწყვეტილებით, მოსარჩელეს განემარტა მისი გასაჩივრების წესი. კერძოდ, მას აღნიშნული გადაწყვეტილება შეეძლო გაესაჩივრებინა თბილისის საქალაქო სასამართლოში ამ გადაწყვეტილების მომჩივნისთვის ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში. ამდენად, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოსარჩელეს განემარტა სწორედ იმ სასამართლოსათვის მიმართვის უფლება, რომელიც უფლებამოსილია აღნიშნული დავის განხილვაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სს „...ის“ სარჩელი, მოპასუხეების – სსიპ შემოსავლებისა სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ, სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 2022 წლის 14 მაისის №ელ163871, 2022 წლის 16 მაისის №ელ164282, №ელ164284 და №ელ164286 და 2022 წლის 21 მაისის №ელ165081 ოქმებისა და მათი გასაჩივრების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის ნაწილში, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით,

26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „...ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საგნობრივი და ტერიტორიული განსჯადობა

განსჯადობა უძრავი ქონების და ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-927(გ-21)

9 დეკემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
გ. გოგიაშვილი**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირ-ველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა ვ. მ-ის სარჩელთან დაკავშირებით წარმოდგენილი დავა განსჯადობის თაობაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

2021 წლის 24 სექტემბერს ვ. მ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის, როგორც პრივატიზაციის განმახორციელებელი ორგანოსათვის, ნ. მ-თან 1999 წელს დაწყებული პრივატიზაციის პროცესის დასრულების, კერძოდ, მის მემკვიდრე – ვ. მ-თან ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისა და თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ...ში მდებარე ცხვრის ფერმაზე საკუთების უფლების დადასტურების დავალება მოითხოვა.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ 1999 წლის 31 აგვისტოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს თეთრიწყაროს რაიონული განყოფილების მიერ პრივატიზების მიზნით ჩატარებულ აუქციონში გამარჯვებულად გამოვლინდა სოფელ ...ში მცხოვრები ნ. მ-ი, რომელმაც შეიძინა საპრივატიზაციო ობიექტი – ცხვრის ფერმა, 100 აშშ დოლარად. თანხა გადახდილ იქნა შესაბამის ანგარიშზე.

ამასთან, პრივატიზაციის განმახორციელებელი ორგანოს მიერ 1999 წლის 31 აგვისტოს გაცემულ იქნა აუქციონში გამარჯვების №19.2 ოქმი, თუმცა პრივატიზაციის პროცესი არ დასრულებულა, ნ. მ-თან ნასყიდობის ხელშეკრულება არ გაფორმებულა და არ გაცემულა საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მოსარჩელის განმარტებით, ნ. მ-ი გარდაცვალებამდე ფლობდა და სარგებლობდა სადავო ფერმით. მისი გარდაცვალების შემდგომ (09.04.2019წ.) ფერმის მართვას შეუდგა მისი შვილი – ვ. მ-ი, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო დედის ქონება, მათ შორის ფერმაც, თუმცა მარეგისტრირებელმა ორგანომ ფერმის რეგისტრაცი-აზე უარი განაცხადა იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელემ ვერ წარადგინა ნასყიდობის ხელშეკრულება და საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მოსარჩელის მითითებით, პრივატიზაციის პროცესის დასრულების მოთხოვნით განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს. ვ. მ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა, რაც მან ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილით მოსარჩელის ადმინისტრაციული საჩივარი განუხილველი დარჩა იმ მოტივით, რომ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული დავა სასამართლოს განსჯადი იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 სექტემბრის განჩინებით ვ. მ-ის სარჩელი განსახილველად გადაეგზავნა განსჯად – თეთრინყაროს რაიონულ სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 და მე-18 მუხლებზე და აღნიშნა, რომ ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი პრინციპის თანახმად, იმ კატეგორიის დავების განხილვა, რომელიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიბმულ უფლებას ეხება, მიეკუთვნებოდა იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც იმყოფებოდა მოცემული ქონება ან მოცემული ადგილი. განსახილველ შემთხვევაში, ვ. მ-ის მიერ სარჩელი აღძრული იყო სასამართლოში მოპასუხე – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მიმართ და მხარე ითხოვდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსათვის, როგორც პრივატიზაციის განმახორციელებელი ორგანოსათვის ნ. მ-თან 1999 წელს დაწყებული პრივატიზაციის პროცესის დასრულების, კერძოდ – მის მემკვიდრე – ვ. მ-თან ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისა და მისი საკუთრების უფლების დადასტურების დავალებას თეთრინყაროს

რაიონის სოფელ ...ში მდებარე ცხვრის ფერმაზე. შესაბამისად, უძრავი ქონება, რომლის სამართლებრივ მდგომარეობასაც ეხებოდა დავა მდებარეობდა თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ...ში. სასამართლომ დამატებით მიუთითა, „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №3 დადგენილებაზე, რომლის შესაბამისად განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოებისა და თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. ამავე კანონის 12.2 მუხლის თანახმად, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თეთრიწყაროსა და წალკის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა „სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს რეგიონული ქვედანაყოფების შექმნისა და ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 2 სექტემბრის №1-1/352 ბრძანებაზე, რომლის თანახმადაც შეიქმნა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) რეგიონული ქვედანაყოფები. დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის მუხლის თანახმად, სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს რეგიონული ქვედანაყოფები წარმოადგენენ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სააგენტოს რეგიონული ქვედანაყოფი თავისი ძირითადი ფუნქციების შესრულების დროს წარმოადგენს სააგენტოს. დასახელებული დებულების მეორე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტოს რეგიონული ქვედანაყოფი (გარდა დასავლეთ საქართველოს სასაწყობო მეურნეობის მართვის სამსახურისა) თავისი ძირითადი ფუნქციების შესასრულებლად, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში: ა) მართავს და სარგებლობაში გადასცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არსებულ სახელმწიფო ქონებას; ბ) მონიტორინგს უწევს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არსებული სახელმწიფო ქონების პრივატიზებასთან/სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით მყიდველის/სარგებლობის უფლების მიმღების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში, იღებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს; გ) აღრიცხავს შე-

საბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არსებულ სახელმწიფო ქონებას; დ) უზრუნველყოფს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არსებული სახელმწიფო ქონების რეგისტრაციას, სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანასა და დაყოფას/გაერთიანებას; ე) ახორციელებს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების ადგილზე დათვალიერებას; ვ) ახორციელებს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი სანარმოს პარტნიორის (აქციონერის) უფლებამოსილებებს; ზ) ახორციელებს სახელმწიფო ქონების ჩამოწერას; თ) კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოადგენს სააგენტოს ინტერესებს სასამართლოში; ი) ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით სააგენტოსთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ერთიან, ცენტრალიზებულ სისტემას შედეგად არ უნდა გამოეწვიოს ის, რომ დავათა არსებობისას, ნებისმიერ შემთხვევაში განსჯად სასამართლოდ განსაზღვრულიყო უშუალოდ სარჩელში მოპასუხე მხარედ დასახელებული ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელი. განსახილველ შემთხვევაში მართალია ვ. მ-ის მიერ აღძრულ სარჩელში მოპასუხე მხარედ დასახელებული იყო სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, თუმცა აღნიშნული უპირობოდ არ ნიშნავდა იმას, რომ მხოლოდ საერთო განსჯადობის წესები ყოფილიყო გამოყენებული და სარჩელი განეხილა მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით განსჯად სასამართლოს, რამეთუ აღნიშნულს შედეგად მოჰყვებოდა ადმინისტრაციული საქმეების კონცენტრაცია მხოლოდ ქ. თბილისში (სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №49ა). აღნიშნულის თავიდან აცილების მიზნით კი, სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დასახელებული სამართლებრივი ნორმებისა და არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ნივთობრივი განსჯადობის წესები და სარჩელის განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა უნდა მომხდარიყო სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით. შესაბამისად, ვ. მ-ის მიერ აღძრულ სარჩელზე განსჯად სასამართლოს წარმოადგენდა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2021 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქმე გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თეთრინყაროს რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სასარჩელო მოთხოვნა დაკავშირებული იყო „სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ რიგ ქონებაზე პრივატიზების პროცესის დასრულებასთან დაკავშირებული სპეციალურ წესთან“, რომელიც დამტკიცებული იყო საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №153 დადგენილებით და რომლის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკუთრების უფლების დადასტურებას ახორციელებდა სააგენტო. იმავე წესის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით სააგენტო იყო სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. რაიონული სასამართლოს მითითებით, საკასაციო სასამართლომ მსგავს საკითხთან დაკავშირებით განმარტა შემდეგი: „სასამართლოებმა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონიდან გამომდინარე დავების განსჯადობის განსაზღვრისას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დაადგინონ თუ რას ხდის სადავოდ მოსარჩელე – აღმასრულებლის ქმედებას, თუ უშუალოდ იძულებით აუქციონს ან/და განკარგულებას აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ, რაც არსებითად ცვლის სასამართლოს განსჯადობას, რამეთუ პირველ შემთხვევაში მოპასუხე მხარეს წარმოადგენს აღმასრულებელი, რომლის ადგილსამყოფელი ემთხვევა ტერიტორიული ორგანოს ადგილსამყოფელს და მასზე ვრცელდება იმ სასამართლოს იურისდიქცია, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს აღსრულების 3 ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანო. მე-2 შემთხვევაში მოპასუხეა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო, რომლის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, რაც განაპირობებს აღნიშნული კატეგორიის დავების თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის დაქვემდებარების აუცილებლობას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 27 იანვრის განჩინება, საქმე №ბს-2(გ-20)).

თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციური ხასიათის მიუხედავად, თავად სარჩელი დისპოზიციური იყო, რაც ნიშნავდა იმას, რომ განმცხადებელი სარგებლობდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით რეგლამენტირებული უფლებით და დისპოზიციურობის პრინციპის შესაბამისად, თავად ასახელებდა მოპასუხე მხარეს. მოსარჩელე მოპასუხედ ამ შემთხვევაში ასახელებდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, რაც უკვე ქმნიდა სარჩელის იმ სასამართლოსათვის განსჯადობით გადაგზავნის საფუძველს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც მდებარეობდა მოპასუხე. ამდენად, მოცემულ საქმეზე მოპასუხეს წარ-

მოადგენდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, რომლის იურიდიული მისამართი იყო: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №49. შესაბამისად, სახეზე არ იყო განსაკუთრებული განსჯადობის შემთხვევა და განსჯადობა უნდა გადაწყვეტილიყო საერთო განსჯადობის წესების დაცვით ანუ მოპასუხის – სსიპ ქონების ეროვნული სააგენტოს ადგილსამყოფლის მიხედვით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ ვ. მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას როგორც საგნობრივი, ისე ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება ტერიტორიული განსჯადობის საკითხს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით კონკრეტულ ტერიტორიაზე უძრავი ქონების ან სამართალურთიერთობასთან დაკავშირე-

ბით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს ეს უძრავი ქონება ან არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვითაც მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, საერთო წესის მიხედვით, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით. შესაბამისად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო.

განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის, როგორც პრივატიზაციის განმახორციელებელი ორგანოსათვის, ნ. მ-თან 1999 წელს დაწყებული პრივატიზაციის პროცესის დასრულების, კერძოდ, მის მემკვიდრე – ვ. მ-თან ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისა და თეთრინყაროს რაიონის სოფელ ...ში მდებარე ცხვრის ფერმაზე საკუთრების უფლების დადასტურების დავალება წარმოადგენს. ამასთანავე, მოსარჩელის საბოლოო მიზანს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვება წარმოადგენს. შესაბამისად, სარჩელის ყველა მოთხოვნა აღნიშნული მიზნიდან გამომდინარეობს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მიხედვით უძრავ ნივთებთან დაკავშირებული დავა შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №153 დადგენილებით დამტკიცებულია „სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ რიგ ქონებაზე პრივატიზების პროცესის დასრულებასთან დაკავშირებული სპეციალური წესი“, რომლითაც განაზღვრულია საკუთრების უფლების დადასტურების ანუ უძრავ ნივთზე პრივატიზების პროცესის დასრულებისა და დანიტერესებული პირისთვის, საკუთრების უფლების დადასტურების თაობაზე, შესაბამისი დოკუმენტის გაცემის პირობები. ხსენებული წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკუთრების უფლების დადასტურებას ახორციელებს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სახელ-

მნიშვნელოვანი ეროვნული სააგენტოს დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სააგენტო თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს სტრუქტურული ქვედანაყოფების მეშვეობით. ამავე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით კი სააგენტოს ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფია მინისტრის ბრძანების შესაბამისად შექმნილი რეგიონული ქვედანაყოფ(ებ)ი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 2 სექტემბრის №1-1/352 ბრძანების პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, შეიქმნა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს რეგიონული ქვედანაყოფი – ქვემო ქართლის რეგიონული სამსახური, რომელიც წარმოადგენს სააგენტოს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში (ქ. რუსთავის, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულისა და წალკის მუნიციპალიტეტები). ზემოხსენებული ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს რეგიონული ქვედანაყოფის დებულება, რომლის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სააგენტოს რეგიონული ქვედანაყოფი თავისი ძირითადი ფუნქციების შესრულების დროს წარმოადგენს სააგენტოს. ამავე დებულების მე-2 მუხლით დადგენილია ქვედანაყოფის ფუნქციები, კერძოდ, სააგენტოს რეგიონული ქვედანაყოფი, თავისი ძირითადი ფუნქციების შესასრულებლად დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში: ა) მართავს და სარგებლობაში გადასცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არსებულ სახელმწიფო ქონებას; ბ) მონიტორინგს უწევს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არსებულ სახელმწიფო ქონების პრივატიზებასთან/სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით მყიდველის/სარგებლობის უფლების მიმღების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში იღებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს; გ) აღრიცხავს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არსებულ სახელმწიფო ქონებას; დ) უზრუნველყოფს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არსებულ სახელმწიფო ქონების რეგისტრაციას, სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანასა და დაყოფას/გაერთიანებას; ე) ახორციელებს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების ადგილზე დათვალიერებას; ვ) ახორციელებს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს პარტნიორის (აქციონერის) უფლებამოსილებებს; ზ) ახორციელებს სახელმწიფო ქონების ჩამოწმებას; თ) კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოადგენს სააგენტოს ინ-

ტერესებს სასამართლოში; ი) ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით სააგენტოსთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მიზანშეწონილია დავის უძრავი ქონების და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს რეგიონული ქვედანაყოფის ადგილსამყოფლის მიხედვით განხილვა, რადგან სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში შესასრულებელი მოქმედება – პრივატიზაციის პროცესის დასრულება ასევე წარმოადგენს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შესაბამისი ქვედანაყოფის ერთ-ერთ უფლებამოსილებას. ამასთან, საყურადღებოა ის გარემოება, რომ სასამართლოში სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ინტერესები უფლებამოსილია წარმოადგინოს სწორედ სააგენტოს რეგიონულმა ქვედანაყოფმა – მოცემულ შემთხვევაში ქვემო ქართლის რეგიონულმა სამსახურმა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან, „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №3 დადგენილების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უძრავი ნივთი და სააგენტოს რეგიონული ქვედანაყოფი თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარეობს, ვ. მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს უნდა დაექვემდებაროს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 და 26-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა უძრავი ქონების და ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-1200(გ-21)

23 თებერვალი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. ოქროპირიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. მაკარიძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირ-
ველი მუხლის მეორე ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და სა-
ქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-
3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა ნ. ლ-ის, გ. გ-ის, მ. ბ-ის და ლ. ბ-
ის სარჩელთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობაზე,
თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-
ლეგიასა და მცხეთის რაიონულ სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

2021 წლის 4 ოქტომბერს, ნ. ლ-მა, გ. გ-ა, მ. ბ-მა და ლ. ბ-მა სარ-
ჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრა-
ციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნუ-
ლი სააგენტოს მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს ... №34-ში (ზო-
ნა – მცხეთა, სექტორი – ...) მდებარე უძრავ ნივთზე (ს/კ ...) სა-
კუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 7 ივნისის №... გადაწყვეტილე-
ბის ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიის 2021 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით აღნიშნული სარ-
ჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა მცხეთის რაიონულ
სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართვე-
ლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის (საერთო
განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩე-
ლი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.
სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება
იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, სარჩე-
ლი ადმინისტრაციული ორგანოს, როგორც იურიდიული პირის მი-

მართ წარედგინება იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც არის ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელი. აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს საერთო განსჯადობას და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილი ადგენს განსაკუთრებულ განსჯადობას, რომლის საფუძველზეც სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

სასამართლოს განმარტებით, ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი პრინციპის თანახმად, იმ კატეგორიის დავების განხილვა, რომელიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიბმულ უფლებას ეხება, მიეკუთვნება იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც იმყოფება მოცემული ქონება ან მოცემული ადგილი. განსახილველ შემთხვევაში, სარჩელი აღძრულია მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ. მოსარჩელების მოთხოვნას კი, წარმოადგენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 7 ივნისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. საქმის მასალებით დგინდება, რომ სადავო რეგისტრაცია განხორციელდა მცხეთის რაიონში, ...ში, ... №34-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (ზონა – მცხეთა, სექტორი – ...). ამდენად, წარმოდგენილი სარჩელიდან და სასარჩელო მოთხოვნის ანალიზიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ სადავოა იმ აქტის კანონიერების საკითხი, რომელიც მიღებულია მცხეთაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სადავო უძრავი ქონება. საქმეზე წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ უძრავი ნივთი, რომლის სამართლებრივ მდგომარეობასაც ეხება დავა, მდებარეობს მცხეთაში (ზონა – მცხეთა, სექტორი – ...).

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადობა, ასევე მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობა განისაზღვრება კანონით. „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამარ-

თლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №3 დადგენილებით განისაზღვრა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის, 23-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის პირველი პუნქტის, 28-ე მუხლისა და 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოებისა და თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. აღნიშნული დადგენილების მე-14 მუხლის თანახმად, მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა მცხეთის, ახალგორის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ აღძრულ სარჩელებზე გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ნივთობრივი განსჯადობის წესები და სარჩელის განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა უნდა მოხდეს სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით. ამდენად, ნ. ლ-ის, გ. გ-ის, მ. ბ-ის და ლ. ბ-ის მიერ აღძრულ სარჩელზე განსჯად სასამართლოს წარმოადგენს მცხეთის რაიონული სასამართლო (სასამართლომ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას მხედველობაში მიიღო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინება, საქმე №ბს-715-711 (გ-17)).

მცხეთის რაიონული სასამართლო არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს და 2021 წლის 7 დეკემბრის განჩინებით, ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად, საქმე გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწი-

ლი თავისი ხასიათით, შინაარსითა და იურიდიული ბუნებით არის ზოგადი და ამავე დროს იმპერატიული ნორმა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად ადგენს განსჯად საერთო სასამართლოს ტერიტორიული ნიშნის, ანუ მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამასთან, სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველ ნაწილზე, რომელიც ადგენს განსაკუთრებულ განსჯადობას და რომლის საფუძველზეც, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი პრინციპის თანახმად, იმ კატეგორიის დავების განხილვა, რომელიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიბმულ უფლებას ეხება, მიეკუთვნება იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც იმყოფება მოცემული ქონება ან მოცემული ადგილი.

„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №3 დადგენილების მე-14 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განსაზღვრულია მცხეთის, ახალგორის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ №ბს-715-711(გ-17) საქმეზე სუს 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინების მხედველობაში მიღებით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ აღძრულ სარჩელებზე გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ნივთობრივი განსჯადობის წესები და სარჩელის განსჯადი სასამართლო უნდა განისაზღვროს სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით. ამავდროულად, რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრება, რომ დავა წარმოადგენს მცხეთის რაიონული სასამართლოს განსჯადს, ვინაიდან სადავო ქონება არ არის მოქცეული მცხეთის მუნიციპალიტეტის ერთეულის საზღვრებში. კერძოდ, რაიონული სასამართლოს აღნიშნული მოსაზრება დაეფუძნა მცხეთის მუნიციპალიტეტის მე-

რის 2021 წლის 25 ოქტომბრის №... წერილს, რომლის თანახმად, სადავო ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ნაკვეთი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გეოდეზიისა და გეოინფორმაციის დეპარტამენტის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სამსახურის სახელმწიფო გეოდეზიურ-კარტოგრაფიულ ფონდში დაცული ქალაქ თბილისის გრაფიკული ადმინისტრაციული საზღვრის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 27 დეკემბრის №4173-რს დადგენილებით, მდებარეობს ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, მოცემული დავა განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. შესაბამისად, არსებობს განსჯადობის შესახებ დავის დაწყების და აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის მიზნით, საქმის საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაგზავნის საფუძველი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და მცხეთის რაიონული სასამართლოს განჩინებებს და მიჩნევს, რომ საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადანაცემოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. ამასთან, მითითებული მუხლით გათვალისწინებულ სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვებაში იგულისხმება სასამართლოებს შორის დავა არა მხოლოდ საგნობრივი, არამედ ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ როგორც წესი, სარჩელი, საერთო პრინციპის თანახმად, წარედგინება იმ სასამართლოს,

რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო. ტერიტორიული განსჯადობის პრინციპი მომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლიდან და მდგომარეობს შემდეგში: სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამრიგად, მითითებული მუხლის საფუძველზე, საერთო წესის მიხედვით, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო.

საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას (იხ. მაგ.: №ბს-715-711(გ-17) საქმეზე სუს 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინება) და მიიჩნევს, რომ მოცემული სარჩელის განსჯად სასამართლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიჩნევის შესაძლებლობა არ უნდა დაუკავშირდეს მხოლოდ მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილმდებარეობას და გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ნივთობრივი განსჯადობის წესები – სარჩელის განსჯადი სასამართლო უნდა განისაზღვროს სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოებს შორის განსჯადობის წესების მიხედვით დავების განაწილება ემსახურება მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის, პროცესის ეკონომიურობის და ოპერატიულობის, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების უზრუნველყოფას, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე საჯარო მმართველობის განხორციელების ფორმა, პრინციპები, ადმინისტრაციული ორგანოს ტერიტორიული დაყოფის მიზნები, კონკრეტული დავის თავისებურებები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ კატეგორიის საქმეთა სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობის პრინციპიდან გამომდინარე, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე შედის იმ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციაში, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს. სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან უნდა დადგინდეს სარჩელის წარდგენის მომენტისთვის. ამდენად, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო. აღ-

ნიშნული პრინციპიდან განდგომა გამონაკლისის წესით, სასამართლოებს შორის თანაზომიერი დატვირთვის მოსაზრებიდან და საჯარო რეესტრის ორგანიზაციული მოწყობიდან გამომდინარე, დაშვებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და მის სისტემაში შემავალი რეგიონალური ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე, რომელთა მიმართ გამოიყენება ნივთობრივი განსჯადობის წესები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთს, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, სარჩელის მიზნის გათვალისწინებით, განსჯადი სასამართლო შეიძლება განისაზღვროს სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო რეესტრის შიდა ორგანიზაცია ხასიათდება მის სტრუქტურებს შორის მყარი ურთიერთკავშირით, რომელიც ქმნის სტრუქტურის ერთიანობას. საჯარო რეესტრის ორგანიზაციული სტრუქტურის ცალკეულ ერთეულებად დაყოფა, დიფერენციაცია ტერიტორიულ ორგანოებზე განპირობებულია მომსახურების ხელმისაწვდომობის, რაციონალური დატვირთვის, საქმიანობის ეფექტურობისა და სხვა მოსაზრებებით. ამდენად, წარდგენილ განაცხადზე სარეგისტრაციო წარმოების ჩატარებას და შემდგომში აქტის გამოცემას ახდენს არა უშუალოდ სააგენტო, არამედ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული სამსახური, სწორედ ტერიტორიულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს საქმის გარემოებათა ყოველმხრივი გამოკვლევა, საჭიროების შემთხვევაში ადგილზე დათვალიერება, მეზობელთა გამოკითხვა და სხვ.. ამდენად, ზოგადი წესის თანახმად, დავის განსჯადობის საკითხი არ წყდება სააგენტოს ადგილმდებარეობის მიხედვით, თუმცა განსახილველ შემთხვევაში სადავო აქტის გამომცემ ორგანოს წარმოადგენს ქ. თბილისში მდებარე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომელიც თავისი ფუნქციების განსახორციელებლად ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არ მოქმედებს ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით, სააგენტო ქ. თბილისის ტერიტორიაზე თავად ახორციელებს თავის ფუნქციებს, რეგიონული ოფისების და ფილიალების ჩარევის გარეშე, აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 3 მაისის №134 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების“ მე-6 მუხლის მეორე პუნქტი, რომე-

ლიც სააგენტოს ტერიტორიულ სამხასაზურებს შორის არ ასახელებს ქ. თბილისში სააგენტოს უფლებამოსილებების განმახორციელებელ სპეციალურ ტერიტორიულ ორგანოს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილების 30-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განსაზღვრულია თვითმმართველი ქალაქის – მცხეთის, ახალგორის, დუშეთის, თიანეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით. ამავე გადაწყვეტილების მე-20 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება საქართველოს დედაქალაქის – თბილისის ადმინისტრაციული საზღვრებით.

საქმის მასალების მიხედვით, მოსარჩელე სადავოდ ხდის ... №34-ში (ზონა – მცხეთა, სექტორი – ...) მდებარე უძრავ ნივთზე (ს/კ ...) საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 7 ივნისის №... გადაწყვეტილებას. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოძგმ-ცემა ორგანო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომელიც „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, თავის ფუნქციებს ახორციელებს უშუალოდ, ტერიტორიული სამსახურების ან ავტორიზებული პირების მეშვეობით. ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 3 მაისის №134 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების“ მე-6 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, სააგენტოს ტერიტორიული სამსახურებია რეგიონული ოფისები და ფილიალები, რომლებიც, ამავე დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 31-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თავის სამოქმედო ტერიტორიაზე ნორმატიულად განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში ასრულებენ სააგენტოს ფუნქციებს.

„ქალაქ თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 27 დეკემბრის №4173-რს დადგენილებით საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ სადავო მინის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს მცხეთის რაიონში, ...ში, მოქცეულია თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში. აღნიშნულს ადასტურებს საქმეზე წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილიც. კერძოდ, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 25 ოქტომბრის წერილით

მცხეთის რაიონულ სასამართლოს ეცნობა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გეოდეზიისა და გეოინფორმაციის დეპარტამენტის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სამსახურის სახლმწიფო გეოდეზიურ-კარტოგრაფიულ ფონდში დაცული, საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 27 დეკემბრის №4173-რს დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის გრაფიკული ადმინისტრაციული საზღვრის მიხედვით, ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში. წერილს ერთვის ფრაგმენტი ორთოფოტოგეგმიდან, შესაბამისი საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთის ჩვენებით.

ამდენად, საკასაციო პალატა დადასტურებულად მიიჩნევს, რომ როგორც უძრავი ნივთის ასევე მოპასუხის ადგილმდებარეობა მოცულია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიით, რის გამოც, დავა ტერიტორიულად სწორედ მისი ქვემდებარეა. კერძოდ, სადავო უძრავი ნივთი მდებარეობს ქ. თბილისში და სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემ ორგანოს წარმოადგენს არა სააგენტოს ტერიტორიული სამსახური, არამედ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში და ამ ტერიტორიაზე თავად ახორციელებს თავის უფლებამოსილებებს, რეგიონალური ოფისების და ფილიალების დახმარების გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ნ. ლ-ის, გ. გ-ის, მ. ბ-ის და ლ. ბ-ის სარჩელი არსებითი განხილვისათვის უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, მეორე მუხლის პირველი ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ლ-ის, გ. გ-ის, მ. ბ-ის და ლ. ბ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განსჯადობა ადმინისტრაციული ორგანოს
აღკვეთვით**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-1078(გ-21)

7 მარტი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ბ. სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე;
გ. აბუსერიძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს შორის ნ. მ-ის სარჩელის გამო წარმოშობილი დავა განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2021 წლის 6 აგვისტოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა მსჯავრდებულმა ნ. მ-იმ, მოპასუხედ №... პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება მიუთითა და მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით მოპასუხისათვის 50 000 ლარის გადახდის დაკისრება მოითხოვა. მოსარჩელის განმარტებით, 2021 წლის ივლისში რამდენჯერმე უკანონოდ მოათავსეს დეესკალაციის ოთახში და უსაფუძვლოდ გააგრძელეს დეესკალაციის ოთახში მოთავსების ვადა. დეესკალაციის ოთახში ყოფნის განმავლობაში არ აწვდიდნენ საკვებს, უკანონოდ, არაერთხელ გამოიყენეს მის მიმართ ხელბორკილი, რის გამოც მიიყენა თვითდაზიანებები და სცადა თვითმკვლელობა. მოსარჩელის განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან განხორციელებული უკანონო ქმედებების გამო განიცადა ტანჯვა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით ნ. მ-ის სარჩელი განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სასჯე-

ლადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №... პენიტენციური დაწესებულების დებულების“ მე-2 მუხლის პირველ და მე-6 პუნქტებზე, რომლის თანახმად, დაწესებულება არის დამოუკიდებელი ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი და ფუნქციონირებს სამინისტროს სისტემაში. დაწესებულება მისთვის მინიჭებული ცალკეული ფუნქციების შესრულებისას არის ადმინისტრაციული ორგანო. დაწესებულებას არ აქვს საკუთარი ქონება და მის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს სამინისტრო. რუსთავის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №... პენიტენციური დაწესებულების დებულების“ მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით, დაწესებულება მხოლოდ პატიმრობის კოდექსით დადგენილ შემთხვევებში გამოდის სასამართლოში დამოუკიდებლად, თავისი სახელით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ №... დაწესებულება არ არის უფლებამოსილი გამოვიდეს მხარედ სასამართლოში წინამდებარე საქმეზე და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადგილსამყოფლის გათვალისწინებით (ქ. თბილისი) დაადგინა, რომ მოცემული საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ განსახილველ საქმეთა კატეგორიას განეკუთვნება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 5 ნოემბრის განჩინებით ნ. მ-ის სარჩელი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სარჩელზე მოპასუხედ დასახელებულია №... პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №... პენიტენციური დაწესებულების დებულების მიხედვით, №... პენიტენციური დაწესებულების მისამართია ...ის მუნიციპალიტეტი სოფელი ...ი (მე-2 მუხლის მე-8 პუნქტი). ამავე დებულების მიხედვით, №... პენიტენციური დაწესებულება არის დამოუკიდებელი ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი, ფუნქციონირებს სამინისტროს სისტემაში და მისთვის მინიჭებული ცალკეული ფუნქციების შესრულებისას არის ადმინისტრაციული ორგანო (მე-2 მუხლის პირველი პუნქტი). ამავე დებულების მიხედვით, დაწესებულება პატიმრობის კოდექსით დადგენილ შემ-

თხვევებში დამოუკიდებლად, თავისი სახელით გამოდის სასამართლოში (მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი). ვინაიდან №... პენიტენციური დაწესებულების ადგილსამყოფელი არის გარდაბანი, სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ დაწესებულების მიმართ აღძრული სარჩელი უნდა იქნეს განხილული იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაც მოიცავს გარდაბანს. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს რუსთავის საქალაქო სასამართლო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე რუსთავის საქალაქო სასამართლოს და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ ნ. მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივი, არამედ ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება ტერიტორიული განსჯადობის საკითხს.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, რამდენადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად

ცნობის, ასევე აქტის გამოცემის თუ ქმედების განხორციელების მოთხოვნით აღძრული სარჩელი ყველა შემთხვევაში მიემართება იმ ადმინისტრაციული ორგანოსადმი, რომლის კომპეტენციაშიც შედის ზემოაღნიშნული სამართალურთიერთობის გადანაცვება, სარჩელი, საერთო პრინციპის თანახმად, როგორც წესი შედის იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო.

ტერიტორიული განსჯადობის პრინციპი მომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლიდან და მდგომარეობს შემდეგში – სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი, საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ უნდა განმარტოს შესაძლებელია თუ არა №... პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება დამოუკიდებლად გამოვიდეს მხარედ სასამართლოში, დაწესებულების მხრიდან, მსჯავრდებულის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის გამო, მორალური ზიანის მოთხოვნით აღძრულ სარჩელზე.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ მოსარჩელე ნ. მ-ი, თავის მოთხოვნას ასაბუთებს იმ გარემოებაზე მითითებით, რომ იგი უკანონოდ, რამდენჯერმე მოათავსეს დეესკალაციის ოთახში, უსაფუძვლოდ გაგრძელდა მოთავსების ვადა, დეესკალაციის ოთახში ყოფნის განმავლობაში არ აწვდიდნენ საკვებს და უკანონოდ, არაერთხელ გამოიყენეს მის მიმართ ხელბორკილი, რის გამოც მიიყენა თვითდაზიანებები, სცადა თვითმკვლელობა და განიცადა ტანჯვა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნას, საფუძვლად უდევს, მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში განთავსებისა და ელექტრონული საშუალებებით ვიზუალური მეთვალყურეობის განხორციელების შესახებ №... პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის ბრძანებების უკანონობაზე მითითება და არასათანადო მოპყრობის გამო განცდილი ტანჯვა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პატიმრობის კოდექსის 2.4 მუხლით, საქართველოს იუსტიციის მინისტრს (შემდგომ –

მინისტრი) უფლება აქვს, გამოსცეს ბრძანება ამ კოდექსით გათვალისწინებულ საკითხებზე. ამავე კოდექსის 8.3 მუხლით, პენიტენციური დაწესებულების უფლებამოსილება, სტრუქტურა და მართვის წესი, აგრეთვე ამ კოდექსის 52-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა საკითხები განისაზღვრება პენიტენციური დაწესებულების დებულებით, რომელსაც სამსახურის გენერალური დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს მინისტრი. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 1 აგვისტოს №200 ბრძანებით, პატიმრობის კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად დამტკიცდა პენიტენციურ დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის ორგანიზების ინსტრუქცია თანდართული სახით. პენიტენციურ დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის ორგანიზების ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ნ“ პუნქტით, დეესკალაციის ოთახი არის ბრალდებულის/მსჯავრდებულის განთავსების ადგილი, როდესაც იგი საფრთხეს უქმნის საკუთარ ან სხვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, რომელიც განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის მიერ. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით, პატიმრობის კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილისა და მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №... პენიტენციური დაწესებულების თანდართული დებულება. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №... პენიტენციური დაწესებულების დებულების 27.1 მუხლით, თუ ბრალდებული/მსჯავრდებული საფრთხეს უქმნის ან შეიძლება საფრთხე შეუქმნას საკუთარ ან სხვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, სამედიცინო პერსონალის რეკომენდაციის ან/და დაწესებულების უფლებამოსილი მოსამსახურის პატაკის საფუძველზე გამოცემული დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, იგი შეიძლება განთავსდეს დაწესებულების სათანადოდ აღჭურვილ დეესკალაციის ოთახში, სამედიცინო პერსონალის უწყვეტი ხელმისაწვდომობის და დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის 24 საათიანი ვიზუალური საშუალებებით მეთვალყურეობის პირობებში.

საკაცაციო სასამართლო განმარტავს, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში მოთავსება წარმოადგენს პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებულ ღონისძიებას, რამდენადაც პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებულ საკითხებზე და-

ამტიკცა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა, როგორც პენიტენციურ დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის ორგანიზების ინსტრუქცია, ასევე №... პენიტენციური დაწესებულების დებულება, რომლითაც დაწესებულების დირექტორს მიენიჭა უფლებამოსილება კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში, მოეთავსებინა ბრალდებული/მსჯავრდებული, დეესკალაციის ოთახში.

საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ პატიმრობის კოდექსის 3.1 მუხლით, ეს კოდექსი განსაზღვრავს სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეზე თავისუფლების აღკვეთის სახით დადგენილი განაჩენის აღსრულების წესსა და პირობებს, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამართლებრივი დაცვის გარანტიებს, ანესრიგებს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ორგანოთა საქმიანობას, ადგენს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებაში სახელმწიფო ორგანოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა მონაწილეობის წესსა და პირობებს. სადავო არ არის ის გარემოება, რომ ნ. მ-ი არის მსჯავრდებული და იმყოფება №... პენიტენციურ დაწესებულებაში. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსების მომენტიდან, ბრალდებულს/მსჯავრდებულს და პენიტენციურ დაწესებულებას შორის ურთიერთობას ანესრიგებს პატიმრობის შესახებ კოდექსი. ბრალდებულის/მსჯავრდებულის და პენიტენციური დაწესებულების უფლებამოვალეობებს პატიმრობის შესახებ კოდექსთან ერთად, ასევე განსაზღვრავენ აღნიშნული კოდექსის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტები. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პენიტენციური დაწესებულების მიმართ არასათანადო მოპყრობის გამო მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ეფუძნება, მათ შორის, პატიმრობის შესახებ კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას. ასეთ შემთხვევაში მოთხოვნა მიმართულია უშუალოდ იმ პენიტენციურ დაწესებულების მიმართ, რომელმაც სავარაუდოდ განახორციელა ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ არასათანადო მოპყრობა.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს ფიზიკური პირი მსჯავრდებული ნ. მ-ი. მოპასუხედ, თავად მოსარჩელემ დაასახელა №... პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება. დავის საგანია მოპასუხისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება. მოსარჩელე მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვს №... პენიტენციური დაწესებულის მხრიდან განხორციელებული არასათანადო მოპყრობა.

ბის (საკვების მიუწოდებლობა, უსაფუძვლოდ ხელბორკილის და-
დება) გამო, რამაც მოსარჩელის მოსაზრებით გამოიწვია მორალუ-
რი ტანჯვა. ნ. მ-ი მიუთითებს, რომ დეესკალაციის ოთახში განთავ-
სებისა და ელექტრონული საშუალებებით ვიზუალური მეთვალყუ-
რეობის განხორციელების შესახებ №... პატიმრობისა და განსაკუთ-
რებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექ-
ტორის ბრძანებები ფორმალურად ქმნიდნენ საფუძველს მისი დე-
ესკალაციის ოთახში მოსათავსებლად, თუმცა ადმინისტრაციული
აქტის სადავოობის საკითხს არსებით მნიშვნელობას არ ანიჭებს,
რამდენადაც ადმინისტრაციული აქტი გამოიყენებოდა როგორც ინ-
სტრუმენტი მის მიმართ უკანონო ქმედებების განსახორციელებ-
ლად და მოთხოვნის ძირითად საფუძველად მიუთითებს, №... პენი-
ტენციური დაწესებულების მხრიდან განხორციელებულ არასათა-
ნადო მოპყრობაზე, რამაც გამოიწვია ტანჯვა და მიაყენა მორალუ-
რი ზიანი. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ როგორც დე-
ესკალაციის ოთახში მოთავსების შესახებ ადმინისტრაციული აქ-
ტის, ასევე არასათანადო მოპყრობის გამო მორალური ზიანის ანაზ-
ღაურების მოთხოვნა, ეფუძნება პატიმრობის შესახებ კოდექსით
პენიტენციური დაწესებულებისათვის დადგენილი ვალდებულებე-
ბის სავარაუდო დარღვევის ფაქტს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინის-
ტრაციული საპროცესო კოდექსის 14.1 მუხლზე, რომლითაც საქარ-
თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლით გათვა-
ლისწინებული პირების გარდა, ადმინისტრაციულ პროცესში მონა-
წილეობს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც გამოსცა ად-
მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან განახორციელა იურიდი-
ული მნიშვნელობის მქონე რაიმე ქმედება. ასევე, „საქართველოს
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №... პენიტენ-
ციური დაწესებულების დებულების“ მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით,
დაწესებულება მხოლოდ პატიმრობის კოდექსით დადგენილ შემ-
თხვევებში გამოდის სასამართლოში დამოუკიდებლად, თავისი სა-
ხელით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელე მიუ-
თითებს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან არასათანადო მოპ-
ყრობაზე და ამ საფუძველით ითხოვს მორალური ზიანის ანაზღაუ-
რებას. სარჩელი აღძრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპ-
როცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით
გათვალისწინებულ დავის საგანზე – ადმინისტრაციული ორგანოს
ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე. ადმინისტრაციუ-
ლი ორგანოს მიერ ჩადენილი უკანონო ქმედების გამო პასუხის-
მგებლობა (მტკიცების ტვირთი) ეკისრება ამ ქმედების სავარაუ-
დოდ ჩამდენ ადმინისტრაციულ ორგანოს.

საკასაციო სასამართლო მოხმობილი ნორმებიდან გამომდინარე განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნება პატიმრობის კოდექსით პენიტენციური დაწესებულებისათვის დადგენილი ვალდებულების დარღვევას, რაც **N** პენიტენციურ დაწესებულების დებულების 2.5 მუხლის საფუძველზე, აღნიშნულ პენიტენციურ დაწესებულებას აკისრებს ვალდებულებას დამოუკიდებლად თავისი სახელით გამოვიდეს სასამართლოში. საკასაციო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა, ასევე გამომდინარეობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 14.1 მუხლით დადგენილი ზოგადი პრინციპიდან, რომლის თანახმად ადმინისტრაციულ პროცესში ის ადმინისტრაციული ორგანო მონაწილეობს, რომელმაც განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მქონე რაიმე ქმედება. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე ნ. მ-ი სადავოდ ხდის **N** დაწესებულების მხრიდან არასათანადო მოპყრობას და ითხოვს მორალური ზიანის ანაზღაურებას. სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სანააღმდეგოს მტკიცების ტვირთი კი ქმედების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს, ამ შემთხვევაში №... პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების, ვალდებულებას წარმოადგენს.

საკასაციო პალატა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ საერთო წესის მიხედვით, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხე – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით. შესაბამისად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №3 დადგენილებაზე, რომლითაც განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოებისა და თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. დასახელებული დადგენილების 16.2 მუხლით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის რუსთავისა და ...ის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან №... პენიტენციური დაწესებულება ...ის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში მდებარეობს,

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ნ. მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად რუსთავის საქალაქო სასამართლოს უნდა დაექვემდებაროს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით,

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. მ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს.
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს.
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-664(გ-22)

27 სექტემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
თ. ოქროპირიძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. გ. გ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების – გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ (დაზუსტებული სარჩელი).

მოსარჩელემ მოითხოვა: 1) ბათილად იქნეს ცნობილი გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 2 თებერვლის №18-1821033115 გადაწყვეტილება განცხადების განხილვაზე უარის თქმის შესახებ; დაევალოს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიას 1993 წლის 25 ივნისის გარდაბნის რაიონის გამგეობის სხდომაზე №6 ოქმით მიღებული №96 გადაწყვეტილებით გადაცემული 17,71 კვ. მეტრი, №8 ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა; 2) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 13 აგვისტოს №1/1-3191 ბრძანება სადავო ნაგებობაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ, 17,71 კვ. მეტრის ნაწილში; 3) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 17 აგვისტოს №... გადაწყვეტილება, რომლითაც განხორციელდა სახელმწიფო საკუთრების უფლების რეგისტრაცია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 13 აგვისტოს №1/1-3191 ბრძანებაში მითითებულ უძრავ ნივთზე, მდებარე: გარდაბანი, ...ის №99 მიმდებარედ, საკადასტრო კოდი – ..., მოსარჩელისათვის გარდაბნის რაიონის გამგეობის 1993 წლის 25 ივნისის სხდომაზე №6 ოქმით მიღებული №96 გადაწყვეტილებით გადაცემული 17,71 კვ. მეტრის ნაწილში; 4) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 29 ნოემბრის №10/69565 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი №... საკადასტრო ერთეულიდან 841.8 კვ.მ ტერასის გამოყოფისა და ცალკე უფლების ობიექტად რეგისტრაციის თაობაზე, მოსარჩელისათვის გარდაბნის რაიონის გამგეობის 1993 წლის 25 ივნისის სხდომაზე №6 ოქმით მიღებული №96 გადაწყვეტილებით გადაცემული 17,71 კვ. მეტრის ნაწილში; 5) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 23 დეკემბრის №... გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 29 ნოემბრის №10/69565 მიმართვა და №... საკადასტრო კოდეზე საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირდა შენობა-ნაგებობა №1 (ტერასა) – 841 კვ. მეტრი მოსარჩელისათვის გარდაბნის რაიონის გამგეობის 1993 წლის 25 ივნისის სხდომაზე №6 ოქმით მიღებული №96 გადაწყვეტილებით გადაცემული 17,71 კვ. მეტრის ნაწილში; 6) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 13 იანვრის №... გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის გარდაბნის რაიონის გამგეობის 1993 წლის 25 ივნისის სხდომაზე №6 ოქმით მიღებული №96 გადაწყვეტილებით გადაცემული 17,71 კვ. მეტრის ნაწილში; 7) ბათილად იქნეს ცნობილი

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 25 თებერვლის №1/1-1228 ბრძანება შპს „ა...ის“ კაპიტალში ქონების შეტანის შესახებ, ტერასაზე 5 კვ. მ-ის ნაწილში; 8) ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2021 წლის 29 ოქტომბრის №1-1/475 ბრძანება საჩივრის ნაწილობრივ წარმოებაში მიღების შესახებ იმ ნაწილში, რომლითაც წარმოებაში არ იქნა მიღებული ადმინისტრაციული საჩივარი 25.02.2020წ. №1/1-1228 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით; 9) ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2022 წლის 13 აპრილის №1-1/174 ბრძანება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალა უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. გარდაბანი, ...ის ქ. №99ა-ს მიმდებარედ, ს/კ ..., 17.71 კვ. მ №8 ბინა, ნებისმიერი სახის სარეგისტრაციო წარმოების შესრულება, რაც დაკავშირებული იქნება მოცემულ მიწის ნაკვეთზე მესაკუთრის შეცვლასთან, ასევე იპოთეკით ან სხვა ნებისმიერი ვალდებულებებით დატვირთვასთან.

3. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 16 მაისის განჩინებით გ. გ-ის დაზუსტებული სარჩელი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 13 აგვისტოს №1/1-3191 ბრძანების ბათილად ცნობის სადავო ნაგებობაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ, 2019 წლის 29 ნოემბრის №10/69565 ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის №... საკადასტრო ერთეულიდან 841.8 კვ.მ ტერასის გამოყოფისა და ცალკე უფლების ობიექტად რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ, რის შედეგადაც ტერასას მიენიჭა საკადასტრო კოდი ..., 2020 წლის 25 თებერვლის №1/1-1228 ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ ტერასაზე 5 კვ.მ-ის შპს „ა...ის“ კაპიტალში შეტანის შესახებ, სადავო ქონების ნაწილში (17.71 კვ.მ – №98 ბინის – იმ ნაწილში, რომელიც გამოეყო მოსარჩელეს 25.06.1993 წ. გარდაბნის რაიონის გამგეობის სხდომაზე №6 ოქმისა და №96 გადაწყვეტილების საფუძველზე), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2021 წლის 29 ოქტომბრის №1-1/475 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით საჩივრის ნაწილობრივ წარმოებაში მიღების

შესახებ, იმ ნაწილში, რომლითაც წარმოებაში არ იქნა მიღებული ადმინისტრაციული საჩივარი 25.02.2020 წ. №1/1-1228 ბრძანების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით და 2022 წლის 13 აპრილის №1-1/174 საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში გამოეყო ცალკე წარმოებად და განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილსა და 26-ე მუხლზე, სსკ-ის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველ ნაწილზე, მე-18 მუხლის პირველ ნაწილზე, 182-ე მუხლის მე-2 ნაწილზე მითითებით სასამართლომ განმარტა, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 13 აგვისტოს №1/1-3191, 2019 წლის 29 ნოემბრის №10/69565, 2020 წლის 25 თებერვლის №1/1-1228, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2021 წლის 29 ოქტომბრის №1-1/475 და 2022 წლის 13 აპრილის №1-1/174 ბრძანებების ბათილად ცნობის ნაწილში დავა არ ეხება საჯარო რეესტრში რეგისტრაციის განხორციელების საკითხს, დავის საგანს არ წარმოადგენს სარეგისტრაციო მიმდინარეობის, შეწყვეტის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებები. დავა არ ეხება საჯარო რეესტრში არსებული რეგისტრაციის კანონიერებას ან მარეგისტრირებული ორგანოსათვის რეგისტრაციის განხორციელების დავალებას. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს უძრავი ნივთის მდებარეობის მიხედვით (სსკ-ის მე-18) განსჯადობის წესების გამოყენების საფუძველი.

სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადამწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახულია ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში /მუხლი 26/, კერძოდ, უფლებამოსილი სასამართლოს მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტის აუცილებლობაში. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.1 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას,

იმპერატიული შინაარსის ნორმაა.

განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მისამართია: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის ქ. №49ა, ხოლო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მისამართია: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2. „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებით განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. გადაწყვეტილების 20.2 მუხლის მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვრა საქართველოს დედაქალაქის – თბილისის ადმინისტრაციული საზღვრები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის მოთხოვნის ნაწილში განხილვა უნდა მოხდეს იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო, მოცემულ შემთხვევაში კი, აღნიშნულ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლო.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 30 მაისის განჩინებით, მოსარჩელე გ. გ. ის სასარჩელო განცხადება (საქმე №3/3512-22), მოპასუხეების – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 13 აგვისტოს №1/1 3191 ბრძანების ბათილად ცნობის სადავო ნაგებობაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ, 2019 წლის 29 ნოემბრის №10/69565 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის №... საკადასტრო ერთეულიდან 841.8 კვ.მ ტერასის გამოყოფისა და ცალკე უფლების ობიექტად რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ, რის შედეგადაც ტერასას მიენიჭა საკადასტრო კოდი ..., 2020 წლის 25 თებერვლის №1/1-1228 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ ტერასაზე 5 კვ.მ-ის შპს „ა...ის“ კაპიტალში შეტანის შესახებ, სადავო ქონების ნაწილში (17.71 კვ.მ №98 ბინის – იმ ნაწილში, რომელიც გამოეყო მოსარჩელეს 25.06.1993 წ. გარდაბნის რაიონის გამგეობის სხდომაზე №6 ოქმისა და №96 გადაწყვეტილების საფუძველზე), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი

დი განვითარების სამინისტროს 2021 წლის 29 ოქტომბრის №1-1/475 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით საჩივრის ნაწილობრივ წარმოებაში მიღების შესახებ, იმ ნაწილში, რომლითაც წარმოებაში არ იქნა მიღებული ადმინისტრაციული საჩივარი 25.02.2020 წ. №1/1-1228 ბრძანების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით და 2022 წლის 13 აპრილის №1-1/174 საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ, განსჯადობის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილზე, მე-2 მუხლის პირველ ნაწილზე, 26-ე მუხლსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე მითითებით სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოში გადაგზავნილი სასარჩელო განცხადების დავის საგანს წარმოადგენს: 1) სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს (17,71 კვ.მ №8 ბინის – იმ ნაწილში, რომელიც გამოეყო მოსარჩელეს 25.06.1993 წ. გარდაბნის რაიონის გამგეობის სხდომაზე №66 ოქმისა და №96 გადაწყვეტილების საფუძველზე) 2015 წლის 13 აგვისტოს №1/1-3191 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც სადავო ნაგებობაზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში სახელმწიფო საკუთრების უფლების რეგისტრაცია იქნა მოთხოვნილი; 2) სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 29 ნოემბრის №10/69565 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა №... საკადასტრო ერთეულიდან 841.8 კვ.მ ტერასის გამოყოფისა და ცალკე უფლების ობიექტად რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ, რის შედეგადაც ტერასას მიენიჭა საკადასტრო კოდი; 3) სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 25 თებერვლის №1/1-1228 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა ტერასაზე 5 კვ.მ-ის შპს „ა...ის“ კაპიტალში შეტანის შესახებ სადავო ქონების ნაწილში. გასაჩივრებული სამივე აქტი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, წარმოადგენს უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელთა საფუძველზე განხორციელდა საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსაზრება მასზედ, რომ „აქტების ბათილად ცნობის ნაწილში დავა არ ეხება საჯარო რეესტრში რეგისტრაციის განხორციელების საკითხს, დავის საგანს არ წარმოადგენს სარეგისტრაციო მიმდინარეობის,

შენწყვეტის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებები. დავა არ ეხება საჯარო რეესტრში არსებული რეგისტრაციის კანონიერებას ან მარეგისტრირებელი ორგანოსათვის რეგისტრაციის განხორციელების დავალებას“.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 11.05.2022 წ. რუსთავის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი სასარჩელო განცხადების ერთ-ერთ მოპასუხე მხარეს წარმოადგენს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომლის მიმართაც მოსარჩელე მოითხოვს: ა) 17.08.2015 წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობას. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ წარდგენილ სარეგისტრაციო განცხადებასთან დაკავშირებით, რომლითაც ქ. გარდაბანში, ...ის ქუჩა №99-ის მიმდებარედ, ს/კ – ..., დაზუსტებული ფართობი – 1518,00 კვ.მ, მესაკუთრედ დარეგისტრირდა სახელმწიფო. უფლების დამდგენ დოკუმენტად მითითებულია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 13.08.2015 წ. №1/1-3191 ბრძანება; ბ) 23.12.2019 წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომელიც მიღებულია ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის მიერ წარდგენილ სარეგისტრაციო განცხადებასთან დაკავშირებით, რომლითაც ქ. გარდაბანში, ...ის ქუჩა №99-ის მიმდებარედ, ს/კ – ..., დაზუსტებული ფართობი – 1518,00 კვ.მ, მესაკუთრედ დარეგისტრირდა სახელმწიფო. უფლების დამდგენ დოკუმენტად მითითებულია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 13.08.2015 წ. №1/1-3191 ბრძანება; გ) 13.01.2020 წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომელიც მიღებულია ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის მიერ წარდგენილ სარეგისტრაციო განცხადებასთან დაკავშირებით, რომლითაც ქ. გარდაბანში, ...ის ქუჩა №99-ის მიმდებარედ, ს/კ – ..., დაზუსტებული ფართობი – 1518,00 კვ.მ, მესაკუთრედ დარეგისტრირდა სახელმწიფო – ფართი №1-ში ტერასა. უფლების დამდგენ დოკუმენტად მითითებულია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 13.08.2015 წ. №1/1-3191 ბრძანება და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 29.11.2019 წ. №10/69565 მიმართვა.

შესაბამისად, უდავოა, რომ მოსარჩელეს უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებთან ერთად, სადავო აქვს გამხდარი მათ საფუძველზე განხორციელებული რეგისტრაციებიც. უფლებას მხოლოდ რეგისტრაცია არ წარმოშობს. რეგისტრაცია წარმოებს სარეგისტრაციო დოკუმენტის საფუძველზე, რომელსაც „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განეკუთვნება სამართლებრივი აქტი და, რომელიც უშუალოდ წარმოშობს რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას. მითითებული კანონის და-

ნანესიდან გამომდინარე, დაუშვებელია რეგისტრაციის გაბათილება მისი საფუძვლის ძალაში არსებობის პირობებში. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რეგისტრაციის საფუძვლად არსებული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ბათილად ცნობა იწვევს რეგისტრაციის ძალადაკარგულად გამოცხადებას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას. იგივე შინაარსის დებულებას შეიცავს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რეგისტრაციის საფუძვლად არსებული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ბათილად ცნობა იწვევს რეგისტრაციის ძალადაკარგულად გამოცხადებას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის თანახმად, ბათილია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. აქტის გაუქმების მიუხედავად, მისი ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება გამომდინარეობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 190-ე მუხლის შინაარსიდან, ანუ წინა რეგისტრაციის უკანონოობა თავისთავად არ იწვევს შემდგომი რეგისტრაციების ბათილობას, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების კანონიერების გადასინჯვის გარეშე. მართალია, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე, თუმცა ისინი ამავე ნორმის თანახმად, პასუხისმგებელნი არიან რეგისტრირებული მონაცემების და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე, ამიტომაც, სარეგისტრაციო სამსახურს ეკისრება პასუხისმგებლობა, საკუთრების უფლების – პირველადი რეგისტრაციის განხორციელებისას, ყოველმხრივ გადაამოწმოს სხვა პირზე რეგისტრაციის არსებობა. (სუსგ 02.07.2015 წ. №ბს-30-30(23-15), 30.04.2015 წ. №2-585-572(42-14)).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებულ აქტებთან მიმართებით, მოსარჩელის მოთხოვნა უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ დავისკენ მიემართება და სახეზეა ნივთობრივი განსჯადობის საკითხი, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ამ უფლების დამადასტურებე-

ლი დოკუმენტების საფუძველზე განხორციელებული რეგისტრაციების კანონიერების საკითხის განხილვა მოთხოვნილია რუსთავეის საქალაქო სასამართლოში დარჩენილი სასარჩელო განცხადებების ფარგლებში. ამასთან, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია განსჯადობის საკითხის გადანაცვება უკავშირდება მოსარჩელის უფლებამოსილებას, აირჩიოს სასამართლო (სსსკ-ის მე-20 მუხლი). შესაბამისად, სახეზეა მოსარჩელისათვის უზრუნველყოფილი პროცესუალური შესაძლებლობა, აირჩიოს უფლებამოსილი სასამართლოდან ერთ-ერთი. რაც შეეხება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2021 წლის 29 ოქტომბრის №1-1/475 ბრძანებას (საჩივრის ნაწილობრივ წარმოებაში მიღების შესახებ იმ ნაწილში, რომლითაც წარმოებაში არ იქნა მიღებული ადმინისტრაციული საჩივარი 25.02.2020 წ. №1/1-1228 ბრძანების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით) და 2022 წლის 13 აპრილის №1-1/174 ბრძანებას (საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ), ისინი მიღებული დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე და მხოლოდ ის გარემოება, რომ მათი მიმღები ადმინისტრაციული ორგანო(ები)ს მისამართად მითითებულია ქ. თბილისი, არ წარმოშობს ამ ნაწილში მოთხოვნის ცალკე წარმოებად გამოყოფის სამართლებრივ საფუძველს.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლზე და განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოთხოვნათა განცალკევებული განხილვა არ იქნება მიზანშეწონილი, რამეთუ უფლებადამდგენი დოკუმენტების ნაწილში ცალკე გამოყოფილი საქმის და მათ საფუძველზე განხორციელებული რეგისტრაციების კანონიერებაზე წარდგენილი სასარჩელო განცხადებების სხვადასხვა სასამართლოებში განხილვა გამოიწვევს საქმის განხილვის გაჭიანურებას და საქმის ასეთი დაყოფა ეწინააღმდეგება სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპს.

სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოებს შორის განსჯადობის წესების მიხედვით დავების განაწილება ემსახურება მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის, პროცესის ეკონომიურობის და ოპერატიულობის, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების უზრუნველყოფას, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე საჯარო მმართველობის განხორციელების ფორმა, პრინციპები, ადმინისტრაციული ორგანოს ტერიტორიული დაყოფის მიზნები, კონკრეტული დავის თავისებურებები. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით (სსსკ-ის მე-15 მუხლი). ამდენად, თუ სხვა რამ არ

არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18, მე-20 და 22-ე მუხლებზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტსა და 29-ე მუხლზე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლზე მითითებით სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციულ სასამართლო წარმოებაში განსჯადობის საკითხს ენიჭება არა დისპოზიციური, არამედ იმპერატიული ხასიათი, განსჯადობა განიხილება საჯარო წესრიგის შემადგენელ ნაწილად, მხარეების შეთანხმება სასამართლო განსჯადობაზე (პროროგაცია) ან რომელიმე სასამართლოს იურისდიქციის გამოორიცხვა (დეროგაცია) არ დაიშვება, მსგავსი შეთანხმებები არ ცვლის კანონმდებლობით დადგენილ განსჯადობის იმპერატიულ წესს. შესაბამისად, გ. გ-ის სარჩელი არ წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა რუსთავის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ გ. გ-ის სარჩელი, მოპასუხეების – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, რომლითაც მოსარჩელე მოითხოვს: ა) სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 13 აგვისტოს №1/1-3191 ბრძანების ბათილად ცნობას სადავო ნაგებობაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ; ბ) სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 29 ნოემბრის №10/69565 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას №... საკადასტრო ერთეულიდან 841.8 კვ.მ ტერასის გამოყოფისა და ცალკე უფლების ობიექტად რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ, რის შედეგადაც ტერასას მიენიჭა საკადასტრო კოდი; გ) სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 25 თებერვლის №1/1-1228 ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას ტერასაზე 5 კვ.მ-ის შპს „ა...ს“ კაპიტალში შეტანის შესახებ, სადავო ქონების ნაწილში (17.71 კვ.მ – №98 ბინის – იმ ნაწილში, რომელიც გამოეყო მოსარჩელეს 25.06.1993 წ. გარდაბნის რაიონის გამგეობის სხდომაზე №6 ოქმისა

და №96 გადაწყვეტილების საფუძველზე); დ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2021 წლის 29 ოქტომბრის №1-1/475 ბრძანების ბათილად ცნობას საჩივრის ნაწილობრივ წარმოებაში მიღების შესახებ, იმ ნაწილში, რომლითაც წარმოებაში არ იქნა მიღებული ადმინისტრაციული საჩივარი 25.02.2020 წ. №1/1-1228 ბრძანების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით; ე) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2022 წლის 13 აპრილის №1-1/174 საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობას – განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.). კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დგინდება შემდეგი გარემოებები: ა) 2015 წლის 13 აგვისტოს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ გამოსცა №1/1-3191 ბრძანება, რომლითაც გადაწყდა, რომ უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. გარდაბანი, ...ის ქ. №99-ის მიმდებარედ, სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით მიემართოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს;

ბ) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 17 აგვისტოს №... გადაწყვეტილებით უძრავი ქონება, მდებარე: ქ. გარდაბანი, ...ის ქ. №99-ის მიმდებარედ, საკადასტრო კოდი – ..., დაზუსტებული ფართობი 1518 კვ. მეტრი, შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი №1, დარეგისტრირდა სახელმწიფოს საკუთრების უფ-

ლებით. უფლების დამდგენი დოკუმენტია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 13 აგვისტოს №1/1-3191 ბრძანება;

გ) 2019 წლის 29 ნოემბერს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის უფროსმა №10/69565 წერილით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. გარდაბანი, ...ის ქ. №99-ის მიმდებარედ, საკადასტრო კოდი – ..., ცვლილების რეგისტრაცია, კერძოდ, შენობა-ნაგებობა №1-ის ტერასის (841,8 კვ. მეტრი) ცალკე უფლების ობიექტად რეგისტრაცია;

დ) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 23 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 29 ნოემბრის №10/69565 მიმართვა და უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. გარდაბანი, ...ის ქ. №99-ის მიმდებარედ, საკადასტრო კოდი – ..., მიეთითა შენობა-ნაგებობა №1 (ტერასა) – 841,8 კვ. მეტრი;

ე) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 13 იანვრის №... გადაწყვეტილებით გასწორდა ტექნიკური ხარვეზი და უძრავი ნივთი, მდებარე: ქ. გარდაბანი, ...ის ქ. №99-ის მიმდებარედ, ფართი №1 (ტერასა) – 841 კვ. მეტრი, დარეგისტრირდა ცალკე უფლების ობიექტად საკადასტრო კოდით –;

ვ) 2020 წლის 25 თებერვალს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ გამოსცა №1/1-1228 ბრძანება, რომლითაც შპს „ა...ის“ კაპიტალში შეტანილ იქნა ქონება, მათ შორის, საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ნივთის 5 კვ. მეტრი;

ზ) გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 2 თებერვლის №18-1821033115 მიმართვით გ. გ-ს ეცნობა, რომ მის მიერ საპრივატიზებოდ მოთხოვნილი ფართი, მდებარე: ქ. გარდაბანი, ...ის ქ. №99ა, ს/კ ..., წარმოადგენს კარკასული ტიპის კორპუსის ბინას, რომელიც ექსპლუატაციაში არ არის შესული და არ ირიცხება გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. შესაბამისად, ვერ მოხერხდება მისი იდენტიფიცირება და აქედან გამომდინარე, ვერ განხორციელდება ფართის პრივატიზება;

თ) 2021 წლის 7 ოქტომბერს გ. გ-მა №14394/21 ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგარდი განვითარების სამინისტროს და მოითხოვა: 1. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 13 აგვისტოს №1/1-3191 ბრძანება; 2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 29 ნოემბრის №10/69565 წერილი; 3. ბათილად იქნეს ცნობილი „შპს „ა...ის“ კაპიტალში ცვლილების შეტანის შესახებ“ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბრძანება;

ნული სააგენტოს 2020 წლის 25 თებერვლის №1/1-1228 ბრძანება;

ი) საქართველოს ეკონომიკისა და მდგარდი განვითარების სამინისტროს 2021 წლის 29 ოქტომბრის №1-1/475 ბრძანებით გ. გ-ის ადმინისტრაციული საჩივარი, რომლითაც იგი ითხოვდა: 1. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 13 აგვისტოს №1/1-3191 ბრძანება; 2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 29 ნოემბრის №10/69565 წერილი – მიღებულ იქნა ადმინისტრაციულ წარმოებაში;

კ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგარდი განვითარების სამინისტროს 2021 წლის 29 ოქტომბრის №04/7355 გადაწყვეტილებით იმ საფუძველზე მითითებით, რომ „შპს „ა...ის“ კაპიტალში ცვლილების შეტანის შესახებ“ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 25 თებერვლის №1/1-1228 ბრძანება არ წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ადმინისტრაციული საჩივარი დარჩა განუხილველად;

ლ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგარდი განვითარების სამინისტროს 2022 წლის 13 აპრილის №1-1/174 ბრძანებით გ. გ-ის ადმინისტრაციული საჩივარი, რომლითაც იგი ითხოვდა ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 13 აგვისტოს №1/1-3191 ბრძანება და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 29 ნოემბრის №10/69565 წერილი, არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით, კონკრეტულ ტერიტორიაზე უძრავი ქონების ან სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს ეს უძრავი ქონება ან არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. რაც შეეხება ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობას, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე შედის იმ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციაში, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს. აღნიშნული ეხება აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნის თაობაზე სარჩელებს. ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომ-

ლის მიხედვით მოსარჩელე მიმართავს სასამართლოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით (სსკ-ის მე-15 მუხლი). ამდენად, საერთო წესის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ წარდგენილი დაზუსტებული სარჩელით დავის საგანს წარმოადგენს ქ. გარდაბანში, ...ის ქ. №99-ის მიმდებარედ მდებარე უძრავ ქონებასთან დაკავშირებით გამოცემული სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული რეგისტრაციები. ამასთანავე, მოსარჩელის საბოლოო მიზანს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვება და მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია წარმოადგენს. შესაბამისად, სარჩელის ყველა მოთხოვნა აღნიშნული მიზნიდან გამომდინარეობს. სსკ-ის მე-18 მუხლის მიხედვით, უძრავ ნივთებთან დაკავშირებული დავა შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, კანონმდებლობა უშვებს უძრავი ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით დავის განხილვას. მართალია, ხსენებული მუხლი არ არის კატეგორიული და არ გამორიცხავს სარჩელის აღძვრას საერთო განსჯადობის ანუ მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით, მოსარჩელის არჩევით, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციის ცენტრალიზმის შედეგად საერთო წესი ხშირ შემთხვევაში იწვევს ადმინისტრაციულ საქმეთა კონცენტრაციას დედაქალაქში, დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული ნივთობრივი განსჯადობისათვის უპირატესობის მინიჭება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს რეგიონული ქვედანაყოფების შექმნისა და ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 2 სექტემბრის №1-1/352 ბრძანებით შეიქმნა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს რეგიონული ქვედანაყოფები, მათ შორის ქვემო ქართლის რეგიონული სამსახური, რომელიც წარმოადგენს სააგენტოს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში (ქ. რუსთავის, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულისა და წალკის მუნიციპალიტეტები). დებულების პირველი მუხლის შესა-

ბამისად, სააგენტოს რეგიონული ქვედანაყოფი თავისი ძირითადი ფუნქციების შესრულების დროს წარმოადგენს სააგენტოს. ხოლო ამავე დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტოს რეგიონული ქვედანაყოფი, თავისი ძირითადი ფუნქციების შესასრულებლად დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მართავს და სარგებლობაში გადასცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არსებულ სახელმწიფო ქონებას; ამავე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, სააგენტოს რეგიონული ქვედანაყოფი კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოადგენს სააგენტოს ინტერესებს სასამართლოში.

ანალოგიური საკანონმდებლო დანაწესი მოქმედებდა სადავო აქტების გამოცემის დროს მოქმედი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 1 მაისის №1-1/107 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მომსახურების ცენტრის დებულებით, რომლის თანახმადაც, ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრი ადგილზე წარმოადგენს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს. ხსენებული დებულების 1-ლი მუხლის თანახმად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრი არის სააგენტოს სტრუქტურული ერთეული, ცენტრი ახორციელებს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული სახელმწიფო ქონების მართვას, განკარგვას და სარგებლობაში გადაცემას სააგენტოსგან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის უფროსის №10/69565 წერილი, რომლითაც მან 2019 წლის 29 ნოემბერს მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. გარდაბანი, ...ის ქ. №99-ის მიმდებარედ, საკადასტრო კოდი ..., ცვლილების რეგისტრაცია, კერძოდ, შენობა-ნაგებობა №1-ის ტერასის (841,8 კვ. მეტრი) ცალკე უფლების ობიექტად რეგისტრაცია; სწორედ აღნიშნული მიმართვა დაედო საფუძვლად სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 23 დეკემბრის №... გადაწყვეტილებას და უძრავი ქონებაზე, მდებარე: ქ. გარდაბანი, ...ის ქ. №99-ის მიმდებარედ, საკადასტრო კოდი ..., მიეთითა შენობა-ნაგებობა №1 (ტერასა) – 841,8 კვ. მეტრი.

„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №3 დადგენილების მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით.

ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში დასტურდება, რომ სადავო უძრავი ნივთი მდებარეობს ქ. გარდაბანში, სარჩელის მიზნის გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში განსჯადი სასამართლო განისაზღვრება სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტს, რომ მოსარჩელის მიერ არ ყოფილა წარდგენილი დამოუკიდებელი სარჩელები გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ ერთი სასარჩელო წარმოების გზით დავა აირჩია და ზემოდასახელებული ადმინისტრაციული ორგანოები მოპასუხეებად მიუთითა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, სასამართლოს არჩევის უფლებამოსილება ეკუთვნის მოსარჩელეს (სსკ-ის მე-20 მუხ.), აღნიშნული ეხება იმ შემთხვევას, როდესაც მოპასუხეები არიან სხვადასხვა ტერიტორიაზე მდებარე ადმინისტრაციული ორგანოები ან ერთიანი სისტემის ზედა და ქვედა სტრუქტურები (შედ. იხ. საქმე №ბს-632-628(გ-17)). ამდენად, დავა რუსთავის საქალაქო სასამართლოს განსჯადია, რადგან მოსარჩელემ აღნიშნული სასამართლო აირჩია.

მიუხედავად იმისა, რომ განსახილველ შემთხვევაში გადასაწყვეტია ტერიტორიული და არა საგნობრივი განსჯადობის საკითხი, საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია იმსჯელოს მოსარჩელის იმ მოთხოვნის ნაწილზე, რომელიც შეეხება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 25 თებერვლის №1/1-1228 ბრძანებას, რომლითაც შპს „ა...ის“ კაპიტალში შეტანილ იქნა ქონება, მათ შორის საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ნივთის 5 კვ. მეტრი.

იდენტურ სასარჩელო მოთხოვნაზე დავის განსჯადობის საკითხი საკასაციო პალატამ გადაწყვიტა არაერთ საქმეზე და განმარტა, რომ „საწარმოთა მართვის სააგენტო, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სზაკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოა, ამდენად სასარჩელო მოთხოვნა მიმართულია ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუმცა საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავა ადმინისტრაციულ-სამარ-

თლებრივად მიიჩნევა არა იმის გამო, რომ მოსარჩელის მოთხოვნის ადრესატი ადმინისტრაციული ორგანოა, არამედ სადავო სამართალურთიერთობის იმმანენტური ბუნების გამო, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამართალურთიერთობის ხასიათს. სზაკ-ის 2.1 მუხლი შეიცავს ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს (ტაქსაცია). ამდენად, კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული (ენუმერაცია). სასკ-ის 2.3 მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა, ასახავს განსჯადობის გარეგან ნიშანს. სამართალურთიერთობის კუთვნილების გარეგანი ნიშანი ეხება სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ადგილს კანონმდებლობაში. ამდენად, საგნობრივი განსჯადობის შესახებ დავის გადანაცემისთვის მნიშვნელობა ენიჭება სადავო ბრძანების გამოცემის საფუძველს, სამართალურთიერთობის სუბიექტის მოქმედების ფორმას. უკეთეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო აქტი გამოცემულია საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე, სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, სახეზე იქნება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო თუ აქტის გამოცემის საფუძველი კერძო-სამართლებრივია, იგი არ ჩაითვლება ადმინისტრაციულ აქტად. სადავო აქტის სახელწოდება იმთავითვე არ ადასტურებს მისი ადმინისტრაციულ აქტად მიჩნევის შესაძლებლობას, ორგანიზაციული და სხვა საკითხების მოწესრიგების პროცესში დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ ბრძანების ფორმით გამოცემული ყველა გადანაცემილება ავტომატურად არ უნდა გაუთანაბრდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, მსგავს შემთხვევებში ყურადღება უნდა მიექცეს გადანაცემილების გამოტანის საფუძველს, მის შინაარსს, კონკრეტული აქტის გამოცემისას საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას“.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 25 თებერვლის №1/1-1228 ბრძანებით შპს „ა...ის“ კაპიტალში შეტანილ იქნა ქონება, მათ შორის საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ნივთის 5 კვ. მეტრი. ამდენად, დასახელებულ ბრძანებასთან მიმართებაში დავა არ არის წარმოშობილი ადმინისტრაციული კანონ-

მდებლობიდან და ეხება პარტნიორის მიერ კერძო სამართლის იურიდიული პირის კაპიტალში ქონების შეტანის მართლზომიერებას, რაც დავის სამოქალაქო ხასიათს ადასტურებს. რამდენადაც, სახეზეა პარტნიორის მიერ ქონების კერძო სამართლის იურიდიული პირის კაპიტალში შეტანა, დავა არ ეხება სახელმწიფო ქონების პრივატიზაციას, პრივატიზაციის პროცედურის კანონიერებას, რაც თავისი ბუნებით ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა რიგს განეკუთვნება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გ. გ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. გ-ი სარჩელი, მოპასუხეების – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, რომლითაც მოსარჩელე მოითხოვს: ა) სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 13 აგვისტოს №1/1-3191 ბრძანების ბათილად ცნობას სადავო ნაგებობაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ; ბ) სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 29 ნოემბრის №10/69565 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას №... საკადასტრო ერთეულიდან 841.8 კვ.მ ტერასის გამოყოფისა და ცალკე უფლების ობიექტად რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ, რის შედეგადაც ტერასას მიენიჭა საკადასტრო კოდი; გ) სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 25 თებერვლის №1/1-1228 ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას ტერასაზე 5 კვ.მ-ის შპს „ა...ის“ კაპიტალში შეტანის შესახებ, სადავო ქონების ნაწილში (17.71 კვ.მ – №98 ბინის – იმ ნაწილში, რომელიც გამოეყო მოსარჩელეს 25.06.1993 წ. გარდაბნის რაიონის გამგეობის სხდომაზე №6 ოქმისა და №96 გადაწყვეტილების საფუძველზე); დ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2021 წლის 29 ოქტომბრის №1-1/475 ბრძანების ბათილად ცნობას საჩივრის ნაწილობრივ წარმოებაში მიღების შე-

სახეზე, იმ ნაწილში, რომლითაც წარმოებაში არ იქნა მიღებული ადმინისტრაციული საჩივარი 25.02.2020 წ. №1/1-1228 ბრძანების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით; ე) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2022 წლის 13 აპრილის №1-1/174 საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობას – განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა უპირავი ქონების და ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-750 (გ-21)

14 აპრილი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. გოგიაშვილი**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა მოქალაქე გ. ა-ის სარჩელთან დაკავშირებული დავა განსჯადობის თაობაზე მცხეთის რაიონულ სასამართლოს და თბილისის საქალაქო სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ა-იმა 06.08.2021წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო რე-

ესტრის ეროვნული სააგენტოს 13.07.2021წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ 03.05.2021წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ...ში მდებარე 0.10 ჰა მიწის ნაკვეთზე გ. ა-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ სარეგისტრაციო სამსახურისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, მიწის ნაკვეთის იდენტიფიკაციის დადგენაზე უარის თქმის შესახებ ნაძალადევის რაიონის გამგეობის 25.10.2019წ. №35-01192983501 წერილის ბათილად ცნობა და წარმოების განახლების შემთხვევაში სარეგისტრაციო სამსახურისათვის, საქმეში არსებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, გადაწყვეტილების მიღების დავალება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ წლებია ცდილობს მისთვის საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონების, კერძოდ ...ში მდებარე 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის დარეგისტრირებას. აღნიშნული ნაკვეთი მას გადაეცა სახელმწიფოსგან №411 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელიც მცხეთის რაიონის ...ის მიწის რეფორმის კომისიის მიერ გაცემულია 05.03.1997წ.. მითითებული უფლების დამდგენი დოკუმენტი დაცულია საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურში, რაც ნიშნავს იმას, რომ იგი ნამდვილი და კანონიერია. გ. ა-მა დარეგისტრირებელ ორგანოში სარეგისტრაციოდ წარადგინა შპს „...ის“ მიერ შესრულებული საკადასტრო აზომვითი ნახაზი. დარეგისტრირებელმა ორგანომ სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობისას ნაძალადევის რაიონის გამგეობიდან გამოითხოვა ინფორმაცია, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული და საკადასტრო აზომვით ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთების იდენტიფიკაციის დადგენის მიზნით. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ნაძალადევის რაიონის გამგეობის პასუხი იყო უკანონო, კერძოდ ადმინისტრაციული ორგანოს უარის თქმის საფუძველი გახდა შესაბამისი აპარატურის არქონა და ინსტიტუციური მეხსიერების მქონე პიროვნების არ ყოლა. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ გ. ა-ის მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაცია გამოითხოვა ასევე სსიპ საქართველოს ეროვნული არქივიდან და სსიპ შემოსავლების სამსახურიდან. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის 19.02.2021წ. წერილის მიხედვით, გ. ა-ის 2002 წლის მდგომარეობით ...ში ერიცხება 0,10 ჰა მიწის ნაკვეთი. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სარეგისტრაციო სამსახურის 02.04.2021 წ. №... გადაწყვეტილებით შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება და გ. ა-ის დაევალა ადგილმდებარეობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის წარდგენა (სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული აქტი ან სხვა სამართლებრივი აქტი (დასტური მიწის ნაკვეთის მდებარეობის თაობა-

ზე)). გადაწყვეტილებაში ასევე მითითებული იყო, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილ მიწის ნაკვეთს ჰქონდა ზედდება №... განაცხადთან (დანიტერესებული პირი გ. ა-ი). მოსარჩელე მიუთითებს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება და მოთხოვნა უკანონოა, ვინაიდან ასეთი ფაქტების დადგენის ვალდებულება თვით ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება. მარეგისტრირებელმა ორგანომ 03.05.2021წ. მიიღო სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ №... გადაწყვეტილება, რომელიც მოსარჩელემ ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 13.07.2021წ. №... გადაწყვეტილებით გ. ა-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 09.08.2021წ. განჩინებით გ. ა-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა მცხეთის რაიონულ სასამართლოს. სასამართლომ აღნიშნა, რომ სსსკ-ის 18.1 მუხლის მიხედვით, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის მიწის ნაკვეთზე უფლებას, შესაძლოა სარჩელის შეტანა სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე სადავოდ ხდის იმ აქტების კანონიერების საკითხს, რომელიც მიღებულია მცხეთის მუნიციპალიტეტში არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით. სასამართლოს მიაჩნია, რომ სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, ხოლო საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან, მათ შორის, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის 19.02.2021წ. №34-3421050250 წერილით დასტურდება, რომ უძრავი ნივთი, რომლის სამართლებრივ მდგომარეობასაც ეხება დავა, მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში. სასამართლომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 03.05.2016წ. №134 ბრძანებით დამტკიცებულ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულებაზე მითითებით აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ერთიანმა ცენტრალიზებულმა სისტემამ შედეგად არ უნდა გამოიწვიოს ის, რომ დავათა არსებობისას, ნებისმიერ შემთხვევაში განსჯად სასამართლოდ განისაზღვროს უშუალოდ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელი, რამეთუ აღნიშნულს შედეგად მოჰყვება ადმინისტრაციული საქმეების კონცენტრაცია მხოლოდ ქ. თბილისში. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ აღძრულ სარჩელებზე გამოყენებული უნდა იქნეს სსსკ-ის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ნივთობრივი განსჯადობის წესები და სარჩელის განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა უნდა მოხდეს სადავო ქონების ადგილ-

მდებარეობის მიხედვით. აღნიშნულის გათვალისწინებით, გ. ა-ის მიერ აღძრულ სარჩელზე განსჯად სასამართლოს წარმოადგენს მცხეთის რაიონული სასამართლო.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 17.08.2021წ. განჩინებით გ. ა-ის სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. სასამართლომ აღნიშნა, რომ სსსკ-ის 15.1 მუხლი ერთმნიშვნელოვნად ადგენს განსჯად საერთო სასამართლოს ტერიტორიული ნიშნის, ანუ მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით. სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით კონკრეტულ ტერიტორიაზე უძრავ ქონებასთან ან სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით გადანაცვტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს ეს უძრავი ქონება ან არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. რაც შეეხება ადმინისტრაციულ კატეგორიის საქმეთა სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობას, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე შედის იმ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციაში, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს. სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან უნდა დადგინდეს სარჩელის წარდგენის მომენტისთვის. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით (სსსკ-ის მე-15 მუხლი). განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული მოქმედების (გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) კანონიერება, რა დროსაც საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა წარედგინოს, განიხილოს და გადაწყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ. შესაბამისად, იქიდან გამომდინარე, რომ მოპასუხე – საჯარო რეესტრის თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, მოცემულ საქმეზე ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით განსჯად სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია. ასევე მოსარჩელის მიერ სადავოდა გამოხდარი ნაძალადევის რაიონის გამგეობის 25.10.2019წ. №35-01192983501 წერილი, რომლის გამომცემი ორგანო ასევე თბილისში მდებარეობს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განსჯადობის შესახებ დავებზე საკასაციო სასამართლოს მიერ ამ დრომდე მიღებული განჩინებებით დადგენილი პრაქტიკის შეუცვლელად მხოლოდ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ აღძრულ სარჩელებზე გამოყენებულ უნდა იქნეს სსსკ-ის მე-15 მუხლთან ერთად, ამავე კოდექსის 16.1, 16.3 და მე-18 მუხლებით გათვალისწინებული ნივთობრივი განსჯადობის წესები. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ სასამართლოებს შორის განსჯადობის წესების მიხედვით დავების განაწილება ემსახურება მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის, პროცესის ეკონომიურობის და ოპერატიულობის, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების უზრუნველყოფას, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე საჯარო მმართველობის განხორციელების ფორმა, პრინციპები, ადმინისტრაციული ორგანოს ტერიტორიული დაყოფის მიზნები, კონკრეტული დავის თავისებურებები. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით (სსსკ-ის მე-15 მუხლი). ამდენად, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო. ამ პრინციპიდან გამდგომად გამოწვევის წესით, სასამართლოებს შორის თანაზომიერი დატვირთვის მოსაზრებიდან და საჯარო რეესტრის ორგანიზაციული მოწყობიდან გამომდინარე, დაშვებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და მის სისტემაში შემავალი რეგიონალური ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე, რომელთა მიმართ გამოიყენება ნივთობრივი განსჯადობის წესები, სსსკ-ის 18.1 მუხლის შესაბამისად, საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთს, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით (სუსგ 08.02.2018წ. №ბს-716-712(გ-17)). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოების სისტემის ერთიანობის მიუხედავად, სადავო სამართალსა და მართლმსაჯულების მოწესრიგება ხდება თავდაპირველი აქტით, რაც განაპირობებს დავის სასამართლო განსჯადობას თავდაპირველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს – საჯარო რეესტრის თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილმდებარეობის მიხედვით – თბილი-

სის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ.

ამასთანავე, სასამართლომ აღნიშნა, რომ „ქ. თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 26.12.2006წ. დადგენილების საფუძველზე, მცხეთის რაიონის ...ის თემის საკრებულო – ... და ...ის დასახლება გადაეცა ქ. თბილისს. შესაბამისად, სადავო უძრავი ნივთი, რომელზეც გ. ა-ი ითხოვს უფლების სპორადულ რეგისტრაციას, მდებარეობს არა მცხეთის მუნიციპალიტეტის, არამედ ქ. თბილისის ტერიტორიულ საზღვრებში. ამდენად, სადავო უძრავი ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვითაც, სარჩელი ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაცნო საქმის მასალებს, განსჯადობის თაობაზე მცხეთის რაიონულ სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებებს და თვლის, რომ საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება არა საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხს. სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით კონკრეტულ ტერიტორიაზე უძრავ ქონებასთან ან სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს ეს უძრავი ქონება ან არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. რაც შეეხება ადმინისტრაციულ კატეგორიის საქმეთა სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობას, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების, რე-

ალაქტის განხორციელების თაობაზე შედის იმ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციაში, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს. სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან უნდა დადგინდეს სარჩელის წარდგენის მომენტისთვის. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით (სსსკ-ის მე-15 მუხლი). განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე სადავოდ ხდის სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 03.05.2021წ. №..., ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 13.07.2021წ. №... გადაწყვეტილებებს, ასევე ნაძალადევის რაიონის გამგეობის 25.10.2019წ. №35-01192983501 წერილს და ითხოვს საკუთრების რეგისტრაციის შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამდენად, დგინდება, რომ სადავო აქტების ბათილად ცნობით მოსარჩელეს სურს მიეცეს თავის სახელზე მინის ნაკვეთის საჯარო რეესტრში აღრიცხვის შესაძლებლობა. სარჩელის მიზანს შეადგენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მინის ნაკვეთის მოსარჩელის სახელზე რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გამოცემა. მინის ნაკვეთზე საკუთრების რეგისტრაციის შესახებ აქტის გამოცემაზე უფლებამოსილი ორგანო – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოა, რომელიც თავის ფუნქციებს ახორციელებს უშუალოდ, ტერიტორიული სამსახურების ან ავტორიზებული პირების მეშვეობით („საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-3 მუხ.), სააგენტოს ტერიტორიული სამსახურებია რეგიონული ოფისი და ფილიალი (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 03.05.2016წ. №134 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების“ 6.2 მუხ.), რომლებიც თავის სამოქმედო ტერიტორიაზე ნორმატიულად განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, ასრულებენ სააგენტოს ფუნქციებს (დებულების 30.1, 31.1 მუხ.). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო რეესტრის შიდა ორგანიზაცია ხასიათდება მის სტრუქტურებს შორის მყარი ურთიერთკავშირით, რომელიც ქმნის სტრუქტურის ერთიანობას. საჯარო რეესტრის ორგანიზაციული სტრუქტურის ცალკეულ ერთეულებად დაყოფა, დიფერენციაცია ტერიტორიულ ორგანოებზე განპირობებულია მომსახურების ხელმისაწვდომობის, რაციონალური დატვირთვის, საქმიანობის ეფექტურობისა და სხვა მოსაზრებებით. ამდენად, წარდგენილ განაცხადზე სარეგისტრაციო წარმოების ჩატარებას და შემდგომში აქტის გამოცემას ახდენს არა უშუალოდ სააგენტო, არამედ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული სამსახუ-

რი, სწორედ ტერიტორიულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს საქმის გარემოებათა ყოველმხრივი გამოკვლევა, საჭიროების შემთხვევაში ადგილზე დათვალიერება, მეზობელთა გამოკითხვა და სხვ.. ამდენად, ზოგადი წესის თანახმად, დავის განსჯადობის საკითხი არ წყდება სააგენტოს ადგილმდებარეობის მიხედვით, თუმცა განსახილველ შემთხვევაში სადავო აქტის გამომცემ ორგანოს წარმოადგენს ქ. თბილისში მდებარე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომელიც თავისი ფუნქციების განსახორციელებლად ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არ მოქმედებს ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით, სააგენტო ქ. თბილისის ტერიტორიაზე თავად ახორციელებს თავის ფუნქციებს, რეგიონული ოფისების და ფილიალების ჩარევის გარეშე, აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 03.05.2016წ. №134 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების“ 6.2 მუხლი, რომელიც სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებს შორის არ ასახელებს ქ. თბილისში სააგენტოს უფლებამოსილებების განმახორციელებელ სპეციალურ ტერიტორიულ ორგანოს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოებს შორის განსჯადობის წესების მიხედვით დავების განაწილება ემსახურება მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის, პროცესის ეკონომიურობის და ოპერატიულობის, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების უზრუნველყოფას, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე საჯარო მმართველობის განხორციელების ფორმა, პრინციპები, ადმინისტრაციული ორგანოს ტერიტორიული დაყოფის მიზნები, კონკრეტული დავის თავისებურებები. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით (სსსკ-ის მე-15 მუხლი). ამდენად, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო. ამ პრინციპიდან განდგომა გამოინაკლისის წესით, სასამართლოებს შორის თანაზომიერი დატვირთვის მოსაზრებიდან და საჯარო რეესტრის ორგანიზაციული მოწყობიდან გამომდინარე, დაშვებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და მის სისტემაში შემავალი რეგიონალური ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე, რომელთა მიმართ გამოიყენება ნივთობრივი განსჯადობის წესები, სსსკ-ის 18.1 მუხლის შესაბამისად, საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონე-

ბის გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთს, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, სარჩელის მიზნის გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში განსჯადი სასამართლო განისაზღვრება სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით. საკასაციო სასამართლო მიუთითებს „ქ. თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 26.12.2006წ. №4173 დადგენილებაზე, რომლის მიხედვითაც მცხეთის რაიონის ...ის თემის საკრებულო – ... და ...ის დასახლება გადაეცა ქალაქ თბილისს, ამდენად, სადავო მიწის ნაკვეთი ამჟამად მოქცეულია ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში, აღნიშნული დასტურდება აგრეთვე საქმეში წარმოდგენილი სსიპ საჯარო რესტრის ეროვნული სააგენტოს სიტუაციური ნახაზით.

„თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 09.08.2007წ. №1/150-2007 გადაწყვეტილების 20.2 მუხლის თანახმად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება საქართველოს დედაქალაქის – თბილისის ადმინისტრაციული საზღვრებით. ამდენად, საკასაციო პალატა დადასტურებულად მიიჩნევს, რომ როგორც უძრავი ნივთის, ასევე მოპასუხის ადგილმდებარეობა მოცულია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიით, რის გამოც, დავა ტერიტორიულად სწორედ მისი ქვემდებარეა. კერძოდ, სადავო უძრავი ნივთი მდებარეობს ქ. თბილისში და სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანოს წარმოადგენს არა სააგენტოს ტერიტორიული სამსახური, არამედ სსიპ საჯარო რესტრის ეროვნული სააგენტო, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში და ამ ტერიტორიაზე თავად ახორციელებს თავის უფლებამოსილებებს, რეგირონული ოფისების და ფილიალების დახმარების გარეშე, ასევე ქ. თბილისში მდებარეობს ნაძალადევის რაიონის გამგეობა, რომლის 25.10.2019წ. №35-01192983501 წერილიც სადავოდაა გამხდარი მოცემული დავის ფარგლებში (იხ. სუსგ 08.02.2018წ. №ბს-716-712(გ-17), 20.12.2019წ. №ბს-1(გ-19)). შესაბამისად, მოპასუხეთა და სადავო უძრავი ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით დავა განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს განსჯადია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გ. ა-ის სარჩელი არსებითი განხილვისათვის უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაცი-

ციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 2.1, 26.3 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ა-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა მოსარჩელის არჩევით

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-737(გ-21)

16 ნოემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
გ. აბუსერიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა ბათუმის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის ნ. ხ-ძის საჩივრის გამო წარმოშობილი დავა განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2021 წლის 26 ივლისს ნ. ხ-მ საჩივრით მიმართა თბილისის საქა-

ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის №ავ... საჯარიმო ქვიტორისა (ვიდეოჯარიმა) და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2021 წლის 8 ივნისის MIA 8 21 01448373 დადგენილების გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილებით ნ. ხ-ძის საჩივარი განსჯადობით გადაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის ადგილს. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵–159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

საქმის მასალების შესაბამისად, ნ. ხ-ძე ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125.1 მუხლის საფუძველზე. სამართალდარღვევის ჩადენის სავარაუდოდ ადგილია ლანჩხუთის რ/ნ, სოფ. ..., ხოლო ნ. ხ-ძის საცხოვრებელი ადგილია ქ. ბათუმი, ... ქ. №... .

სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე–125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სასამართლოს განმარტებით, მითითებული ნორმა ადგენს საჩივრის ალტერნატიულ განსჯადობას სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით კონკრეტულ მუხლებთან მიმართებით. ნ. ხ-ძემ გამოთქვა სურვილი, რომ მისი საჩივარი გადაგზავნილ იქნეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში, მისი საცხოვრებელი მისამართის მიხედვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. ხ-ძის საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს განსჯადია.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 6 აგვისტოს დადგენილებით ნ. ხ-ძის საჩივარი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ტერიტორიული განსჯადობის პრინციპი მომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპ-

როცესო კოდექსის მე-15 მუხლიდან და მდგომარეობს შემდეგში: სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს და განმარტა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში საჩივრის ავტორმა გამოიყენა არჩევანის უფლება და აღნიშნული მუხლის საფუძველზე განსაზღვრა ის სასამართლო, რომელმაც უნდა განიხილოს მისი საჩივარი, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია და მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის ნების საწინააღმდეგოდ მით უფრო სატელეფონო აქტის საუბრის გათვალისწინებით საჩივრის განსჯადობით ბათუმის საქალაქო სასამართლოსათვის გადაგზავნა ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბათუმის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. ხ-ძის საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ ნ. ხ-ძის საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, აღ-

ნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივი, არამედ ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება ტერიტორიული განსჯადობის საკითხს.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, რამდენადაც ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობის, ასევე აქტის გამოცემის თუ ქმედების განხორციელების მოთხოვნით აღძრული სარჩელი ყველა შემთხვევაში მიემართება იმ ადმინისტრაციული ორგანოსადმი, რომლის კომპეტენციაშიც შედის ზემოაღნიშნული სამართალურთიერთობის გადაწყვეტა, სარჩელი, საერთო პრინციპის თანახმად, როგორც წესი შედის იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო.

ტერიტორიული განსჯადობის პრინციპი მომდინარეობს სსსკ-ის მე-15 მუხლიდან და მდგომარეობს შემდეგში: სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს. შესაბამისად, მითითებული მუხლი რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში არჩევანის უფლებას მოსარჩელეს ანიჭებს. განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის პრეროგატივა და ერთპიროვნული საპროცესო უფლებაა, რასაც იგი განსაზღვრავს სარჩელის წარდგენის დროს, ანუ ირჩევს იმ სასამართლოს, სადაც წარადგენს სარჩელს. ამასთან, მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი დაუშვებელია როგორც მო-

პასუხის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი (განსჯადობა მოსარჩელის არჩევით) უზრუნველყოფს მოსარჩელის ინტერესების დაცვას.

წინამდებარე შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის №ავ... საჯარიმო ქვითრისა (ვიდეოჯარიმა) და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2021 წლის 8 ივნისის MIA 8 21 01448373 დადგენილების კანონიერების შემოწმება. დადგენილია, რომ ნ. ხ-ძის მიმართ 2021 წლის 10 მაისის №ავ... საჯარიმო ქვითარი (ვიდეოჯარიმა) შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125.1.0 მუხლის მიხედვით, სენაკი-ფოთი-საფარი 47-ე კმ-ზე (სოფ. ...), ხოლო ნ. ხ-ძის საცხოვრებელი ადგილია ქ. ბათუმი, ... ქ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ¹“ პუნქტის შესაბამისად, სასამართლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის კანონიერების საკითხს იხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159^ბ-159^გ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო; ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამდენად, კანონმდებლობა 125-ე მუხლთან დაკავშირებით ითვალისწინებს ალტერნატიულ განსჯადობას, კერძოდ, 125-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა შესაძლებელია როგორც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, ასევე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით საქმის განხილვის შესაძლებლობას, დასახელებული ნორმა, არ ითვალისწინებს. გასაჩივრებულ აქტს საფუძვლად უდევს ასკ-ის 125-ე მუხლი. ნ. ხ-ძის მიმართ №ავ... ვიდეოსაჯარიმო ქვითარი შედგენილია სენაკი-ფოთი-საფარი 47-ე კმ-ზე (სოფ. ...), ნ. ხ-ძის საცხოვრებელ ადგილს კი წარმოადგენს ქ. ბათუმი.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი მიუთითებს, რომ ყოველი პირი უნდა განსაჯოს იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. სასკ-ის 26-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ სასამართლო წარმოებაში განსჯადობის საკითხს ენიჭება არა დისპოზიციური, არამედ იმპერატიული ხასიათი, განსჯადობა განიხილება საჯარო წესრიგის შემაღენელ ნაწილად, მხარეების შეთანხმება სასამართლო განსჯადობაზე (პროროგაცია) ან რომელიმე სასამართლოს იურისდიქციის გამოორიცხვა (დეროგაცია) არ დაიშვება, მსგავსი შეთანხმებები არ ცვლის კანონმდებლობით დადგენილ განსჯადობის იმპერატიულ წესს.

შესაბამისად, აღნიშნული მუხლების მოთხოვნიდან და სამართალდარღვევის თაობაზე საქმეთა განხილვის თავისებურებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მითითებით, მართალია, ნ. ხ-ძემ საჩივარი წარადგინა ქ. თბილისში მდებარე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მაგრამ აღნიშნული სასამართლო არ მდებარეობს არც საჩივრის ავტორის საცხოვრებელი ადგილის და არც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის სამოქმედო ტერიტორიაზე. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ნ. ხ-ძის საჩივარი, მისი არჩევანის გათვალისწინებით, რაც დადგენილია მოსამართლის თანაშემწის მიერ შედგენილი სატელეფონო აქტით, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს, ვინაიდან, ნ. ხ-ძის საცხოვრებელი ადგილს წარმოადგენს ქ. ბათუმი, ... ქ.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებული დადგენილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლთან მიმართებაში ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას და აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა შესაძლებელია როგორც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, ასევე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. კონკრეტულ შემთხვევაში კი, საჩივრის ავტორს საჩივარი არ წარუდგენია არც საცხოვრებელი და არც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით. მოცემული საქმის იდენტური და-

ვის განსახილველად მოსარჩელის არჩევანის შესაბამისად სასამართლოსათვის დაქვემდებარების სამართლებრივი დასაბუთება მოცემულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის №ბს-614-611(გ-17) და 2017 წლის 17 ოქტომბრის №ბს-522-519(გ-17) საქმეებზე გამოტანილ განჩინებებში. აღნიშნულ განჩინებებში ჩამოყალიბებული სამართლებრივი დასკვნებითა და განმარტებებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლომ მისცა მოსარჩელს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ნ. ხ-ძის საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით,

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ხ-ძის საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა მოსარჩელის არჩევით

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-129(გ-22)

15 მარტი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ბ. სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
გ. აბუსერიძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და ახალციხის რაიონულ სასამართლოს შორის, გ. ზ-ის, მ. მ-ის, ნ. ნ-ის, თ. ა-ის, პ. პ-ის, თ. ჯ-ის, ვ. თ-ის, დ. ქ-ის, ზ. კ-ის, ზ. ნ-ის, მ. ვ-ის, ნ. ბ-ის, მ. ტ-ის, ა. მ-ის, ა. ჭ-ას, ლ. ჭ-ისა და ი. ჩ-ის სარჩელის გამო წარმოშობილი დავა განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2022 წლის 26 იანვარს გ. ზ-ემ, მ. მ-მა, ნ. ნ-მა, თ. ა-მა, პ. პ-მა, თ. ჯ-მა, ვ. თ-ემ, დ. ქ-ემ, ზ. კ-ემ, ზ. ნ-ემ, მ. ვ-ემ, ნ. ბ-ემ, მ. ტ-ემ, ა. მ-მა, ა. ჭ-ამ, ლ. ჭ-ემ და ი. ჩ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის სსიპ ...ის მიმართ.

მოსარჩელეებმა სსიპ ...ის 2021 წლის 24 დეკემბრის №03-04/13 ბრძანების დანართის პირველი მუხლის პირველი პუნქტის ბათილად ცნობა მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 27 იანვრის განჩინებით გ. ზ-ის, მ. მ-ის, ნ. ნ-ის, თ. ა-ის, პ. პ-ის, თ. ჯ-ის, ვ. თ-ის, დ. ქ-ის, ზ. კ-ის, ზ. ნ-ის, მ. ვ-ის, ნ. ბ-ის, მ. ტ-ის, ა. მ-ის, ა. ჭ-ას, ლ. ჭ-ისა და ი. ჩ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ახალციხის რაიონულ სასამართლოს.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, სსკ-ის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგი-

ნება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, სარჩელი ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ წარედგინება იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც არის აღნიშნული ორგანოს ადგილსამყოფელი. აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადობა, ასევე მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობა განისაზღვრება კანონით. „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №3 დადგენილებით, განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოებისა და თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. ამავე დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ახალციხის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა ახალციხის, ადიგენის, ასპინძისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

საქალაქო სასამართლო მოსაზრებით, ვინაიდან კონკრეტულ დავაში მოპასუხეს წარმოადგენს სსიპ ...ა მოცემული სარჩელი უნდა განეხილა იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სსიპ ...ა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 ნოემბრის №227/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ...ის წესდების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ...ის იურიდიული მისამართია: ...ის რაიონი, ...ი, ... ი, ასევე ქ. თბილისი, ...ოს ქუჩა №4. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან, ...ის ადგილსამყოფელია – ...ის რაიონი, ...ი, ... ი, სარჩელი განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ახალციხის რაიონულ სასამართლოს.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 2 თებერვლის განჩინებით გ. ზ-ის, მ. მ-ის, ნ. ნ-ის, თ. ა-ის, პ. პ-ის, თ. ჯ-ის, ვ. თ-ის, დ. ქ-ის, ზ. კ-ის, ზ. ნ-ის, მ. ვ-ის, ნ. ბ-ის, მ. ტ-ის, ა. მ-ის, ა. ჭ-ის, ლ. ჭ-ის და ი. ჩ-ის სარჩელი განსჯადობის შესახებ სასამართლოთა შორის დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპ-

როცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს. ტერიტორიული განსჯადობის პრინციპი მომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლიდან და მდგომარეობს შემდეგში: სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, მითითებული მუხლის საფუძველზე, საერთო წესის მიხედვით, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო.

ახალციხის რაიონული სასამართლოს განმარტებით, მართალია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლი განსაზღვრავს ნივთობრივ განსჯადობას, რა დროსაც დავა ტერიტორიული იურისდიქციით მიემართება ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით, თუმცა ამ შემთხვევაში ყურადღება ასევე უნდა მიექცეს ამავე მუხლის მე-2 ნაწილს, რომელიც განსაზღვრავს ნივთობრივ განსჯადობას მიკუთვნებული სარჩელების სახეებს. აქვე მიუთითა, რომ აღნიშნული ნორმა არ არის კატეგორიული და არ გამორიცხავს სარჩელის აღძვრას საერთო განსჯადობის, ანუ მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით, რა პირობებშიც განმსაზღვრელია მოსარჩელის არჩევანი (ალტერნატიული განსჯადობა).

სასამართლომ მიიჩნია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა უნდა მოხდეს დავის საგნიდან გამომდინარე, იმ გარემოების გათვალისწინებით, თუ რას ხდის მოსარჩელე სადავოდ.

კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანია სსიპ ...ის 2021 წლის 24 დეკემბრის №03-04/13 ბრძანების დანართის პირველი მუხლის პირველი პუნქტის ბათილად ცნობა. მოსარჩელის ინტერესს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მისთვის მისაღები გადაწყვეტილების მიღება, აღნიშნულის გათვალისწინებით განსჯადობის საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს არა განსაკუთრებული წესის, არამედ განსჯადობის ორდინალური წესით.

სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციური ხასიათის მიუხედავად, თავად სარჩელი დისპოზიციურია, რაც ნიშნავს იმას, რომ განმცხადებელი სარგებლობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით რეგლამენტირებული უფლებით და დისპოზიციურობის პრინციპის შესაბამისად, თავად ასახელებს მოპასუხე მხარეს და ალტერნატიულ შემთხვევაში, თავადვე ირჩევს სარჩელის შეტანის ადგილს. მოსარ-

ჩელე მხარემ გამოიყენა კანონით მისთვის მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის შესახებ და დავის გადასაწყვეტად მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ახალციხის რაიონული სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ გ. ზ-ის, მ. მ-ის, ნ. ნ-ის, თ. ა-ის, პ. პ-ის, თ. ჯ-ის, ვ. თ-ის, დ. ქ-ის, ზ. კ-ის, ზ. ნ-ის, მ. ვ-ის, ნ. ბ-ის, მ. ტ-ის, ა. მ-ის, ა. ჭ-ას, ლ. ჭ-ისა და ი. ჩ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივი, არამედ ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება ტერიტორიული განსჯადობის საკითხს.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, რამდენადაც ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობის, ასევე აქტის გამოცემის თუ ქმედების განხორციელების მოთხოვნით აღძრული სარჩელი ყველა შემთხვევაში მიემართება იმ ადმინისტრაციული ორგანოსადმი, რომლის კომპეტენციაშიც შე-

დის ზემოაღნიშნული სამართალურთიერთობის გადაწყვეტა, სარჩელი, საერთო პრინციპის თანახმად, როგორც წესი, შედის იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო.

ტერიტორიული განსჯადობის პრინციპი მომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლიდან და მდგომარეობს შემდეგში: სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს. შესაბამისად, მითითებული მუხლი რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში არჩევანის უფლებას მოსარჩელეს ანიჭებს. განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის პრეროგატივა და ერთპიროვნული საპროცესო უფლებაა, რასაც იგი განსაზღვრავს სარჩელის წარდგენის დროს, ანუ ირჩევს იმ სასამართლოს, სადაც წარადგენს სარჩელს. ამასთან, მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი დაუშვებელია როგორც მოპასუხის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი (განსჯადობა მოსარჩელის არჩევით) უზრუნველყოფს მოსარჩელის ინტერესების დაცვას.

წინამდებარე შემთხვევაში დავის საგანია სსიპ ...ის 2021 წლის 24 დეკემბრის №03-04/13 ბრძანების დანართის პირველი მუხლის პირველი პუნქტის ბათილად ცნობა. მოპასუხე არის სსიპ ...ა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 ნოემბრის №227/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ...ის წესდების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ...ის იურიდიული მისამართია: ...ის რაიონი, ...ი, ...ი, ასევე, ქ. თბილისი, ...ოს ქუჩა №4. ამდენად, მოპასუხის – სსიპ ...ის იურიდიულ მისამართს წარმოადგენს როგორც ქ. თბილისი, ასევე, ...ის რაიონი, ...ი, ...ი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელები უფლება-მოსილნი იყვნენ გამოეყენებინათ სასამართლოს არჩევის უფლება და მიემართათ სასამართლოსთვის მოპასუხის ერთ-ერთი იურიდი-

ული მისამართის – ქ. თბილისი, ...-ის ქუჩა №4-ის მიხედვით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი მიუთითებს, რომ ყოველი პირი უნდა განსაჯოს იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ სასამართლო წარმოებაში განსჯადობის საკითხს ენიჭება არა დისპოზიციური, არამედ იმპერატიული ხასიათი, განსჯადობა განიხილება საჯარო წესრიგის შემადგენელ ნაწილად, მხარეების შეთანხმება სასამართლო განსჯადობაზე (პროროგაცია) ან რომელიმე სასამართლოს იურისდიქციის გამორიცხვა (დეროგაცია) არ დაიშვება, მსგავსი შეთანხმებები არ ცვლის კანონმდებლობით დადგენილ განსჯადობის იმპერატიულ წესს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება ახალციხის რაიონული სასამართლოს მსჯელობას, რომ სარჩელის ავტორებმა გამოიყენეს კანონით მათთვის მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის შესახებ და სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. ამდენად, საქმე ტერიტორიული განსჯადობის შესაბამისად, განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით,

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ზ-ის, მ. მ-ის, ნ. ნ-ის, თ. ა-ის, პ. პ-ის, თ. ჯ-ის, ვ. თ-ის, დ. ქ-ის, ზ. კ-ის, ზ. ნ-ის, მ. ვ-ის, ნ. ბ-ის, მ. ტ-ის, ა. მ-ის, ა. ჭ-ას, ლ. ჭ-ისა და ი. ჩ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განსჯადობა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-
სამართლებრივი აქტის გამოცემაში ორგანოს
აღკვეთვით**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-843(გ-21)

22 თებერვალი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ბ. სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
გ. აბუსერიძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირ-
ველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქარ-
თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3
ნაწილის საფუძველზე, განიხილა თბილისის საქალაქო სასამარ-
თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და ქუთაისის საქა-
ლაქო სასამართლოს შორის შპს „...“-ს სარჩელის გამო წარმოშობი-
ლი დავა განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2021 წლის 18 აგვისტოს, შპს „...“-ს წარმომადგენელმა სარჩე-
ლით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაცი-
ულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების: საქართველოს ფინანსთა სა-
მინისტროსთან არსებული დავების განხილველი საბჭოს, სსიპ შე-
მოსავლების სამსახურის, სსიპ შემოსავლების სამსახურის დავე-
ბის განხილვის საბჭოს, სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის
დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვა – საქართველოს ფინანსთა
სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2021 წლის
23 ივლისის №13809/2/2021 საჩივრის განუხილველად დატოვების
თაობაზე გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქართველოს ფი-
ნანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოსათ-
ვის გასაჩივრების ვადის აღდგენის და შპს „...“-ს საჩივრის განხილ-
ვის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიის 2021 წლის 20 აგვისტოს განჩინებით შპს „...“-ს სარჩე-
ლი განსჯადობით გადაეგზავნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს
ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამ-

ტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შემოსავლების სამსახურის მისამართია – ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა №16 და ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქუჩა №5. ამდენად, შემოსავლების სამსახურის მისამართს წარმოადგენს, როგორც თბილისი, ასევე, ქუთაისი. საქმის მასალებით, ასევე, დასტურდება, რომ შპს „...“-ს ძირითადი მისამართია – ...ს რაიონი, სოფელი ..., 27-ე ქუჩა №4. თბილისის საქალაქო სასამართლო დაეყრდნო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 7 ოქტომბრის განჩინებას (საქმე №ბს-301-297(გ-14)), სადაც საკაცაციო სასამართლომ განმარტა – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულება. ორი მისამართის მითითება განსაზღვრავს შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილების განხორციელების ადგილს, რომელიც მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოში თბილისს, ხოლო, დასავლეთ საქართველოში – ქუთაისს. მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის ორი ადგილსამყოფლის განსაზღვრა თავისთავად დაკავშირებულია თავად მენარმე სუბიექტების საქმიანობის ადგილთან, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია როგორც საგადასახადო დავების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, ასევე, მათი დედაქალაქში თავმოყრის შესუსტების ტენდენციით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ შპს „...“-ს ტერიტორიული ადგილსამყოფლის გათვალისწინებით, განსჯად სასამართლოდ ქუთაისის საქალაქო სასამართლო მიიჩნია. სასამართლოს მოსაზრებით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, განსჯადობის საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ერთი მხრივ ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობასა და ოპერატიულობას. ასევე, დაცული იქნება სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების პრინციპი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 27 აგვისტოს განჩინებით შპს „...“-ს სარჩელი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, იმ მოტივით, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის მისამართია ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. №5. სასამართლომ ყურადღება მიაქცია მოსარჩელის მოთხოვნას, რომლის თანახმად, დავის საგანს წარმოადგენს – საქართველოს ფინანსთა სა-

მინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2021 წლის 23 ივლისის №13809/2/2021 გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე და ითხოვს დავეალოს მოპასუხეს – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს გასაჩივრების ვადის აღდგენა და შპს „...“-ს საჩივრის განხილვა. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში მოპასუხე მხარეს სასარჩელო მოთხოვნიდან გამომდინარე წარმოადგენს – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რომლის მისამართია: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, რის გამოც სასამართლოს მოსაზრებით, საქმის განხილვაზე უფლებამოსილი ერთადერთი სასამართლო გახდა თბილისის საქალაქო სასამართლო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ შპს „...“-ს სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივი, არამედ ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება ტერიტორიული განსჯადობის საკითხს. საკასაციო სასამართლო

განმარტავს, რომ რამდენადაც ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობის, ასევე აქტის გამოცემის თუ ქმედების განხორციელების მოთხოვნით აღძრული სარჩელი ყველა შემთხვევაში მიემართება იმ ადმინისტრაციული ორგანოსადმი, რომლის კომპეტენციაშიც შედის ზემოაღნიშნული სამართალურთიერთობის გადაწყვეტა, სარჩელი, საერთო პრინციპის თანახმად, როგორც წესი შედის იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო. ტერიტორიული განსჯადობის პრინციპი მომდინარეობს სსსკ-ის მე-15 მუხლიდან და მდგომარეობს შემდეგში: სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

მოცემულ დავაზე სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2021 წლის 23 ივლისის №13809/2/2021 საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე გადაწყვეტილება. მოსარჩელე ასევე ითხოვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოსათვის გასაჩივრების ვადის აღდგენის და შპს „...“-ს საჩივრის განხილვის დავალეებას. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2021 წლის 23 ივლისის №13809/2/2021 გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ შპს „...“ დავების განხილვის საბჭოში გაასაჩივრა აუდიტის დეპარტამენტის 25.08.2020 წლის №028-20 საგადასახადო მოთხოვნა და შემოსავლების სამსახურის 18.01.2021 წლის №165 ბრძანება. დავების განხილვის საბჭომ მიიჩნია, რომ დარღვეული იყო შემოსავლების სამსახურის 18.01.2021 წლის №165 ბრძანების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა და საჩივარი დარჩა განუხილველი.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გარკვევისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანოს ადგილმდებარეობას. მოცემულ შემთხვევაში სადავოა მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2021 წლის 23 ივლისის №13809/2/2021 გადაწყვეტილება. მოსარჩელე ასევე ითხოვს, ადმინისტრაციული

აქტის გამომცემი ორგანოსათვის საჩივრის განხილვის დავალებას. შპს „...“, ამ ეტაპზე, სასამართლოში არ ასაჩივრებს აუდიტის დეპარტამენტის 25.08.2020 წლის №028-20 საგადასახადო მოთხოვნას და შემოსავლების სამსახურის 18.01.2021 წლის №165 ბრძანებას. 2021 წლის 23 ივლისის №13809/2/2021 გადაწყვეტილება მიღებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მიერ, რომლის მისამართია ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16. საგადასახადო კოდექსის 297.1 მუხლით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოები არიან შემოსავლების სამსახური და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო (შემდგომში – დავის განმხილველი ორგანოები). ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, დავების განხილვის საბჭო არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული საგადასახადო დავის განმხილველი ორგანო. საგადასახადო კოდექსის 305.1 მუხლით, შემოსავლების სამსახურის მიერ მომჩივნისთვის არასასურველი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ამ მომჩივანს უფლება აქვს, გადაწყვეტილება მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროს დავების განხილვის საბჭოში ან სასამართლოში. აღნიშნული ნორმების მოთხოვნიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველ საქმეში მოპასუხედ მითითებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განმხილველი საბჭო, სსიპ შემოსავლების სამსახური, სსიპ შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭო და სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი, თბილისის საქალაქო სასამართლოს, საქმის განსჯადობით გადაგზავნამდე, უნდა განესაზღვრა ვისკენ იყო მიმართული სასარჩელო მოთხოვნა და სსსკ-ის 15.1 მუხლის თანახმად დაედგინა განსჯადი სასამართლო. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს სადავო აქტი არ გამოუცია ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად და არ შეუთმონებია გასაჩივრებული აქტების გამოცემის სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ (დავების განხილვის საბჭო) განუხილველად დატოვა საჩივარი. ამასთან, მოსარჩელე, გარდა სადავო აქტის ბათილად ცნობისა, ითხოვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოსათვის გასაჩივრების ვადის აღდგენის და საჩივრის განხილვის დავალდებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოპასუხე მხარეს, სასარჩელო მოთხოვნიდან გამომდინარე, წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის საჩივრის განხილვის დავალებას.

ნისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შპს „...“-ს სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით,

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „...“-ს სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს.
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა ძირითადი აქტის გამოცემაში ადგილობრივი ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-728(გ-21)

12 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: გ. აბუსერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ბ. სტურუა**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა შპს

„...ს“ სარჩელთან (საჩივართან) დაკავშირებული დავა განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოსა და გორის რაიონულ სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „...ს“ წარმომადგენელმა ზ. გ-მა 2021 წლის 9 ივლისს, სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, შპს „...ს“ ადმინისტრაციულ საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2021 წლის 24 ივნისის №1-1/263 ბრძანების ბათილად ცნობისა და საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალეზის მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, შპს „...ს“ კუთვნილი აირგასამართი სადგურის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2020 წლის 24 ივლისის №დად-153/06 დადგენილებით, მოსარჩელე დაჯარიმდა 2000 ლარით, ხოლო მისი გადაუხდელობის გამო, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ კომპანიას ჰყავს ახალი ხელმძღვანელობა, რომელიც არ იყო ინფორმირებული ჯარიმის თაობაზე, 2021 წლის 11 მარტის №დად-46/09 დადგენილებით დაეკისრა ჯარიმის სამმაგი ოდენობა 6000 ლარი. აღნიშნული დადგენილებები გასაჩივრდა ზემდგომ ორგანოში – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, თუმცა სამინისტროს 2021 წლის 24 ივნისის №1-1/263 ბრძანებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. აღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ორგანიზაციის მიმართ გამოტანილი აქტი აყენებს ზიანს და არის უკანონო, შესაბამისად, მოითხოვს აქტების ბათილად ცნობა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე მოპასუხისთვის ახალი აქტის გამოცემის დავალეზა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 12 ივლისის განჩინებით სარჩელი მიჩნეულ იქნა საჩივრად, ხოლო იმავე სასამართლოს 2021 წლის 16 ივნისის განჩინებით საქმე განსჯადობის წესით, განსახილველად გადაეგზავნა გორის რაიონულ სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირ-

ველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საქმეებს, გარდა ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმეებისა. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსში 2012 წლის 26 აპრილს განხორციელებული ცვლილებების შედეგად აღნიშნული კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით იმპერატიულად განისაზღვრა, რომ საქმეები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, განიხილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ამ კატეგორიის საქმეთა სხვა (სასარჩელო) სამართალწარმოების წესით განხილვა. სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261.1 მუხლი ცალსახად ადგენს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომელსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილული იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. დასახელებული ნორმის საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალების თანახმად, შპს „...ს“ მიერ სავარაუდო სამართალდარღვევა განხორციელდა ქალაქ გორში. აქედან გამომდინარე, ადგილი აქვს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით გათვალისწინებულ სპეციალურ მოწესრიგებას და დავის ტერიტორიული კუთვნილების განსაზღვრისას განსჯადობის სპეციალურ წესს უპირატესობა ენიჭება განსჯადობის ზოგად წესთან მიმართებით. შესაბამისად, სასამართლოს მოსაზრებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით შპს „...ს“ საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენდა გორის რაიონული სასამართლო.

გორის რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება შპს „...ს“ სარჩელის საჩივრად მიჩნევისა და განსჯად სასამართლოდ გორის რაიონული სასამართლოს დადგენის შესახებ და 2021 წლის 7 ივლისის განჩინებით, შპს „...ს“ სარჩელი (საჩივარი) განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

პალატას.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლზე, რომლის „ბ“ და „ბ1“ ქვეპუნქტების მიხედვით, მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ საქმეებს: 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით, და 2. სასამართლოში წარდგენილი შესაბამისი ოქმის საფუძველზე, სასამართლოს მიერ განსახილველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული ნორმა პირდაპირ მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით (ანუ საჩივრისათვის დადგენილი წესით) განიხილება მხოლოდ ის საქმეები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით. ასევე, განიხილება საქმეები, სასამართლოში წარდგენილი შესაბამისი ოქმის საფუძველზე სასამართლოს მიერ განსახილველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ საქმეზე, სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ დადგენილებებით პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 27¹ მუხლისა და მე-19 მუხლის მე-10 ნაწილის საფუძველზე, შპს „...“ დაჯარიმდა 2 000 და 6 000 ლარით, შესაბამისად, სასამართლოს მოსაზრებით, დაჯარიმების შესახებ დადგენილებები წარმოადგენს არა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ აქტებს და მათი განხილვა-გადაწყვეტა უნდა მომხდარიყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სარჩელის წარდგენის გზით, ვინაიდან გამოვლენილი დარღვევები, რის გამოც დაჯარიმებულია მოსარჩელე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული არ არის.

გორის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილსა და საქართველოს სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადებაზე და მიიჩნია, რომ საქმე უნდა განხილულიყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით, აქტის გამოცემი ადმინისტრაციული ორგანოს – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ადგილსამყოფლის მიხედვით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და გორის რაიონული სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ განსახილველი საქმე, სასარჩელო წარმოების წესით, განსჯადობით უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქცია-საც ექვემდებარება მისი საქმე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული დებულება „იცავს სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს – სასამართლო განხილვა მოხდეს განსჯადობის წესების დაცვით... ამ [სამართლიანი სასამართლოს] უფლებით სარგებლობისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ სამართალწარმოება განხორციელდეს განსჯადობის წესების დაცვით, საქმის განხილვა და გადაწყვეტა მოხდეს იმ სასამართლოს მიერ, რომელსაც კონსტიტუციისა და კანონის მიხედვით, შესაბამისი უფლებამოსილება, კომპეტენცია გააჩნია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გულბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-106).

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონიერი სასამართლოს

უფლება სახელმწიფოსაგან მოითხოვს სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას. აღნიშნულის შესაბამისად, საერთო სასამართლოების სისტემა, სასამართლოთა გვარეობითი (საგნობრივი), ტერიტორიული და ინსტანციური იურისდიქცია განსაზღვრულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და საპროცესო სამართლის ნორმებით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ განსახილველ ცალკეულ დავებზე საპროცესო კანონმდებლობა ერთმანეთისაგან განსხვავებს უწყებრივ ქვემდებარეობას (Substantive Jurisdiction) და განსჯადობას (Court Jurisdiction). სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა მოიაზრებს არსებითი იურისდიქციის დადგენას, ანუ იმის განსაზღვრას, განეკუთვნება თუ არა საქმე საერთო სასამართლოებს, შედის თუ არა ამ საქმის განხილვა საერთო სასამართლოების უფლებამოსილებაში (იურისდიქციაში), ხოლო განსჯადობა (მისი ვიწრო გაგებით) ნიშნავს იმის გარკვევას, თუ რომელი სასამართლოა უფლებამოსილი საქმის განხილვასა და გადაწყვეტაზე.

განსჯადობის წესების დაცვა პირდაპირ დაკავშირებულია მხარეთა უფლებების სრულყოფილ რეალიზებასთან. „განსჯადობის წესების დარღვევით საქმის განხილვა თავისთავად, უკვე თვით განსჯადობის წესის დარღვევით გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტის გამო, ადასტურებს საქმის უხეში საპროცესო დარღვევით განხილვას და შედეგად იწვევს სამართალწარმოების წესების დარღვევით დავის გადაწყვეტას“ (სუსგ 06.06.2012 წ. საქმეზე №ბს-1394-1377(კ-11)). თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია და რაიმე სახის შეზღუდვა იმპერატიულად დადგენილი არ არის, მოსარჩელეს უფლება აქვს, აირჩიოს სასამართლო, რომელიც განიხილავს მის სარჩელსა თუ საჩივარს (სსკ-ის მე-20 მუხლი). „სასამართლოს არჩევის უფლება მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმე გვაქვს სასამართლოების ალტერნატიულ განსჯადობასთან – როცა საქმე სხვადასხვა საფუძვლებით თანაბრად რამდენიმე სასამართლოს განსჯადია. ეს უფლება არ მოქმედებს, თუ რომელიმე სასამართლოს კონკრეტულ საქმეზე აქვს ექსკლუზიური სპეციალური განსჯადობა“ (ავტორთა კოლექტივი, „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები“, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2020).

საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ განსჯადობის საკითხი არ არის დამოკიდებული მხარეთა მოსაზრებებზე. განსჯადობის საკითხს ენიჭება არა დისპოზიციური, არამედ იმპერატიული ხასიათი, განსჯადობა განიხილება საჯარო წესრიგის შემადგენელ ნაწილად, მხარეების შეთანხმება სასამართლო განსჯადობაზე (პროროგაცია) ან რომელიმე სასამართლოს იურისდიქცი-

ის გამორიცხვა (დეროგაცია) ადმინისტრაციულ სამართალში არ და-
იშვება. მსგავსი შეთანხმებები არ ცვლის კანონმდებლობით დად-
გენილ განსჯადობის იმპერატიულ წესს. ამასთანავე, სარჩელის
წარმოებაში მიღება არ აბრკოლებს შემდგომში, სათანადო საფუძ-
ვლების გამოვლენისას, სასამართლოს მიერ ტერიტორიულ ან საგ-
ნობრივ განსჯადობაზე მსჯელობის, სარჩელის განსჯადი სასამარ-
თლოსათვის გადაგზავნის შესაძლებლობას (სუსგ 28.05.2020წ.
№ბს-430(გ-19)).

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე
მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას
განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის
თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომე-
ლიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრა-
ციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არა-
განსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სა-
სამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და
ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3
მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია
გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა.
საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხ-
ლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შე-
სახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის და-
ვას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადო-
ბის საკითხზე. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის
განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება ტერიტორიული გან-
სჯადობის საკითხს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული კატე-
გორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად
არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორი-
ულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით კონკრეტულ ტერიტორია-
ზე უძრავ ქონებასთან ან სამართალურთიერთობასთან დაკავში-
რებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო,
რომლის ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს ეს უძრავი ქო-
ნება ან არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. რაც შეეხება ად-
მინისტრაციული კატეგორიის საქმეთა სასამართლოს ტერიტორი-
ულ განსჯადობას, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი
აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების, რე-
ალაქტის განხორციელების თაობაზე შედის იმ ადმინისტრაციული
სასამართლოს კომპეტენციაში, რომლის მოქმედების სფეროშიც
აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს. სარჩელის სათანა-

დო კავშირი ტერიტორიასთან უნდა დადგინდეს სარჩელის წარდგენის მომენტიც. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით (სსსკ-ის მე-15 მუხლი).

საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალში არსებობს ტერიტორიული განსჯადობის შესახებ ზემოთ მოყვანილი პრინციპიდან გამონაკლისიც; მაგალითად, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი საჩივრის განსჯად სასამართლოში წარდგენას ძირითადად უკავშირებს სამართალდარღვევის ჩადენის ადგილს, ამდენად, დავის განსჯად სასამართლოსთვის დაქვემდებარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანს წარმოადგენს სასამართლოს მიერ სწორად იქნეს დადგენილი მისი განხილვის საპროცესო წესი, რადგანაც საქმის განხილვის ამ ორ საპროცესო წესს (საჩივრის ან სარჩელის წარდგენის სახით) გარდა საგნობრივი თუ ტერიტორიული განსჯადობისა, ასევე განასხვავებს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადები, ინსტანციურობა და სხვა. ამრიგად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განსჯადი სასამართლო განისაზღვრება დავის საგნიდან გამომდინარე, იმ გარემოების გათვალისწინებით, თუ რას ხდის მოსარჩელე სადავოდ, ასევე არსებითაა სადავო აქტების გამოცემის საფუძვლები.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალში კოდექსის მე-6 მუხლში 2012 წლის 26 აპრილს შეტანილი იქნა საკანონმდებლო ცვლილება, რომლის თანახმად დადგინდა პირველი ინსტანციით მაგისტრატი მოსამართლეების მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების განხილვა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით („ბ“ ქვეპუნქტი).

ზაზგასასმელია, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებამდე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (სახდელის დადების შესახებ სამართალდარღვევის ოქმის) კანონიერების თაობაზე დავის განხილვის საპროცესო წესის (საჩივრის ან სარჩელის წარდგენა) არჩევა დაინტერესებული პირის პრეროგატივას წარმოადგენდა, თუმცა საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ ამ სახის დავები მხოლოდ საჩივრის წესით განხილვას დაექვემდებარა, შესაბამისად ამ მიმართებით სამართალწარმოება სრულად მოექცა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალის-

წინებული რეგულაციის ფარგლებში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული გადაცდომების ჩამონათვალს მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ ითვალისწინებს. სამართალდარღვევები გათვალისწინებულია ასევე სხვა კანონმდებლობითაც (მაგ. საარჩევნო კოდექსით, საგადასახადო კოდექსით, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით და სხვ.).

საკასაციო პალატის მოსაზრებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის ნორმატიული შინაარსი იძლევა დავათა საპროცესო წესის განხილვის თვალსაზრისით ადმინისტრაციულ გადაცდომათა ორ ნაწილად დაჯგუფების და შემდეგი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას: 1. სამართალდარღვევები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, განიხილება მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრის წარდგენის გზით და 2. სხვა საკანონმდებლო აქტებში მოცემული სამართალდარღვევები, განიხილება საერთო სასარჩელო წესით. მეორე შემთხვევიდან ასევე არსებობს გამოწაკლისი – საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული წესით ასევე განიხილება იმ საკანონმდებლო აქტებში მოცემული სამართალდარღვევები, რომელთა განხილვაც, აღნიშნული კანონმდებლობის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალწარმოებით არის დაშვებული; მაგ. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 93-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, კოდექსის მეათე თავით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისას სამართალწარმოება ხორციელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

სასარჩელო და არასასარჩელო წესით საქმეთა დიფერენცირების ნათელი მაგალითია ასევე საგადასახადო სამართალდარღვევასთან დაკავშირებული დავები; კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის XL თავით გათვალისწინებულია საგადასახადო სამართალდარღვევათა სახეები და პასუხისმგებლობა, რომლის თანახმად, ამ სახის სამართალდარღვევებზე საქმის წარმოება არ ხორციელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით და საგადასახადო ორგანოს მხრიდან გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (სამართალდარღვევის ოქმის) გამოცემის შემთხვევაში, მისი გასაჩივრება, განხილვა-გადაწყვეტა წარმოებს საქართველოს ადმინისტრაციული

საპროცესო კოდექსით დადგენილი სასარჩელო წარმოების წესით, რადგან არ არსებობს საკანონმდებლო დათქმა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული განსჯადობის წესების გამოყენების თაობაზე.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე დავის გადაწყვეტას არა დისპოზიციური, არამედ იმპერატიული ხასიათი გააჩნია. ასეთ შემთხვევაში სასამართლოების მიერ სამართლებრივ გარემოებებზე მითითებას მხოლოდ დამხმარე ფუნქცია აქვს, ხოლო საქმის განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით მოსარჩელის და მოპასუხის სამართლებრივი შეხედულებები მხედველობაში არ მიიღება; განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა უპირობოდ საკასაციო ინსტანციის პრეროგატივაა, მათ შორის ამ სახის დავის ფარგლებში საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს კანონით გათვალისწინებული სამართალწარმოების წესი და ამის შესაბამისად საქმე განსახილველად დაუქვემდებაროს განსჯად სასამართლოს.

განსახილველ საქმეზე საქმის მასალებით ირკვევა, რომ 2020 წლის 26 ივნისს, ქ. გორში, ...ის ქ. №6-ში მდებარე შპს „...ს“ კუთვნილ აირგასამართ სადგურზე ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების დაუმონტაჟებლობის საფუძვლით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №60 დადგენილებით დამტკიცებული „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ 18¹ მუხლის პირველი პუნქტის დარღვევისთვის, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ შედგენილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №06/137 ოქმი და მის საფუძველზე 2020 წლის 24 ივლისის №დად-153/06 დადგენილება, რომლის მიხედვით „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 27¹ მუხლის შესაბამისად, შპს „...ს“ დაჯარიმდა 2000 ლარით. აღნიშნული დადგენილებით, რომელიც კომპანიის წარმომადგენელს ჩაჰბარდა 2020 წლის 1 აგვისტოს, შპს „...ს“ დაევალა მისი ჩაბარებიდან 30 დღეში ჯარიმის გადახდა და შესაბამისი დოკუმენტის 15 დღეში სააგენტოსთვის წარდგენა, თუმცა მისი მხრიდან აღნიშნული ვალდებულება არ შესრულდა.

ვინაიდან შპს „...მ“ №დად-153/06 დადგენილებით განსაზღვრულ ვადაში არ გადაიხდა ჯარიმა, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2021 წლის 11 მარტის №დად-46/09 დადგენილებით „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ მე-19 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, დაჯარიმდა 6000 ლარით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 27¹ მუხლის თანახმად, ავტოგასამართი სადგურის ან ავტოგასამართი კომპლექსის (ავტოგასამართი, აირგასამართი ან აირსავსები სადგურის) მიერ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ავტომატური ვიდეოტექნიკის დამონტაჟების, აგრეთვე მისი ტექნიკური მახასიათებლებისა და ექსპლუატაციის წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია I ხარისხის არსებითი შეუსაბამობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარით, ხოლო ამავე კოდექსის მე-19 მუხლის მე-10 პუნქტით თანახმად, დადგენილ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობა იწვევს დაკისრებული ჯარიმის გასამმაგებას.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნების საფუძვლიანობის შესაფასებლად სასამართლომ უნდა იმსჯელოს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №06/137 ოქმის, 2020 წლის 24 ივლისის №დად-153/06 და 2021 წლის 11 მარტის №დად-46/09 დადგენილებების კანონიერებაზე და ამდენად, უნდა დაადგინოს მისი შესაბამისობა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №60 დადგენილებით დამტკიცებული „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ და „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 27¹ მუხლისა და მე-19 მუხლის მე-10 ნაწილის მოთხოვნებთან.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ არ ითვალისწინებს მასში მოცემული სამართალდარღვევების განხილვის შესაძლებლობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალწარმოების წესით, შესაბამისად ცალსახაა, რომ აღნიშნული კოდექსის საფუძველზე შედგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერება სამართალდარღვევის ჩადენისა და დამრღვევის დაჯარიმების შესახებ განხილული უნდა იქნეს საერთო სასარჩელო წესით, ამდენად, ამ სახის დავის განმხილველი სასამართლოს კომპეტენცია არა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით (საქმის განხილვის ადგილი), არამედ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთო სასარჩელო წესით უნდა დადგინდეს.

საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ მართალია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის, როგორც მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის ფორმა დამტკიცებულია კონკრეტული ორგანოს ნორმატიული შინაარსის ადმინისტრაციულ-სამართლებრი-

ვი აქტით და მასში მითითებულია საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული მხარეთა უფლება-მოვალეობების განმარტებაზე, თუმცა აღნიშნული ჩანაწერი არ წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის კანონიერების განხილვისათვის საპროცესო წესის დამდგენ საფუძველს. როგორც უკვე აღინიშნა, ამ მიმართებით მნიშვნელოვანია სასამართლომ გაითვალისწინოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის ნორმატიული შინაარსი ადმინისტრაციულ გადაცდომათა განხილვის თავისებურების შესახებ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზოგადად, დოქტრინის მიხედვით, როდესაც სარჩელით სადავოა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სასამართლოში მოპასუხეს წარმოადგენს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც სამართლებრივად პასუხი უნდა გასცეს ამ აქტის გამოცემის კანონიერებაზე. ამასთან, მართალია, უმეტეს შემთხვევაში, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით არსებობს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჩივართან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება, თუმცა სასამართლოში საქმის განხილვის კომპეტენციის დასადგენად ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობა არ არის განმსაზღვრელი – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს „ძირითადი აქტის“ გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო.

მოცემულ შემთხვევაში, 2020 წლის 24 ივლისის №დად-153/06 და 2021 წლის 11 მარტის №დად-46/09 დადგენილებები გამოცემულია სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ, რომლის ადგილსამყოფლის მისამართი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 23 ივლისის №1-1/1527 ბრძანებით დამტკიცებული ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დებულების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, არის ქ. თბილისი, ...ს №8.

„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისი №3 დადგენილების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს საქართველოს დედაქალაქის – თბილისის ადმინისტრაციული საზღვრებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შპს „...ს“ სარჩელი, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ადგილსამყოფლის მიხედვით, არსებითი განხილვისათვის უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „...ს“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა ხელშეკრულების შესრულების მიხედვით

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-417(გ-22)

25 მაისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
თ. ოქროპირიძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2022 წლის 21 მარტს შპს „...ომ“ სასარჩელო განცხადებით მი-

მართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხე სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიმართ განეულ სამედიცინო ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოსთვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 22 მარტის განჩინებით შპს „...ოს“ ადმინისტრაციული სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42.2 მუხლზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლზე, ამავე კოდექსის 26-ე მუხლზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლზე და განმარტა, რომ შპს „...ოს“ სასარჩელო მოთხოვნა მიმართულია სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიმართ, რომლის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ...ის გამზ. № 144, შესაბამისად, შპს „...ოს“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაგზავნოდა სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 30 მარტის განჩინებით შპს „...ოს“ სარჩელი, მოპასუხე – სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42.2 მუხლზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველ და 26.2 მუხლებზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლზე და განმარტა, რომ სამედიცინო დაწესებულებები, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ნებაყოფლობითი ჩართვით სახელშეკრულებო ურთიერთობაში შედიან პროგრამის განმახორციელებელ ადმინისტრაციულ ორგანოსთან, რის გამოც პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული დავა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილ დავის ხასიათს ატარებს და დავაზე განსჯადი სასამართლოც ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით უნდა განისაზღვროს. ვინაიდან მოსარჩელე მხარე ითხოვს სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს დაევალოს გამოსცეს ადმინისტრაციულ-სა-

მართლებრივი აქტი განეული სამედიცინო ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ (რომლის ტრანსფორმაციაც შესაძლებელია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლიდან გამომდინარე), ხოლო წარმოდგენილი სარჩელით ირკვევა, რომ შპს „...ოს“ (მისამართი: ქ. ქუთაისი, ...ის ქ. №...) წარმომადგენლობა საქართველოში პაციენტების სამედიცინო მომსახურებას სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ახორციელებდა ქ. ქუთაისში, დავის სასამართლო განსჯადობა ამ ხელშეკრულების შესრულების ადგილის – ქ. ქუთაისის მიხედვით უნდა განისაზღვროს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ქუთაისისა და თბილისის საქალაქო სასამართლოების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.). კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის და-

ვას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება ტერიტორიული განსჯადობის საკითხს.

მოსარჩელე ითხოვს განუღო სამედიცინო ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოსთვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი მოიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს იურიდიული პირის ფილიალის საქმიანობიდან, სასამართლოს წარედგინება მხოლოდ ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით.

მოცემულ შემთხვევაში, დავის საგნის გათვალისწინებით ურთიერთობა წარმოშობილია „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 21.02.2013წ. №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მონაწილე სუბიექტებს შორის.

ზემოაღნიშნული პროგრამის მიზანია საქართველოს მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისთვის ფინანსური უზრუნველყოფის შექმნა. აღნიშნული დადგენილების დანართი №1-ის მე-3 მუხლის მიხედვით, პროგრამის განხორციე-

ლებას უზრუნველყოფს: ა) 2020 წლის 1 სექტემბრამდე სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომ ტექსტსა და დანართებში – განმახორციელებელი); ბ) 2020 წლის 1 სექტემბრიდან: ბ.ა) სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო (შემდგომ ტექსტსა და დანართებში – განმახორციელებელი), გარდა 1.8 დანართის მე-2 პუნქტისა; ბ.ბ) №1.8 დანართის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს 2021 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოფს სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო, ხოლო 2021 წლის 1 იანვრიდან განმახორციელებელი. ხოლო 4.1 მუხლის მიხედვით, პროგრამის ფარგლებში შესაბამისი მომსახურების (გარდა №1.8 დანართის მე-2 პუნქტითა და №1.10 დანართით განსაზღვრული მომსახურებისა) მიმწოდებელია პირი (შემდგომში – მიმწოდებელი), რომელიც აკმაყოფილებს ამ საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, გამოთქვამს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და დადგენილ ვადაში და წესით წერილობით დაუდასტურებს განმახორციელებელს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს.

სწორედ აღნიშნულ სუბიექტებს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის ბუნება განსაზღვრავს დავის განსჯადი სასამართლოსთვის დაქვემდებარების საკითხს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო ზემოაღნიშნული პროგრამის მოსარგებლეებზე მიწოდებას ახორციელებს სამედიცინო საქმიანობის განხორციელებაზე უფლებამოსილი სამართალსუბიექტების მეშვეობით (მიმწოდებლები). საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მიღება სამედიცინო დაწესებულებებისათვის ნებაყოფლობითია და დამოკიდებულია მათ მიერ პროგრამაში მონაწილეობის სურვილის გაცხადებაზე. „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 21.02.2013წ. №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ 4.2 მუხლის თანახმად, ეს პროგრამა და თანდართული დანართები, ამავე პროგრამის შესრულების უზრუნველსაყოფად გამოცემული შესაბამისი სამართლებრივი აქტები, ასევე სამედიცინო ვაუჩერის პირობებთან დაკავშირებული სხვა მარეგულირებელი აქტები და მიმწოდებლის წერილობითი დასტური, პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე, ერთობლივად წარმოადგენს შეთანხმებას პროგრამის განმახორციელებელსა და მიმწოდებელს შორის და შესაბამისად, მხარეები თავისუფლდებიან რაიმე დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულებისაგან, გარდა

ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა.

„2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №828 დადგენილების №14 დანართის (დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (პროგრამული კოდი 27 03 03 04)) მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პროგრამის მე-3 მუხლის „ა“ (ჰემოდიალიზით უზრუნველყოფა), „ბ“ (პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფა) და „დ“ (თირკმლის ტრანსპლანტაცია) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელია პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი სამედიცინო საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და წერილობით ადასტურებს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე შპს „...ო“ წარმოადგენს პროგრამით გათვალისწინებულ მიმწოდებელს, რომელმაც ნებაყოფლობით გამოხატა სურვილი და განაცხადა თანხმობა პროგრამაში მონაწილეობაზე. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში მონაწილე მიმწოდებლების განსაზღვრა ხდება არა სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ ცალმხრივად, არამედ უშუალოდ მიმწოდებელთა ნების გამოვლენით. მიმწოდებელი (სამედიცინო დაწესებულება), რომელიც აკმაყოფილებს ამ საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, წერილობითი დასტურის გაცხადებით ავტომატურად უერთდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამას, რის საფუძველზეც, მხარეთა შორის წარმოიშობა შეთანხმება. ყოველივე ზემოთქმული მიუთითებს მიმწოდებელთა ნების გამოვლენის მნიშვნელობაზე მოცემული ურთიერთობის ჩამოყალიბებაში და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ხსენებული ურთიერთობის წარმოშობა ხდება არა ცალმხრივად, სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიხედულებით, არამედ მხოლოდ ორმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე. შეთანხმება ორმხრივად გამოვლენილი ნების შედეგია, შესაბამისად, მიმწოდებლის (სამედიცინო დაწესებულების) მიერ სურვილის გამოხატვა და მასში მონაწილეობის თაობაზე წერილობითი დასტურის გაცხადება წარმოადგენს მიმწოდებელსა და განმარტაციელებელს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველს (იხ. სუს 17.05.2018წ. განჩინება საქმეზე №ბს-284-284(გ-18)).

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შპს „...ოს“, როგორც მიმწოდებლის მიერ გაცხადებული დასტურით, სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოსა და შპს „...ოს“ შორის წარმოიშ-

ვა სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე, რომლის განუყოფელ ნაწილსაც თავად ზემოხსენებული პროგრამა, მისი დანართები, მის უზრუნველსაყოფად გამოცემული შესაბამისი სამართლებრივი აქტები, ასევე სამედიცინო ვაუჩერის პირობებთან დაკავშირებული სხვა მარეგულირებელი აქტები და მიმწოდებლის წერილობითი დასტური წარმოადგენს.

საკასაციო პალატა იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, რომ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული დავა სახელმწიფო ურთიერთობიდან წარმოშობილ დავის ხასიათს ატარებს და დავაზე განსჯადი სასამართლოც ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით უნდა განისაზღვროს.

საკასაციო სასამართლოს აღნიშნავს, რომ სსკ-ის მე-15 მუხლით დადგენილი ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი წესსა და ამავე კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი განსჯადობის სპეციალურ წესს შორის კონკურენციის დროს, უპირატესობა სწორედ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის დანაწესებს უნდა მიენიჭოს. ამასთან, სსკ-ის 16.2 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე მხარე ითხოვს სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს დაევალოს გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განუვლი სამედიცინო ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ (რომლის ტრანსფორმაციაც შესაძლებელია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლიდან გამომდინარე), ფაქტობრივად კი, იგი სადავოდ ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა თუ არაჯეროვანი შესრულების ფაქტს, ხოლო წარმოდგენილი სარჩელით ირკვევა, რომ შპს „...ოს“ (მისამართი: ქ. ქუთაისი, ...ის ქ. №...) წარმომადგენლობა საქართველოში პაციენტების სამედიცინო მომსახურებას სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ახორციელებდა ქ. ქუთაისში, დავის სასამართლო განსჯადობა ამ ხელშეკრულების შესრულების ადგილის – ქ. ქუთაისის მიხედვით უნდა განისაზღვროს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სარჩელი ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლის საფუძველზე, განსჯა-

დობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 26.3 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „...ოს“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge